პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 თებერვალი **ხუთშაბათი** 2012

№038 (13644) ფასი 80 თეთრი




დავით მოძმანაშვილი

## მილანმა არსენალი განაიარაღა

### ზენიტი ყინვაშიც ზენიტშია

9







## ოქროკაცები

### სამი ჩემპიონი კიევიდან

ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა გუშინ ოქროს სამი მედალი მოიპოვეს კიევის საერთაშორისო ტურნირში - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55), **დავით მარსაგიშვილმა** (84) და **დავით მოძმანაშვილმა** (120). ჩვენებურთაგან უმედლოდ მხოლოდ დებიუტანტი **ზურაბ იაკობაშვილი** (66) დარჩა.

სამივე ჩემპიონმა მაღალ დონეზე იჭიდავა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს, თუმცა მოძმანაშვილის პროგრესმა მაინც გაგვაოცა. ის შარშან მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა ანუ ცუდ ფორმაში არც მაშინ იყო, მაგრამ ახლა ფინალში ამერიკელ **ჰანკე ჩადთან** ბევრად მაღალი დონე აჩვენა. მართალია, მეტოქეც არ იყო ძალზე ძლიერი, თუმცა ჩვენებური ფიზიკურად მშვენიერ ფორმაშია და ქულებიც იოლად მოიპოვა - მეორე პერიოდი სუფთად მოუგო, 6:0, როცა ჯერ ჩოქბჯენში გადაყვანით და წრიდან გაგდებით თითოქულიანი გდებები აართვა, მერე კი სავარჯიშო „გრუშასავით“ იოლად დაატრიალა.

ხინჩეგაშვილმა ფინალში რუს **არსენ კურამაგომედოვს** აჯობა, მარსაგიშვილმა - ასევე რუს **ახმედ მაგომედოვს**. ორივემ ტაქტიკურად ძალზე ჭკვიანურად იჭიდავა და მეტოქეებს მთელი თავით ალემატებოდნენ.

84-ში კვარცხლბეკზე კიდევ ერთი ქართველი ავიდა - გერმანიის სახელით მოასპარეზე **დავით ბიჩინაშვილი** მესამეზე გავიდა.

დღეს კიევში **მალხაზ ზარქუა** (60), **დავით ხუციშვილი** (74) და **ელიზბარ ოდიკაძე** (96) იჭიდავებენ. ზარქუა პირველ შეხვედრას სლოვაკ მიკოლა ბოლოტნიუკთან გამართავს, ხუციშვილი - უკრაინელ **ბოგდან დანილიუკთან**, ოდიკაძე კი პირველ წრეში დაისვენებს და მასპინძელ **ანდრეი ვიშართან** საჭიდაოდ მოემზადება.

**ირაკლი თავაძე**



დავით მარსაგიშვილი



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

## ჯანო და საგოლე პასი



ესპანეთში მყოფმა მოსკოვის „სპარტაკმა“ პრიმერადივიზიონის „მალაგასთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და **მანუელ პელეგრინის** გუნდს 2:2 დაუზავდა. **ჯანო ანანიძემ** შეუცვლელად ითამაშა და საგოლე პასიც მიითვალა - 30-ე წუთზე ჯანო-**არი-ემენიკეს** ქართულ-ბრაზილიურ-ნიგერიული კომბინაცია ერთი შეხებით, აფრიკელის გოლით დასრულდა. მეორე ტაიმის შუაწელამდე ჩვენებურმა, რომელიც **თემურ ქეცბაიამ** ალბანეთის ნაკრებთან მატჩისთვის გამოიძახა ეროვნულ გუნდში, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა, შემდეგ კი **ვალერი კარპინმა** ის მარჯვენაზე გადაიყვანა. ანანიძეს ერთხელ თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. „მალაგამ“ შერეული შემადგენლობით ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

## ევროპელთა ნორმებს შეუჩვევლები ვართ

### დინამოსთვის კი ნორმა ყველა მატჩის მოგებაა

2

დასრულდა გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენისა და ათეულის გამოსავლენად. მომდევნო კვირაში შეიტყობთ გამარჯვებულის ვინაობას, რომელსაც ლელოს თასი გადაეცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო. ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

# ევროპელთა ნორმებს ჩვენ შეუჩვევლები ვართ

## დინამოსთვის კი ნორმა ყველა მატჩის მოგებაა



**ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ ქართველ სპეციალისტს გიორგი დევდარიანს თბილისის "დინამო" 30 იანვარს ჩააბარეს. ფაქტობრივად, ის გუნდს ესპანეთში შეკრების დასასრულს შეუერთდა, პირველი ვარჯიში კი 1 თებერვალს ჩაატარა. გუნდი ახლა თბილისშია და ინტერვიუსთვის მწვრთნელს დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ.**

**- თქვენი დანიშვნის შემდეგ ორი კვირა გავიდა. ცხადია, გუნდის "თავის ფერზე" მოსაყვანად ეს არასაკმარისი დროა, მაგრამ რაღაც ხომ მაინც შეიცვალა?**

- უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა საქმისადმი მიდგომა. ის, რაც ესპანელებისა და ევროპელებისთვის ნორმაა, ქართველებისთვის ნორმა არ არის და ამას ჯერ მიჩვეულები არ ვართ. ჩვენდა სამწუხაროდ, პროფესიონალიზმით ქართველები ევროპელებს ჩამოვრჩებით.

**- სხვათა შორის, ძველები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირში დანერგილი ევროპელებისთვის უცხო ორ-სამთვიანი მოსამზადებელი ეტაპები სწორედ პროფესიონალიზმის ნაკლებობით იყო გამოწვეული და მოთამაშეთა რეჟიმში მოქცევას ისახავდა მიზნად.**

- ზუსტად ასეა. იგივე იყო გარსიას შემთხვევაშიც: ეგონა, რომ დავალება მისცა ფეხბურთელებს და შეასრულებდნენ. შეკრებაზე ჩასულს არც ერთი ესპანელი ტრავმირებული არ დამხვედრია, 28 ქართველიდან კი ძალიან ბევრი იყო დაშავებული. ესეც მიუთითებს, რომ ეს ესპანელისთვის ნორმაა, ჩვენებს კი თავზე დგომა და კონტროლი სჭირდებათ. აქ ჩემს თავსაც ვგულისხმობ. ჯერ ევროპელების დონეზე არ ვართ და ამიტომ მეტი კონტროლი და სიმკაცრე გვჭირდება. თუმცა, სიმკაცრე ცალკე თემაა. ვარჯიშზე რომ არ უნდა დაიგვიანო და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯო – ამის მოთხოვნა სიმკაცრეს არ ნიშნავს, ეს აუცილებელია.

ვარჯიშზე მოსული ფეხბურთელი ადვილი საკონტროლოა. პრობლემა მოედნის მიღმაა. ამიტომ გაიზარდა გუნდის ერთად ყოფნის დრო. ადრე თუ მხოლოდ სავარჯიშოდ მოდიოდნენ და მერე შინ ბრუნდებოდნენ, ახლა ვცდილობთ, ბაზაზე დილის 10 საათზე დავიბაროთ და საღამოს 5-6-მდე გავაჩეროთ. ასე უკეთ დაისვენებენ, სპორტსმენებისთვის შესაფერისად გამოიკვებებიან და მეტი კონტროლის ქვეშ იქნებიან.

**- კვება და აღდგენები საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა – ეს საკითხები "დინამოში" მოგვარებულია?**

- რა თქმა უნდა. სხვათა შორის, მალე ჩამოგვიტანენ სპეციალურ ხელსაწყოებს, რომელიც ვარჯიშის დროს უმაგრდებათ ფეხბურთელებს. მონიტორთან მჯდარ ფიზმომზადების სპეციალისტს კი თვალწინ ექნება უამრავი სასარგებლო ინფორმაცია: მოთამაშეთა ფუნქციონალურ მდგომარეობაზე, მოთამაშის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე; რამდენი აქვს წნევა, პულსი, რა მანძილი დაფარა, რა ინტენსიობით, რამდენი კილოკალორია დახარჯა და ასე შემდეგ.

**- ამ ხელსაწყოს, ვარჯიშზე სიზარმაცის საწინააღდეგო პრეპარატიც შეიძლება ეწოდოს, მწვრთნელისგან მოფარებით ფეხბურთელი ველარ მოდუნდება.**

- (იცინის) შეიძლება ასეც ითქვას. მაგრამ ჩვენთვის ბევრად ღირებულია მოპოვებული ინფორმაციების დამუშავება და სწორად გამოყენება. მაგალითად, კონტროლდება დახარჯული კილოკალორიები და ამის მიხედვით შედგება კვების რაციონი და კვების დანამატები. ეს ინფორმაციები განსაკუთრებით ეფექტურია მოსამზადებელ ეტაპზე - ორჯერადი ვარჯიშების დროს უნდა ვიცოდეთ, ვინ რამდენი კილოკალორია დახარჯა და რამდენის აღდგენა სჭირდება.

**- ადრე ამბობდით, რომ ევროპელები მატჩში საშუალოდ 12-14 კილომეტრს დარბიანო – რამდენია დინამოელთა საშუალო მონაცემი?**

- 14 კილომეტრი მაქსიმუმია, ჩემპიონთა ლიგაში 10 კილომეტრს დიდ სისწრაფეებზე ყველა დარბის და თანაც, დიდი მნიშვნელობა აქვს რბენის ინტენსიობას. სამწუხაროდ, საქართველოში ამის დათვლა შეუძლებელია. ამ ხელსაწყოთი ინფორმაცია ვარჯიშებზე მაინც გვექნება.

**- მოთამაშეთა ტრავმიანობის მიზეზი მხოლოდ შესვენების დროს დავალებების შეუსრულებლობა იყო თუ არასწორი დატვირთვებიც?**

- მე სრული ინფორმაცია არ მაქვს, ჩემს დანიშვნამდე რა ხდებოდა და ვერ ვიტყვი, ეს რისი ან ვისი ბრალია. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ დღესაც ბევრი ფეხბურთელი ვერ ვარჯიშობს და დუბლებიდან გვიწევს დამატება.

**- ვინ არის ამჟამად ტრავმირებული?**

- "მეტალურგთან" გუნდისთვის მნიშვნელოვანი ბევრი ფეხბურთელი ვერ ითამაშებს. ამ უთამაშებლობას ერთი პლუსი ის აქვს, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგემ არ იცის, სასტარტო შემადგენლობაში ვინ გვეყოლება და ეს მათთვის სიურპრიზი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერც ერთი ამხანაგური შეხვედრა ვერ ჩავატარეთ, მომზადების პროცესში სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც გვქონდა.

**- ბევრი მცველია ტრავმირებული – შეუძლიათ მათი შეცვლა დუბლებიდან დაწინაურებულ უდავოდ ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ მოთამაშეებს, ან შეძლებენ გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ კონკურენტებთან ღირსეულ თამაშს ?**

- გამოცდილება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ძირითადში 5-6 ახალგაზრდას არც ვათამაშებ. ჩვენი მიზანი პერსპექტიული ფეხბურთელების გახსნაა, ევროპულ დონეზე წარმატებას რომ მიაღწიონ. სწორედ ამიტომ მათი ადაპტირება მოხდება დროთა განმავლობაში და გარკვეული დოზით. მათ იმ ტვირთს არ ავკიდებთ, რისი ზიდვაც არ შეუძლიათ.

**- სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ ვინმეს ხომ არ დაიმატებთ?**

- ვერავის დავიმატებთ და დღეს არსებული რესურსით უნდა ვითამაშოთ. თუმცა გავიმეორებ, რომ დღეისათვის ბევრი ტრავმირებულია და ამ კუთხით კარგ მდგომარეობაში არ ვართ. თუმცა რუსთავის "მეტალურგთან" ახალგაზრდაც და გამოცდილიც ვალდებული იქნება, "დინამოს" სახელის შესაფერისად დაიცვას გუნდის ღირსება.

**- ყველა ესპანელი დატოვეთ?**

- ჯერჯერობით, ყველა.

**- აშკარად ჩანს თავდასხმის პრობლემა.**

- როდესაც ყველა მოთამაშე გამოჯანმრთელდება – და ეს მალე მოხდება - ჩემი აზრით, თავდასხმის პრობლემა აღარ იქნება. "დინამოში" ისეთი კონტიგენტი შეიკრება, შესაძლოა, არავის დამატება არ დაგვჭირდეს.

**- მოთამაშეები აიყოლიეთ?**

- რუსთაველებთან მატჩის მერე, ასე თუ ისე, მეცოდინება - ავიყოლიე ბიჭები და თუ არა. ახლა, რაც არ უნდა ვილაპარაკო, მწვრთნელის მუშაობის საუკეთესო ტესტი თამაშებია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ "დინამომ" წარმატებით ითამაშოს, თუმცა გულშემატკივარსა და მედიას გთხოვთ, ერთი თამაშით ნუ შეაფასებთ ჩემს შესაძლებლობებს, რადგან ექსტრემალურ ვითარებაში მიწევდა მუშაობა - "მეტალურგთან" მატჩამდე გუნდის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო მქონდა.

**- გულშემატკივარი "დინამოსგან" სულ ჩემპიონობას ითხოვს, მაგრამ ექსტრემალურ ვითარებაში ეს ძნელი მისაღწევი ჩანს.**

- რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მე ჩემს თავს მიზნად ყველა მატჩის მოგებას ვუსახავ - ეს "დინამოსთვის" ნორმაა და მეც მაქსიმალისტი ვარ. დრო გვაჩვენებს, რა გამოვა ამ საქმიდან.

**მერაბ მამულაშვილი**



● ფიფას რეიტინგი



თემურ ქეცბაია

# ჯგუფში უკვე ბოლოები ვართ

გუშინ ფიფამ თებერვლის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ნაკრებმა პოზიციები ხუთი საფეხურით დათმო – **თემურ ქეცბაიას** გუნდმა უთამაშებლად დაიხია 76-ედან 81-ე ადგილამდე. ჩვენს ნაკრებს გადაუსწრეს ჰაიტიმ, ფინეთმა, გვინეამ, გაბონმა და ალბანეთმა.

ყველაზე დიდი, 46-ადგილიანი ნახტომი აფრიკის თასის მასპინძელმა და მეოთხედფინალისტმა გაბონის ნაკრებმა გააკეთა, რომელიც 45-ეა, შავი კონტინენტის ჩემპიონი ზამბია კი 28 ადგილით დაწინაურდა და 43-ე პოზიციაზეა.

რეიტინგში ყველაზე დიდი კორექტივები სწორედ აფრიკის თასმა შეიტანა, თუმცა სხვა საინტერესო ცვლილებებიცაა. უპირველესად, საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებს შევეხოთ – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთი რეიტინგის ლიდერობას ინარჩუნებს, საფრანგეთმა მე-15-დან მე-17 ადგილამდე ჩამოინაცვლა, ბელარუსი 65-ედან 67-ეზე ჩამოქვეითდა, ფინეთი კი ცხრა საფეხურით აღზევდა და 79-ეა. როგორც ხედავთ, ჩვენი ჯგუფის მომავალ მოწინააღმდეგეთაგან უკვე ყველამ გაგვისწრო.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მერვეები ვართ – გვისწრებენ რუსეთი, სომხეთი, ესტონეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია და უზბეკეთი.

რაც შეეხება რეიტინგის სათავეს, საუკეთესო ათეულშიც რამდენიმე ცვლილებაა – გერმანიამ ჰოლანდიას მეორე ადგილი წაართვა, პორტუგალიამ ბრაზილია მე-6 პოზიციიდან ჩამოაგდო, ადგილები ერთმანეთს ასევე გაუცვალეს იტალიამ და ხორვატიამ, დანიამ და არგენტინამ.

**ათეული ასე გამოიყურება:**

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. ჰოლანდია
4. ურუგვაი
5. ინგლისი
6. პორტუგალია
7. ბრაზილია
8. იტალია
9. ხორვატია
10. დანია

...81. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# საქართველო–ალბანეთი უფასოა


1995 წელი. საქართველო-ალბანეთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 29 თებერვალს საქართველოსა და ალბანეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის გასამართ ამხანაგურ მატჩზე დასწრება უფასო იქნება.

ვფიქრობთ, დროული და გონივრული გადაწყვეტილებაა. ჩვენი ეროვნული გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობები, მატჩის ამხანაგური სტატუსი და თებერვლის სუსხი ბილეთის ყიდვისთვის ბევრ ქართველ ქომაგს ნამდვილად არ განაწყობდა და **თემურ ქეცბაიას** გუნდს თამაში, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მოუწევდა.

შეხვედრა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

# გაგრამ სტუ დაამარცხა

## შარიქაძე გაგრას ფანების რჩეულია


საკონტროლო მატჩს კახა კაჭარავა (მარცხნივ) და ზაურ სვანაძე (მარჯვნივ) დაესწრნენ

გუშინ "ნორჩი დინამოს" სტადიონზე (ყოფილი "შრომითი რეზერვები") "გაგრამ" პირველ ლიგის სტუ-სთან ამხანაგურად ითამაშა.

**"გაგრა"**: **ბეგაშვილი, ხუციძე, ტყეშელაშვილი, ნარმანია, ჯიშკარიანი, სარდალიშვილი, ხოჯაშვილი, ზვიადაძე, როსტიაშვილი, ჭკუასელი, ჯერემია.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***კვანტალიანი, სეთურიძე, კიკნაველიძე, ყურულაშვილი, დეკანოიძე, ფალავანდიშვილი, ნადირაძე, ყიფიანი, კობერიძე.***

"გაგრას" პრესსამსახურის ცნობით, მე-8 წუთზე კი ანგარიში სტუ-მ გახსნა - 0:1. ამის შემდეგ "გაგრა" სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა და მე-20 წუთზე წონასწორობა აღადგინა: მარცხენა ფრთიდან **ნიკა ჯიშკარიანის** ჩაწოდებული ბურთი **ჯონ ჯერემიამ** კარში თავური დარტყმით გაგზავნა 1:1.

28-ე წუთზე ხუციძე-როსტიაშვილის კომბინაცია **მიშიკო სარდალიშვილმა** დაასრულა – 2:1. 62-ე წუთზე კვლავ **ირაკლი ხუციძის** გადაცემის შემდეგ სარდალიშვილმა აკრობატულ ნახტომში ულამაზესი გოლი გაიტანა – 3:1. ყურულაშვილი-კვანტალიანის შეტევა კი ზუსტი დარტყმით **ლევან ყიფიანმა** დაასრულა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 4:1.

შეხვედრას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, **ზაურ სვანაძე** დაესწრნენ.

დაბოლოს: კლუბის ვებგვერდზე ჩატარებულ გამოკითხვაში "გაგრას" გულშემატკივრებმა 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად **ლევან შარიქაძე** დაასახელეს, რომელიც დეკემბერში „ზესტაფონში" გადავიდა.

*სამეული კი ასე გამოიყურება:* ***1. ლევან შარიქაძე - 77 ხმა, 2. გიორგი ტყეშელაშვილი - 63, ჯონ ჯერემია - 49.***

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ჩემპიონი დედაქალაქშია


ჯაბა დვალი

დიდთოვლობამ ზესტაფონში ვარჯიში შეუძლებელი გახადა და ამიტომაც საქართველოს ჩემპიონებმა ხანმოკლე შეკრების ჩასატარებლად დედაქალაქს მიაშურეს. "ზესტაფონი" "ბენდელას" ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიშობს და 19 თებერვლამდე თბილისში დარჩება. სეზონს **გიორგი ჭიაბრიშვილი** სწორედ ამ დღეს განაახლებს "გაგრასთან" გასვლითი მატჩით.

"ზესტაფონი" ამ შეხვედრას საკადრო პრობლემებით ხვდება. ზურგის ტრავმის გამო ვერ ვარჯიშობს **შოთა ბაბუნაშვილი**. მის მსგავსად, დაახლოებით ერთი თვე გაუცდება **გიორგი ხიდეშელსაც**. "ზესტაფონის" მცველმა მუხლის ჯვარედინ მყესებზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი დაასრულა და ესპანურ შეკრებაზე ერთ საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამის შემდეგ ვარჯიშზე დაშავდა. გაჩნდა ეჭვი, რომ მას ძველი ტრავმის რეციდივი აღმოაჩნდებოდა და ხიდეშელი გამოკვლევებზე ბელგიაში გაუშვეს, თუმცა ეს შიში არ გამართლდა და გიორგის მენისკის პრობლემა დაუდგინდა. ბუნებრივია, სასიამოვნო არც ეს ამბავია, თუმცა იმასთან შედარებით, რაც ხიდეშელმა გადაიტანა, მცირედი უსიამოვნებაა.

"ზესტაფონს" "გაგრასთან", სავარაუდოდ, ვერც თავდასხმის ლიდერი **ჯაბა დვალი** დაეხმარება, რომელიც ასევე ესპანეთში დაშავდა და "კრილია სოვეტოვთან" ჩატარებულ ბოლო შეხვედრაში ვერ ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# გურეშიძე თავისუფალია



"ვიტ ჯორჯიამ" **გიორგი გურეშიძეს** გათავისუფლების ფურცელი მისცა. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ზურაბ ბერიძემ** გვითხრა, თანამშრომლობის შეწყვეტა კლუბისა და ფეხბურთელის ერთობლივი სურვილი იყო.

21 წლის ნახევარმცველი "ვიტ ჯორჯიაში" უმეტესად შეცვლებზე თამაშობდა. მიმდინარე ჩემპიონატში მან 12 მატჩი ჩაატარა, საიდანაც ძირითად შემადგენლობაში 5-ჯერ მოხვდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბენდელას თასი


ელგუჯა გუგუშვილის განვრთნილმა ზოოვეტმა ბენდელას თასი მოიგო

# ზოოვეტმა იუბილე თასით აღნიშნა

**ზოოვეტი–ვიტ ჯორჯია 1:1 (პენ. 2:1)**

0:1 ჩიმაკაძე (55), 1:1 ჭოველიძე (90)

**ზოოვეტი:** **ძიძიგური, ალასანია, ჭოველიძე, ფარულავა, პატარქალიშვილი, ხაჩიძე, ლორთქიფანიძე, ჯორჯიშვილი, ტიელიძე, გალეგაშვილი, სვანიძე**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***მაჭარაშვილი, ჯოხაძე, ბარბაქაძე, მახათაძე.***

**ვიტ ჯორჯია:** **ძაძამია, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ვასაძე, კორიფაძე, გ. ჯანელიძე, ზაქრაძე, ჩიმაკაძე.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ნ. დაუშვილი, ჯოლოხავა, ვაშაკიძე, ლობჯანიძე.***

**არბიტრი:** **ო. ხეცაძე**

დასრულდა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნის ტურნირი. 21-ე გათამაშების ჩემპიონი "ზოოვეტი" გახდა, რომელმაც ფინალურ მატჩში თერთმეტმეტრიანების სერიით დაამარცხა "ვიტ ჯორჯია". აღსანიშნავია, რომ ვეტერინარებმა ფინალი ძირითადი შემადგენლობით ჩაატარეს, რაც პირველლიგელი "ზოოვეტის" გამარჯვებას ორმაგად ფასეულს ხდის.

ფინალი საკმაოდ დრამატული გამოდგა. როგორც ოქმიდან ხედავთ, "ვიტ ჯორჯია" გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ "ზოოვეტმა" ძირითადი დროის მიწურულს ანგარიში გაათანაბრა, პენალტების სერიაში კი უკეთ გამოიყურებოდა და თასსაც დაეუფლა.

ფინალის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, სადაც "ზოოვეტს" გარდამავალი თასი გადაეცა და ტრადიციულად, ინდივიდუალურ ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ.

ჯილდოები გადაეცათ ფინალის მსაჯებს – **ოთარ ხეცაძესა** და მის ბრიგადას. დანარჩენი პრიზები კი ასე განაწილდა:

საუკეთესო მეკარე: **მალხაზ ძიძიგური** (ზოოვეტი)

საუკეთესო მცველი: **გია ჭოველიძე** (ზოოვეტი)

საუკეთესო ნახევარმცველი: **გურამ გურეშიძე** (ვიტ ჯორჯია)

საუკეთესო თავდამსხმელი: **ბესიკ ჩიმაკაძე** (ვიტ ჯორჯია)

ტურნირის ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა "ზოოვეტის" წევრ **შალვა გალეგაშვილს**, რომელიც 43 წლისაა.

გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი 4 გოლით გახდა ბესიკ ჩიმაკაძე. მართალია, 4-4 ბურთი კიდევ სამ თავდამსხმელს მოუგროვდა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა ჩიმაკაძეზე არჩევანი ფინალში გატანილი გოლის გამო შეაჩერეს.

"ბენდელას თასის" საუკეთესო ფეხბურთელი "ვიტ ჯორჯიას" ლიდერი და კაპიტანი **გიორგი ჯანელიძეა**.

შეგახსენებთ, ტურნირზე მესამე ადგილი ცხინვალის "სპარტაკმა" დაიკავა.

ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ ამ ტრადიციული ტურნირის დიდ საფეხბურთო მოედანზე გამართვამ აშკარად გაამართლა და ქართულ კლუბებს ზამთრის სამზადისში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. სასარგებლო სიახლე აღმოჩნდა განახლებული რეგლამენტი და ქულათა დარიცხვის სისტემა, რამაც გუნდებს შემტევი ფეხბურთისა და გამარჯვებისკენ უბიძგა. თითქმის ყოველი მეორე მატჩის შემდეგ ინიშნებოდა თერთმეტმეტრიანების სერია, რამაც გუნდებს ამ კომპონენტის დახვეწის საშუალება მისცა.

"ბენდელას თასის" ორგანიზატორი კვლავინდებურად საფეხბურთო სკოლა "საბურთალო" იყო, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია.

■ ■ ■

**ელგუჯა გუგუშვილი**, "ზოოვეტის" მთავარი მწვრთნელი:

*"ამ ტურნირს სრული სერიოზულობით მივუდექით, კარგად მოვემზადეთ და შედეგსაც მივაღწიეთ. "ბენდელას თასზე" გამარჯვება მნიშვნელოვან თარიღებს დავამთხვიეთ – 80 წელიწადი შესრულდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაარსებიდან და 40 წელიწადი – კლუბ "ზოოვეტის" ჩამოყალიბებიდან.*



*მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს ზაზა ბენდელიანს 40 წელი შეუსრულდებოდა.*

*ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ზაზა "ზოოვეტის" ფეხბურთელი იყო. მას თამაშის წინ ველოდით და სწორედ ამ დროს გავიგეთ, რომ ტამიშთან გმირულად დაიღუპა...*

*რაც შეეხება ჩვენი კლუბის დღევანდელობას, სამწუხაროდ, არსებობას კვლავ ყოველგვარი სპონსორის გარეშე, შიშველი ენთუზიაზმით ვაგრძელებთ. ყოველგვარ ხარჯებს ფეხბურთელები ფარავენ. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს ყოფილ მოთამაშე სერგო ქუთათელაძეს, რომელმაც პირველ ლიგაში სამონაწილეო თანხით, 20 ათასი ლარით დაგვაფინანსა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ლიგის მოპოვებულ საგზურს ვერაფერში გამოვიყენებდით და ასპარეზობას კვლავ რეგიონულ ლიგაში გავაგრძელებდით..."*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი



დავით თარგამაძე (მარცხნივ)

# ნამდვილი, გულიანი ქართველი

მარიუპოლის "ილიჩივეცის" პრესსამსახურმა **დავით თარგამაძეს** ინტერვიუ ჩამოართვა. მან სლოვაკურ "ტატრანთან" (1:3) ამხანაგურ მატჩში გატანილ პირველ მარიუპოლურ გოლსა და ახალ კლუბზე ილაპარაკა.

"მიხარია, ახალ გუნდში გოლი პირველივე შეხვედრაში რომ გავიტანე. მწვრთნელმა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე მათამაშა... ჩვენ უნდა მოვუმატოთ და ვითამაშოთ უკეთ, ვიდრე - "ტატრანთან". საამისოდ დრო ჯერ კიდევ გვაქვს, შეკრება კიდევ ორი კვირა გაგრძელდება. ვფიქრობ, პირველი ოფიციალური მატჩისთვის კარგ ფორმაში ვიქნებით.

... გუნდში თავს კომფორტულად ვგრძნობ. გაზაფხულზე "ილიჩივეცში" რომ ვითამაშებდი, ეს ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ვიცოდი. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ მქონია. გუნდში კარგად მიმიღეს, ბიჭები მეხმარებიან. უფრო ახლოს ვარ თორნიკე ოქრიაშვილთან, ის ხომ ჩემი მეგობარია.

... რა ამბიცია მაქვს "ილიჩივეცში"? ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და ვფიქრობ, რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა შესაძლებელია. ვიმედოვნებ, რომ ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრებ ადგილს და ყველაფერს გავილებ, "ილიჩივეცმა" დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალურ შედეგს რომ მიაღწიოს. ახლა "ილიჩივეცის" მოთამაშე ვარ და ჩემი ამოცანაა, გუნდისთვის სასარგებლო ვიყო.

... ვფიქრობ, გუნდში ბევრი ახალგაზრდა რომ არის, ეს ჩვენი პლუსია, რადგან ერთმანეთის კარგად გვესმის" – ამბობს საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი.

თარგამაძის დაბრუნებამ გაახარა გუნდის მთავარი მწვრთნელი **იგორ ლეონოვი**.

"დათო კლუბის პრეზიდენტს ვლადიმერ ბოიკოს გავაცანი. ჩვენ ახალგაზრდული და მეგობრული გუნდი გვყავს. ამიტომ ქართველი გულიანად მიიღეს. არ დავმალავ და მისით დაინტერესებული ვიყავი. გამიხარდა, ეს ორმხრივი სურვილი რომ აღმოჩნდა და თავად მოინდომა, ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი "ილიჩივეცში" ეთამაშა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრაში დაგვეხმარება, "ილიჩივეციდან" კი "შახტარის" შემადგენლობაში მოხვედრას შეძლებს. მთავარია, ტრავმები აიცილოს. დათოს თამაშები საქართველოს ნაკრებსა და "ოლექსანდრიაში" ვნახე და აშკარად ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. ამავე დროს, ის კარგი ადამიანიც არის,— ნამდვილი, გულიანი ქართველი" – თქვა ლეონოვმა ინტერნეტ-გაზეთ "ჩემპიონატ.რუ"-სთან ინტერვიუში.

**მერაბ მამულაშვილი**

# ადამიამ ბაქოში გაიტანა

აზერბაიჯანული პრემიერლიგა, რომლის მეორე ეტაპის დაწყებაც დიდთოვლობამ გადადო, გუშინ სამი მატჩით განახლდა. ამ სამი შეხვედრიდან ორში ქართველმა მიიღო მონაწილეობა.

"ყარაბახმა" სტუმრად "ბაქი" 3:0 გაანადგურა, რაშიც **გიორგი ადამიამ** სოლიდური წვლილი შეიტანა – ქართველმა შემტევმა, რომელიც სასტარტო თერთმეტეულში იყო და 84-ე წუთზე შეცვალეს, 65-ე წუთზე ბოლო გოლი გაიტანა. "ყარაბახი" 32 ქულით მე-4 ადგილზეა და ლიდერ "ნეფთჩის" 8 ქულით ჩამორჩება.

ლენქორანის "ხაზარმა" აზალ-ს უმასპინძლა და 1:0 სძლია. სტუმართა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **ნუგზარ კვირტიამ**. 12-გუნდიან პრემიერლიგაში მისი გუნდი მე-7 ადგილზეა.

დღეს ქართველებით სავსე ბაქოს "ინტერი", რომელიც მესამეა და "ნეფთჩიზე" 4 ქულით ნაკლები აქვს, განჯაში ადგილობრივ "ქიაფაზს" დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**




გიორგი ადამია

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გიორგი ქიაბრიშვილი | დაუშვილი (კარპატი), ძარია (დინამო), ნ. გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია), ალადაშვილი (დილა), კიკნაველიძე, სარდალიშვილი (ორივე - გაგრა, იჯარით), ჭანკოტაძე, ს. ლომია, (ორივე - სიონი, იჯარით), ფიფია (ჩიხურა) | გუგუჩია, სამუშია (ორივე - ბაია), შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე - გაგრა), რაჟამაშვილი (დილა), დ. მუჯირი (ჰიროშიმა, იაპონია), გ. ბერაია (დინამო) | 8 იანვრიდან - ზესტაფონში<br>გაგრა 5:2, მერანი 2:1<br>27 იანვრიდან - ესპანეთში<br>დნიპრო (უკრაინა) 2:8<br>რუბინი (რუსეთი) 1:5<br>ტიმიშოარა (რუმინეთი) 0:3<br>კრილი სოვეტოვი (რუსეთი) 4:2, პენ. |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | მეგრელაძე (?), დ. ბოლქვაძე (სიონი), ს. თოდუა (მეტალურგი), ფოფხაძე (კოლხეთი), ჩიკვილაძე (სიონი) | კვახაძე (მეტალურგი), რიგვავა (ბაია), ლემონჯავა (კოლხეთი), ფირცხალავა (დინამო), ფეიქრიშვილი, ვ. ბოლქვაძე (ორივე - სიონი), კემუხტაშვილი (სიონი - იჯარა დაუმთავრდა) | 4 იანვრიდან - თბილისში<br>9 იანვრიდან - ქუთაისში<br>მერანი 2:0<br>21 იანვრიდან - თურქეთში<br>ბრაშოვი (რუმინეთი) 0:2<br>სიმურგი (აზერბაიჯანი) 1:1<br>კორონა (პოლონეთი) 0:0<br>ბანიკი (ჩეხეთი) 0:0<br>ზარია (უკრაინა) 1:3<br>მერანი 1:2, კოლხეთი 3:0 |
| დინამო<br>გიორგი დევდარიანი | ალექს გარსია (მთვარაი მწვრთნელი), ნადირაძე (სპარტაკი), ლექვთაძე, შ. კაშია (ორივე სპარტაკი, იჯარით), გ. ბერაია (ზესტაფონი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარით), კახელიშვილი (დილა) | გიორგი დევდარიანი (მთავარი მწვრთნელი), მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), ძარია (ზესტაფონი), კ. სეფიაშვილი (გაგრა), გერაუ (ესპანეთი. ოკლენდი ახ. ზელანდია), გოგუა (ვოლგა, რუსეთი), პარუნაშვილი, პაპავა, ხოჭოლავა (სამივე დუბლებიდან), მაჭავარიანი (დილა) | 9 იანვრიდან - თბილისში<br>13 იანვრიდან - ესპანეთში<br>კაბილიე (ალჟირი) 1:0<br>ესპანიოლი B (ესპანეთი) 2:0<br>ტერასა (ესპანეთი) 5:3<br>კრაკოვია (პოლონეთი) 2:3<br>სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) 2:1<br>იანგ ბოიზი (შვეიცარია) 1:3<br>გუან ჟოუ (ჩინეთი) 0:3 |
| მეტალურგი<br>კობა ჟორჟიკაშვილი | კვახაძე (ტორპედო), წენგუაშვილი (?), ჩადუნელი (?), პავლიაშვილი (კოლხეთი) | თექთურმანიძე (დინამო, იჯარით), ს. თოდუა (ტორპედო), სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ხოხონიშვილი (?), ექვთიმიშვილი (დუბლები) | 5 იანვრიდან - რუსთავში<br>სტუ 3:2, სიონი 2:1, დილა 1:1<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>შერიფი (მოლდოვა) 0:0<br>ასტანა (ყაზახეთი) 1:2<br>სპორტული (რუმინეთი) 2:1<br>ტიან ჯინი (ჩინეთი) 0:0<br>სპარტაკი 1:1 |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | სამადაშვილი (?), თ. შალიკაშვილი (?), ჭაფოძე (სპარტაკი), მემარნიშვილი (?), იატრო (?), მანწკავა (ულისი, სომხეთი), ე. გრიგალაშვილი (?) | მეგრელაძე (ტორპედო), ბოხუა (ჩხერიმელა), ტორონჯაძე (ფარერები), მჭედლიშვილი (ლოკომოტივი) | 8 იანვრიდან - მარტვილში<br>ტორპედო 0:2, ზესტაფონი 1:2<br>სპარტაკი 2:2, სიონი 2:0, 2:1,<br>ულისი (სომხეთი) 1:1, 0:3<br>ტორპედო 2:1, ბაია 0:2 |
| ბაია<br>გოჩა ტყებუჩავა | ე. ქომეთიანი (მთ. მწვრთნელი) სამუშია, გუგუჩია (ორივე - ზესტაფონი), რიგვავა (ტორპედო), წურწუმია (კოლხეთი, იჯარით), მგელაძე (?) | გ. ტყებუჩავა (მთ. მწვრთნელი), კუტალია (ზრინსკი, ბოსნია), აქუბარდია (?), ლ. ტყებუჩავა (?) | 10 იანვრიდან - ზუგდიდში<br>კოლხეთი (ფ) 0:0, კოლხეთი (ხ) 1:0<br>მერცხალი 2:2, მერანი 2:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>ზურაბ ბერიძე | გიორგი გურეშიძე (?), სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე მეტალურგი), ხუმარაშვილი (?), მაისაშვილი (?) | ნ. დაუშვილი (სპარტაკი), ჯავაშვილი, ლობჯანიძე, | 8 იანვრიდან - თბილისში<br>სტუ 5:2, ზოოვეტი 3:0<br>დილა (დუბლ.) 3:0, აეტი 6:1<br>25 იანვრიდან - თურქეთში<br>შიონახე (გერმანია) 1:1<br>ზენიტის დუბლები (რუსეთი) 0:0<br>ყარაბახი (აზერბაიჯანი) 1:3 |
| გაგრა<br>ზვიად ჯელაძე | შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე ზესტაფონი), კ. სეფიაშვილი (დინამო), გაბედავა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ზ. ჩხეტიანი (?), გაბუნია (კოლხეთი), ნაკონეჩნი (უკრაინა), ქართველიშვილი (?) | კიკნაველიძე, სარდალიშვილი (ორივე - ზესტაფონი - იჯარით), | 8 იანვრიდან - თბილისში<br>ზესტაფონი 2:5, სპარტაკი 2:1,<br>დილა 2:0, სიონი 3:3<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>გურნიკი (პოლონეთი) 1:2<br>ირტიში (ყაზახეთი) 1:2<br>შახტიორი (ყაზახეთი) 2:3, 0:1<br>პოლონია (ბიტომი, პოლონეთი) 1:2 |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | ნ. დაუშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯიქია (დილა), შალამბერიძე (ფლოტი, პოლონეთი), ბოიომო (კოლხეთი), მეტრეველი (სიონი), ციმაკურიძე (?), გ. სეფიაშვილი (?), გ. ალავიძე (?), თიბილაშვილი (?), ქანთარია (?), დეკანოიძე (?) | ნადირაძე, ჩაფიძე, გაბაშვილი, მ. ჯიშკარიანი (ოთხივე დინამოს დუბლები), ლ. მელქაძე (?) გ. გველესიანი (დინამოს დუბლები), ორბელაძე (?), ჭაფოძე (მერანი), გ. მიქაძე (?), ლოლაძე (?), ჩივაძე (უგუნდოდ) | 4 იანვრიდან - თბილისში<br>გაგრა 1:2, აეტი 3:0,<br>მეტალურგი (დუბლ.) 3:0<br>მერანი 2:2, მეტალურგი 1:1 |
| დილა<br>თემურ მახარაძე | რაჟამაშვილი (ზესტაფონი), ო. გველესიანი (სიონი), ბაქრაძე (?), ჭითანავა (?), ლ. ჩაგელიშვილი (?), ი. ბერაია (?), გ. თოდუა (?), ნემსაძე (სიონი), შათირიშვილი (?), ცარიელაშვილი (?), სტეფნიაშვილი (?), მაჭავარიანი (დინამო), ახალკაცი (?), ვ. ხორგუაშვილი (?), სადალაშვილი (?), ი. ლომიძე (?), ჯოჯუა (სიონი), მერლანი (გურია) | ვაწაძე, არზიანი, სალუქვაძე, ხოჯავა (ოთხივე - ვოლგა, რუსეთი), ილურიძე (ანჟი, რუსეთი), ალადაშვილი (ზესტაფონი) შ. კაშია, ლექვთაძე (ორივე დინამო, იჯარით), ინწკირველი, მეგრელიშვილი (ორივე - კოლხეთი), ჯიქია, (სპარტაკი), გიორგი ხუბუა (უგუნდოდ), კახელიშვილი (დინამო), რ. ბარაბაძე (უგუნდოდ), თოთაძე (დიორი ეტო. უნგრეთი), სკენდერი (დინამო ხორვატია), ივ. კანდელაკი (სკონტო, ლატვია), გურული (კარპატი, უკრაინა), ბეჟვაია | 9 იანვრიდან - თბილისში<br>სიონი 2:0<br>რ. ძოძუაშვილი აკადემია 4:1<br>გაგრა 0:2, მეტალურგი 1:1<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>შტურმი (ავსტრია) 1:1<br>გაზ მეთანი (რუმინეთი) 0:0<br>MLS-ის კლუბების ნაკრები 0:1<br>პეტროლული (რუმინეთი) 0:1<br>სიბიუ (რუმინეთი) 0:2<br>კაირატი (ყაზახეთი) 2:0 |
| კოლხეთი<br>დავით მახარაძე | ლემონჯავა (ტორპედო), ბობლიაშვილი (სიონი), ინწკირველი, მეგრელიშვილი (ორივე- დილა), მდივნიშვილი (?), შავგულიძე (?), თედიაშვილი (?), გელაჟეიშვილი (?) | წურწუმია (ბაია, იჯარით), ბოიომო (სპარტაკი), დ. ფოფხაძე (ტორპედო), სიჭინავა, გაბუნია (ორივე - გაგრა), პავლიაშვილი (მეტალურგი), ა. მიქაბერიძე (?), ხატიაშვილი (?), დ. ხუბუტია (დინამო მოსკოვი, რუსეთი), ბ. ტულუში (?), ნაბრია (?) | 9 იანვრიდან - ფოთში<br>ბაია 0:0, ბათუმი 3:1<br>მერცხალი 0:0<br>28 იანვრიდან - თურქეთში<br>რუსი (რუსეთი) 0:0<br>აქტაუ (ყაზახეთი) 6:0<br>მინიორი (ბულგარეთი) 3:5<br>სლავია (ბულგარეთი) 2:1<br>ტორპედო 0:3 |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ლევან ბაჯელიძე (მთ. მწვრთნელი), ფეიქრიშვილი, ვ. ბოლქვაძე (ორივე - ტორპედო), კემუხტაშვილი (ტორპედო - იჯარა დაუმთავრდა) | ხ. ქასრაშვილი (მთ. მწვრთნელი) დ. ბოლქვაძე (ტორპედო), ბობლიაშვილი (კოლხეთი), ჭანკოტაძე, ს. ლომია (ორივე - ზესტაფონი, იჯარით), ქემოკლიძე (უგუნდოდ), ო. გველესიანი (დილა), გ.მ. ხიდეშელი (ფინეთი), მეტრეველი (სპარტაკი), ჩიკვილაძე (ტორპედო), ნემსაძე (დილა), მანჩხავა (?), რ. ონიანი, ჯოჯუა (დილა) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>დილა 0:2, გაგრა 3:3,<br>მერანი 0:2, 1:2 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ავრამ გრანტი

# შუა გზაზე მიტოვებული საქმე

**ვებგვერდმა MY 11.com-მა ისრაელის ნაკრების, "ჩელსისა" და "პორტსმუთის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ ავრამ გრანტს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ინგლისურ ფეხბურთში გატარებული წლების გახსენება სთხოვა. მასალა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. აქვე გეტყვით, რომ 57 წლის ებრაელმა სპეციალისტმა რამდენიმე კვირის წინ ბელგრადის "პარტიზანი" ჩაიბარა.**

**- როგორ უნდა გაუმკლავდე ალმაფრენასა და დაცემას, მაგალითად, ტერის მიერ აცილებულ პენალტს, რომელიც თქვენ 2008 წლის ჩემპიონთა ლიგის წაგებად დაგიჯდათ?**

- იმას, რასაც თავად ვერ აკონტროლებთ, ვერაფერს მოუხერხებთ. ორი წლის წინ "პორტსმუთმაც" ვერ გაიტანა პენალტი "ჩელსისთან" თასის ფინალში. ასეთი რამ მწვრთნელზე დამოკიდებული არ არის. მე უპირატესობას ვანიჭებ იმას, რისი კონტროლიც შემიძლია. რა თქმა უნდა, როცა ჩემპიონთა ლიგას ასეთ ვითარებაში აგებ, მოგონებები მასზე მერე დიდხანს მიგყვება. ეს თერთმეტმეტრიანი რამდენიმე თვის წინ სინგაპურში წაკითხული ლექციის მერეც შემახსენეს, ისევე როგორც ახლა ეს თქვენ გააკეთეთ. ფეხბურთში ასეთი რაღაცები ხდება.

**- არის ისეთი რამ, რითაც "ჩელსიში" თქვენი მუშაობის დროიდან ყველაზე მეტად გეამაყებათ?**

- არ ვარ პატივმოყვარე ადამიანი, მაგრამ როცა წარსულს ვიხსენებ, ვხვდები, რომ ეს იყო "ჩელსის" საუკეთესო სეზონი ბოლო წლების განმავლობაში. მაშინ გუნდი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. მას დადებითად ახასიათებდა ისიც, როგორ ადვილად გავუმკლავდით მაშინ წარუმატებელ სტარტს. ყველა მატჩი არ მოგვიგია, მაგრამ დავამარცხეთ ისეთი გუნდები, როგორებიც იყვნენ "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული" და "არსენალი". ვთამაშობდით საუკეთესო ფეხბურთს და სულ ცოტა დაგვაკლდა ინგლისისა და ევროპის ჩემპიონობამდე. ვამაყობ იმ სეზონით და იმით, თუ როგორ ვასპარეზობდით.

**- როგორი მოთხოვნები არსებობს ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის მიმართ?**

- ყველა "ჩელსის" მწვრთნელებზე არსებულ ზეწოლაზე ლაპარაკობს. ახლა სერბეთში ვმუშაობ და ზეწოლა აქაც იგრძნობა. ის მეხმარება კარგად მუშაობაში. ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. "ჩელსიში" გაქვს ყველაფერი, რომ საუკეთესო იყო – საუკეთესო ფეხბურთელები, დიდებული სპორტული ობიექტები. აბრამოვიჩი ყოველთვის ცდილობს გუნდს იდეალური პირობები შეუქმნას. ლონდონში ხანგრძლივი პროგრამით მივედი, რათა გუნდი საუკეთესო გამეხადა. სამწუხაროდ, საქმის შუა გზაზე მიტოვება მომიხდა. ზეწოლაზე ზოგი ისე ლაპარაკობს, როგორც რაღაც უარყოფითზე, მაგრამ ეს ასე არ არის.

**- როგორ უნდა დაიბრუნოს ფეხბურთელმა საუკეთესო ფორმა, მაგალითად ტორესმა?**

- ხალხს ავიწყდება, რომ ვარსკვლავები კომპიუტერები არ არიან. შეუძლებელია ღილაკს ხელი დააჭირო და შედეგი ისე მიიღო. ისინი ჩვეულებრივი ბიჭები არიან, თავიანთი ადამიანური განცდებით. არ დაგავიწყდეთ, რომ მათაც შეუძლიათ საკუთარი ძალების რწმენა ისევე იოლად დაკარგონ, როგორც სხვებმა. რამდენიმე წლის წინ ტორესი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იყო. ახლა მას სწორედ საკუთარი თავის რწმენა აკლია. შეუძლებელია, მას თავისი ნიჭი ასე უცბად გაეფლანგა.

**- არის რამე სხვაობა პრემიერლიგის პირველი და ბოლო ოთხეულის გუნდების მართვის სტილს შორის?**

- კარგი კითხვაა. ყველა გუნდს სეზონისთვის განსხვავებული მიზნები აქვს. "ჩელსის" – ითამაშოს ისეთივე ლამაზი ფეხბურთი, როგორიც "ბარსელონამ". ამ მიზნის მისაღწევად კი დიდი ფულია საჭირო. "პორტსმუთში" სულ სხვა ამოცანები მქონდა გადასაწყვეტი. მე ჩავიბარე გუნდი, რომელსაც ხუდიზედ 7 თამაში წაგ[illegible] კიდევ უთვალავი პრობლემა ჰქონდა. გაოცებული ვიყავი, გუნდი ლიგაშიც დამეტოვებინა და იმავდროულად გულშემატკივრებისთვის, ანუ მთელი ქალაქისთვის გუნდით სიამაყის საფუძველიც მიმეცა. პორტსმუთი ხომ მთელ ქალაქს ეკუთვნის. ის წელიწადი, როცა "პომპებს" ვწვრთნიდი, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ემოციური იყო. ჩვენ პრაქტიკულად არ გვქონდა სახსრები საარსებოდ და ჩვენ გარშემო ბევრი გაურკვევლობა სუფევდა. ამის მიუხედავად მაქსიმუმი გავაკეთეთ ასოციაციის თასის მოსაგებად. "ვესტ ჰემს" მიზნად ჰქონდა "არსენალის" პატარა მოდელი შეექმნა, ოღონდ თავისი აკადემიის ხარჯზე. პორტსმუთში მართლა კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ეს კარგი თამაში ქულებში არა და არ აისახა. ჰოდა, დასახულ მიზანსაც ვერ მივაღწიეთ. ის წელიწადი ჩემთვის იმედგაცრუების წლად იქცა.

**- ვრცელდება ხმები, რომ პრემიერლიგას ჟოზე მოურინიო შეიძლება დაუბრუნდეს. რას შესძენს ის კლუბს, რომელსაც ჩაიბარებს.**

- მოურინიო სადაც წავა, იმ კლუბს მოურინიოს შესძენს. ის შესანიშნავი მწვრთნელია უამრავი დადებითი თვისებით, საფეხბურთო ტრიუკებითა და მრავალფეროვანი ტაქტიკით. ფეხბურთს მიღმა ის კარგი ადამიანია. ჟოზესთან ერთად "ჩელსიში" სამი თვე ვმუშაობდი და ეს დრო კარგად მახსენდება.



ავრამ გრანტი ბელგრადის პარტიზანის პირველ ვარჯიშზე

კრიზისი რეინჯერსში

# ისტორიის შავი დღე




**"რეინჯერსის" პრობლემებზე ბოლო დღეებში წერა ხშირად გვიწევს. ბუნებრივია, როცა დღის წესრიგში დგას 140-წლიანი ისტორიის, შოტლანდიის 54-გზის ჩემპიონის, თასის 33-გზის გამარჯვებულისა და სუპერთასის 27-ჯერ მფლობელის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. 13 თებერვალი კლუბის ისტორიაში ნამდვილად დარჩება ყველაზე შავ დღედ. გარდა იმისა, რომ "რეინჯერსის" ფინანსური აქტივების მართვას მისი ადმინისტრაცია უკვე აღარ ახორციელებს, შოტლანდიის პრემიერლიგამ მას უკვე დააკლო 10 ქულა და სატრანსფერო საქმიანობაზე ემბარგოც დაადო. რაც ყველაზე სამწუხაროა, "ჩაფრების" გულშემატკივრებმა შეიტყვეს, რომ პრეზიდენტი კრეიგ უაიტი ლონდონში საქმეებზე გაურკვეველი ვადით გაემგზავრა და დაბრუნდება თუ არა საერთოდ, არავინ უწყის. გთავაზობთ მოვლენათა შეჯამებას.**

ბრიტანეთის სამეფოს საგადასახადო და საბაჟო სამსახურმა ედინბურგის სასამართლოსგან დაუყოვნებლივ მოითხოვა "რეინჯერსში" შიდა მმართველობის დანიშვნა. სასამართლომ კლუბს ვადა 13 თებერვლის 15:30 საათამდე მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურის სარჩელის განხილვას დაიწყებდა. საქმის მოგების შემთხვევაში კი ეს ორგანო თავად დანიშნავდა ადმინისტრატორს.




საპროტესტო ბანერი: მისტერ უაიტ, ჩვენ ვითხოვთ პასუხებს

**კრეიგ უაიტმა** 15:00 საათზე "აიბროქსის" ოფისში ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც კლუბის საქმეთა მართვა ლონდონში რეგისტრირებულ კომპანია Dუფფ & Pჰელპს-ს დაეკისრა. ამრიგად, "რეინჯერსის" პრეზიდენტმა ისარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით და სახელმწიფო აპარატს დაასწრო. ამის გამო "რეინჯერსის" ყოფილი მესაკუთრემ, სერ **დევიდ მიურეიმ** იმედგაცრუება გამოხატა მოქმედი პრეზიდენტის ქმედებით. რა შედეგიც მოჰყვა ამას, უკვე მოგახსენეთ. კლუბს 10 ქულა ჩამოაკლდა, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ "სელტიკი" შოტლანდიის ჩემპიონი ხდება. გრანდებს შორის სხვაობა ამჟამად 14 ქულაა. ამხელა სხვაობას კი, უტრირებულად რომ ვთქვათ, "რეინჯერსი" მომდევნო სეზონის ბოლომდეც ვერ აღმოფხვრის.

Dუფფ & Pჰელპს-ის აუდიტორებმა დაიწყეს "რეინჯერსის" ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა და გაოცებულებმა აღმოაჩინეს, რომ უაიტის მიერ კლუბის ყიდვის დღიდან დაწყებული ორგანიზაციას არც ერთი მიმდინარე გადასახადი არ გადაუხდია სახელმწიფოს ბიუჯეტში. ამ პერიოდში დაგროვილი თანხა 9 მილიონ ფუნტს აჭარბებს. ეს იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო სამსახური "რეინჯერსს" იქამდეც ედავებოდა 49 მილიონს. "რეინჯერსის" კრედიტორებს შორის დამატებით გაჩნდნენ ისეთი სახელები, როგორიც არის "ჰართსი" (**ლი უოლესის** გადაუხდელი ტრანსფერის გამო) და "დანფერმლაინი". უკანასკნელმა გლაზგოელებს 2012 წლის 11 თებერვლის თასის თამაშზე 1500 ბილეთი გამოუყო და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბილეთი გაიყიდა, მის ანგარიშზე ჯერ ერთი პენსიც არ ჩარიცხულა.

"რეინჯერსის" გულშემატკივრები "ტვიტერსა" და "ფეისბუქში" უკვე იმედგაცრუებულები წერენ, რომ მათი აზრით, პრეზიდენტი ჩვეულებრივი თაღლითი გამოდგა, ვისმა მაქინაციებმაც კლუბი პრაქტიკულად გაკოტრებამდე მიიყვანა. 13-ში საღამოს, გულშემატკივრები "აიბროქსთან" შეიკრიბნენ, სადაც უაიტის ოფიციალურ განცხადებას მოუსმინეს და ის სტვენითა და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეამკეს, შემდეგ კი პრეზიდენტის კუთვნილი მანქანისთვის გზის გადაკეტვა სცადეს. პოლიციის დახმარებით უაიტმა მშვიდობიანად დააღწია თავი გააფთრებული გულშემატკივრების ალყას და პირდაპირ აეროპორტს მიაშურა, საიდანაც ის ლონდონში გადაფრინდა.

ჟურნალისტებმა კომენტარისთვის "რეინჯერსის" დამრიგებელ **ალი მაკოისტის** მიმართეს. შოტლანდიური ფეხბურთის 49 წლის ლეგენდა როგორღაც ახერხებს და ჯერ კიდევ ოპტიმისტად რჩება: "ვცდილობ, ცხოვრებას დადებითი კუთხიდან შევხედო. სხვა არჩევანი ელემენტარულად არ მაქვს. აზრი არ აქვს თვალი დახუჭო იმაზე, რაც უკვე მოხდა. ეს დღე ყველაზე შავია ჩვენი კლუბის ისტორიაში, თუმცა რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ კლუბი წინ წავიდეს. უკვე ველაპარაკე კრეიგ უაიტს, კლუბის თანამშრომლებს, ფეხბურთელებს და ვიცი, რომ ყველანი გაორმაგებული ენერგიით ვაპირებთ მუშაობას. ჩემი ფეხბურთელები ნამდვილი პროფესიონალები არიან. მათი გული ძველებურად ძგერს და ამიტომ მომავალს შიშით ანთებული თვალებით არ ველოდები. რა თქმა უნდა, ყველა ნერვიულობს, ხალხს ეშინია იმისა, თუ რა მოხდება ხვალ, სამუშაოს ხომ არ დაკარგავენ. ჩვენ ეს გვესმის. სწორედ ამიტომ უნდა ვიდგეთ ერთად. ამ კლუბს 140-წლიანი ისტორია აქვს და თუკი ყველაფერი საჭირო მიმართულებით წავა, ამ ჩავარდნასაც გადავლახავთ და კიდევ უფრო გავძლიერდებით".

ამბები



მანიუმ ორივე ვეტერანი დაიბევა

## გიგზის შემდეგ სქოულზიც

"მანჩესტერ იუნაიტედმა" რამდენიმე დღის წინ 2013 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი 38 წლის **რაიან გიგზს**. გუშინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის ჩემპიონები იმავე ვადით სთავაზობენ ხელშეკრულებას 37 წლის **პოლ სქოულზსაც**. მოგეხსენებათ, პოლი ფეხბურთს 8-თვიანი პაუზის შემდეგ იანვარში დაუბრუნდა და "წითელი ეშმაკების" რიგებში ერთ-ერთი საუკეთესოა. ეს კი არა, უკვე იმაზეც კი ალაპარაკდნენ, რომ პოლი ევრო 2012-ზე ინგლისის ნაკრებშიც უნდა იყოს. **ალექს ფერგიუსონს** დაშავებული ფეხბურთელები ნელ-ნელა უბრუნდებიან, თუმცა შოტლანდიელი ვეტერანი შუახაზელის აუცილებლობაში ძველებურად დარწმუნებულია.

## იოლად ამოსაცნობი

"გარდიანთან" ინტერვიუში "არსენალის" ლეგენდარულმა თავდამსხმელმა, 42 წლის **დენის ბერგკამპმა** "მეთოფეთა" ახლანდელი თაობა გააკრიტიკა. მისი აზრით, ლონდონელთა თამაში იოლი გასაშიფრია. "არ ვარ დარწმუნებული, რომ "არსენალის" ფეხბურთელები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს სათანადოდ უმკლავდებიან. დროდადრო ვახერხებ მათი მატჩების ყურებას და ყოველ ჯერზე ვრწმუნდები, რომ ეს გუნდი იოლად პროგნოზირებადია. გუნდი ყოველ მხრივ განვითარებული უნდა იყოს, ჰყავდეს ძლიერი ლიდერები, რომლებიც დანარჩენებს გაუძღვებიან დაძაბულ შეხვედრებში. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ "არსენალს" სერიოზული პრობლემები აქვს," – აცხადებს დენის ბერგკამპი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. I ტურის შეჯამება



ჩემპიონის პირველი გოლი დარიო ცვიტანიჩმა გაიტანა

# რას ვიზამთ, ეს არგენტინაა

## კლაუსურა ბევრი ნულით დაიწყო

**ლანუსი–სან ლორენსო 4:1**

გოლები: 1:0 ბრაგიერი (10), 2:0 ფრიტცლერი (16), 3:0 პავონე (24), 4:0 პავონე (49), 4:1 ბუენო (59)

გაძევება: ჩილა (78. სან ლორენსო), მესა (90. სან ლორენსო)

**ბოკა ხუნიორსი–ოლიმპო 2:0**

გოლები: 1:0 ცვიტანიჩი (41), 2:0 მოუჩე (66)

**ესტუდიანტესი–ნიუელსი 1:1**

გოლები: 1:0 ბოსელი (35-პენ), 1:1 ურუტი (49)

**სან მარტინი–ინდეპენდიენტე 1:0**

გოლი: 1:0 კაპრარი (61)

გაძევება: დეფედერიკო (90. ინდეპენდიენტე)

**ატლეტიკო–ბანფილდი 3:0**

გოლები: 1:0 ფისორე (16), 2:0 განდინი (60), 3:0 ? (90)

**ველესი–გოდოი კრუსი 1:1**

გოლები: 1:0 ობოლო (16), 1:1 კასტილიონი (25)

**არხენტინოსი–სანტა ფე 0:0**

გაძევება: მონტერო (63. სანტა ფე)

| | |
|---|---|
| ბელგრანო-ოლ ბოისი | 0:0 |
| რასინგი-ტიგრე | 0:0 |
| კოლონი-არსენალი | 0:0 |

თქვენ წინაშეა კლაუსურას პირველი ტურის შეჯამება. რას ვიზამთ, ეს არგენტინაა - სასტარტო ტურის 10 მატჩიდან 4 ნულოვანი ფრით დამთავრდა, ჩემპიონატის 20 მონაწილისგან ცხრამ ვერ შეძლო მეტოქის კარში თუნდაც ერთი გოლის გატანა.

### ტურის მოვლენები

უპირველესი მოვლენა ჩემპიონატის სტარტია, ჩემპიონატის, რომელიც ალბათ უკანასკნელად ტარდება საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირებს (აპერტურა, კლაუსურა). ხუთი მწვრთნელისთვის (**ბასილე, და სილვა, პუმპიდო, რივოირა, მარტინო**) ეს იყო სადებიუტო ტური ახალ კლუბებში. სხვათა შორის, ერთმაც კი ვერ მოიგო...

### ტურის სკანდალი

„ესტუდიანტესისა" და „ნიუელს ოლდ ბოისის" შეხვედრის მსაჯმა **სილვიო ტრუკომ** ტრიუკები ჩაატარა. მან არ დანიშნა პირველი ტაიმის მიწურულს აშკარაზე აშკარა პენალტი. მასპინძელთა ფორვარდი **ბოსელი** უკვე მზად იყო დაემატებინა, როცა უკნიდან სასტიკად მოცელეს. სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა პენალტი და წითელი ბარათი **პელერანოს** რგებოდა. მსაჯმა კი მშვიდად, თამაში გააგრძელეთო. „ოლდ ბოისის" კარში 7-8 წუთის წინ ტრუკომ ერთი პენალტი უკვე დანიშნა და მეორის დანიშვნა შეეშინდა? ამ შეცდომამ თამაშის ჩარხი შემოატრიალა, მეორე ტაიმში სტუმრებმა გაათანაბრეს.

### ტურის ციფრები

პირველ ორ მატჩს, რომლებშიც 7 გოლი გავიდა, მოჰყვა რვა შეხვედრა, სადაც უკვე მხოლოდ 8 გოლი გავიდა. არგენტინის ჩემპიონატს სერიოზულად უჭირს შედეგიანობის თვალსაზრისით. მასპინძლებმა 9:6 მოიგეს. სხვათა შორის, ასეთი დაბალი შედეგიანობის მიუხედავად ტურში ორი დუბლი გვაქვს: თავი **დარიო განდინმა** და **მარიანო პავონემ** გამოიჩინეს.

### ტურის მატჩი

რასინგი-ტიგრე

მხოლოდ ამათ ეპატიებათ ნულოვანი ფრე, რადგან თამაში სინამდვილეში ძალიან კარგი გამოდგა. ორივე გუნდი შემტევ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა და მაყურებელმაც ისიამოვნა სანახაობით, რომელსაც მხოლოდ გოლები აკლდა.

### ტურის გუნდი

ლანუსი

**პირველი მატჩი „ლანუსმა" იდეალურად წარმართა. უკვე 25-ე წუთისთვის „სან ლორენსო" განადგურებული იყო.**

### ტურის გმირი

დარიო განდინი

რაფაელას „ატლეტიკომ" ძალიან იოლად მოუგო თავის კონკურენტს (პრიმერადივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლაში), ამაში განდინის დიდი დამსახურებაა, ფორვარდის ანგარიშზე დუბლი და საგოლე პასია.

### ტურის ფრაზა

„ინდეპენდიენტეს" ფეხბურთელი **მათიას დეფედერიკო** ასე აფასებს **საულ ლავერნის** მსაჯობას „სან მარტინთან" მატჩში: *„ლავერნი ქედმაღალია. „სან მარტინი" ჯარიმდებოდა ყოველ წუთში, მაგრამ ამ გუნდს არავინ სჯიდა. მსაჯი არ ფიქრობდა მათზე, ვინც კარგად და წესების დაცვით თამაშობს".*

### ტურის გოლები

**ფაკუნდო კასტილიონი** (გოდოი კრუსი) „ველესის" კარში.

**მათიას ფრიტცლერი** (ლანუსი) „სან ლორენსოს" კარში.

**კარლოს ბუენო** (სან ლორენსო) „ლანუსის" კარში.

### ბრძოლა გადარჩენისთვის

კლაუსურის სტარტით პრიმერაში დარჩენისთვის გაფთრებული ბრძოლა დაიწყო. ცხრილიდანაც კარგად ჩანს, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნება: 20. ოლიმპო - 1;103; 19. ტიგრე - 1,145; 18. სან ლორენსო - 1,229; 17. ოლ ბოისი - 1,258.

● სავარაუდო ტრანსფერი

## ბორხა: რეალს თუ ვუნდოდი, იქ არ ვიყავი?

„ვილიარეალის" ნახევარმცველი **ბორხა ვალერო** აღფრთოვანებულია, როცა მისით დიდი გუნდები ინტერესდებიან, მაგრამ მიიჩნევს, რომ ტრანსფერი „რეალში" არარეალურია: *„ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ მე შეიძლება „რეალში" გადავიდე, ადრე „ბარსელონაში" „მიშვებდნენ". ეს საუბრები, რა თქმა უნდა, სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ კონკრეტული ნიადაგი მათ არ აქვს - არა მგონია, „რეალმა" ჩემში მილიონები გადაიხადოს, მით უფრო, რომ არცთუ დიდი ხნის წინ სრულიად უსასყიდლოდ შემელია",* - განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „სამეფო კლუბმა" თავისუფალი აგენტის სტატუსით 2007 წელს გაუშვა. ბორხას „ვილიარეალთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.



ბორხა ვალერო ვილიარეალის ნამდვილი ლიდერია

● ვარსკვლავი

## ჩავის აღიარება და ტრავმა

21 თებერვალს კატალონიის ფეხბურთის ფედერაცია გალა-დაჯილდოებას გამართავს და 2011 წელს გამორჩეულებს დააჯილდოვებს. ფეხბურთელთა შორის საუკეთესოდ „ბარსელონას" 32 წლის ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** დაასახელეს, ხოლო **ხოსეპ გვარდიოლა** კატალონიის წლის საუკეთესო მწვრთნელია. კატალონიის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის განკუთვნილ ჯილდოს „ესპანიოლის" ფორვარდი **ალვარო ვასკესი** მიიღებს.

ჩავიმ „ლევერკუზენთან" შეხვედრა წვივის უკანა, სამთავა კუნთის პრობლემების გამო გამოტოვა. დღეს ექიმები დააზუსტებენ, თუ რა ხნით მოუწევს ვეტერანს დასვენება.



ლევერკუზენის ტრიბუნებზე, ჩავი (მარცხნივ) გუნდელებთან ერთად

● ფრთიანი ფრაზები

## კლემენტემ დაიწყო...

ფრთიანი ფრაზებით ცნობილი, „სპორტინგის" ახალი თავკაცი **ხავიერ კლემენტე** ისევ „ფორმაშია". აი, რა განუცხადა ბასკმა ჟურნალისტებს: *„ჩვენ არ დავკარგავთ დროს იმაზე, რომ კლუბმა კარგად თამაში დაიწყოს. კარგი თამაში არის მოგება და მორჩა",* - ეს ერთი. *„არ ვიცი გუნდის კალენდარი და არც ვნახავ, ვიცი მხოლოდ მომდევნო თამაში ვისთან გვაქვს",* - ეს მეორე. დაბოლოს: *„მანოლო პრესიადოსავით ტკბილი მოხუცი არა ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, ფანები მეც შემიყვარებენ. უმაგათოდ არაფერი გამოდის".*




ხავიერ კლემენტე

● გოლეადორი

## ჰეთთრიკოსანი



კრიშტიანო რონალდო 27 გოლით ევროპული ლიგების საუკეთესო მეგოლეა

მადრიდის „რეალის" ოფიციალური საიტი იუწყება, რომ **კრიშტიანო რონალდომ** ლა ლიგაში ჰეთ თრიკების რიცხვით კლუბის ისტორიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „ლევანტესთან" მატჩში პორტუგალიელმა გოლეადორმა „რეალის" მაისურით ჩემპიონატში მე-13 ჰეთ თრიკი შეასრულა და კლუბის ლეგენდა **ფერენც პუშკაშს** (12 ჰეთ თრიკი) გადაუსწრო. ისე, პირველ ადგილამდე ძალიან შორია, თუნდაც რონალდოს დარი მეგოლესთვის - **ალფრედო დი სტეფანომ** ლა ლიგაში 22 ჰეთ თრიკი შეასრულა. სხვათა შორის, 3-ზე მეტი ჰეთ თრიკი „ლოს ბლანკოსის" ისტორიაში მხოლოდ 8 ფეხბურთელს აქვს შესრულებული. რონალდოს 13 ჰეთ თრიკიდან 2 სინამდვილეში მეტიცაა - შარშანდელ სეზონში მან „რასინგისა" და „სევილიას" კარში 4-4 გოლი გაიტანა. სეზონების მიხედვით ასეა: მისთვის პირველ სეზონში (2009/10 წლები) რონიმ მხოლოდ 1 ჰეთ თრიკი შეასრულა, მეორეში - 6, ახლა კი ჯერ შუა სეზონია და მის ანგარიშზე უკვე 6 ჰეთ თრიკია.

● მოსაზრება

## დელ ბოსკე მადრიდს ითხოვს

სად გაიმართება ესპანეთის თასის ფინალი, ჯერაც უცნობია. დისკუსიაში ესპანეთის ნაკრების თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** ჩაერთო, რომელიც ფინალის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართვის მომხრეა: *„ძალიან კარგი იქნება ყველასთვის თუ თამაში მადრიდში გაიმართება. ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება ერთიანობა. ფინალი მომგებიანი იქნება ქალაქისთვისაც, რადგან მისი რესტორნები და სასტუმროები ფანებით გაივსება",* - განაცხადა დელ ბოსკემ „რადიო ონასთან" ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ფინალისტები, „ბილბაო" და „ბარსელონა" თამაშის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართვას ითხოვენ, მაგრამ ფედერაციას ჯერ არ მიუღია „სამეფო კლუბისგან" დასტური, რომ გუნდი თანახმაა ფინალი მის სტადიონზე გაიმართოს. დაპირისპირება 20 ან 25 მაისს უნდა ჩატარდეს, სათადარიგო ვარიანტი უკვე შერჩეულია - „მესტალია". ფედერაციის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა გაოცებით განაცხადა, რომ პირველად ისტორიაში შეეჩეხა კლუბს, რომელსაც არ უნდა ფინალი მის სტადიონზე გაიმართოს.



დელ ბოსკემ რეალის ბოსები დაამუნათა

● ვალენსია

## ვალენსია ალბას ელაპარაკება

არცთუ დალხენილი ფინანსური ცხოვრების გამო „ვალენსია" კარგავს და კარგავს პირველი ხარისხის ვარსკვლავებს. ამის ნათელი მაგალითებია **დავიდ ვილიას, დავიდ სილვას** და **ხუან მატას** ტრანსფერები. დიდი ხანია, „ღამურები" კიდევ ერთი ასეთი საფრთხის წინაშე არიან - მარცხენაფლანგელი **ხორდი ალბა** „ბარსელონას" სურს.



ღამურებს შეიძლება კიდევ ერთი ვარსკვლავი გაუფრინდეს

„ვალენსია" ცდილობს, შეინარჩუნოს ალბა. ამ დღეებშიც კლუბი მოლაპარაკებას მართავს ფეხბურთელთან და მის აგენტებთან ახალ ხელშეკრულებაზე. მიმდინარე კონტრაქტს კი ვადა 2013 წლის ივნისში ეწურება. წლის ბოლოს მოლაპარაკებათა რაუნდი ჩაიშალა, თუმცა ახლა კლუბმა ის კვლავ განაახლა. პრეზიდენტი **მანუელ ლორენტე**, სპორტული დირექტორი **ბრაულიო ვასკესი** და 22 წლის ფეხბურთელის აგენტები კვლავ მიუსხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას. როგორც „მარკა" იუწყება, ჯერჯერობით მოლაპარაკებას პროგრესი არ ახლავს.

● სევილია

## SOS სევილია

გუშინ „სევილიას" ფორვარდი **ფრედერიკ კანუტე** მედიას წარუდგა და თქვა, რომ კლუბში ისეთი სიტუაციაა, რომ სასწრაფოდ ზომებია მისაღები, რომ არ მოხდეს კატასტროფა. კაპიტანმა და ფანების ერთ-ერთმა უსაყვარლესმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ვერანაირი ახალი მწვრთნელი ვერ უშველის გუნდს, თუ ფეხბურთელებმა თავად არ მოინდომეს. *„დღევანდელი სიტუაცია ძალიან მაღელვებს. არ ვიქნები გულწრფელი, რომ არ გითხრათ. მიჩელი ჯადოქარი არ არის, რომ ერთი თამაშით ყველა პრობლემა მოეგვარებინა. ჩვენ ძალიან ბევრი გვიკლია ახლა საიმისოდ, რომ დამშვიდებულად ვიყოთ".* კაპიტანი **გარი მედელსა** და **ემირ სპაჰიჩს** შორის მომხდარ ინციდენტსაც შეეხო. მიჩელმა ორივე მოჩხუბარი დასაჯა და არ ათამაშა. *„მწვრთნელი სწორად მოიქცა. მედელმა და სპაჰიჩმა კარგად გაათვითცნობიერეს თავიანთი შეცდომა და დამეგობრდნენ კიდეც".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ფრედერიკ კანუტემ განგაშის ზარები შემოჰკრა

ინტერვიუ. სებასტიან ჯოვინკო



# იუვე კარგია, მაგრამ... მე ჩემი გზა მაქვს

**რა ამპლუის** ფეხბურთელია ალესანდრო დელ პიერო? - თავდამსხმელი? - არა. ნახევარმცველი? - არანაირად. გამთამაშებელი? - არაა, ალბათ უფრო გამთამაშებელს და თავდამსხმელს შორის, მაგრამ ასეთი ამპლუა ბუნებაში არ არსებობს... სამაგიეროდ, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ყველაზე მეტად სწორედ გამთამაშებელსა და თავდამსხმელს შორის მოიაზრებიან და საგულისხმოა, რომ ასეთი ფეხბურთელები, როგორც წესი, მხოლოდ იტალიელებს ჰყავთ. დიახ, ასეთია ალესანდრო დელ პიერო, ასეთია ფრანჩესკო ტოტი, ასეთია ანტონიო კასანო, ასეთი იყო რობერტო ბაჯო, ასეთი იყო ჯუზეპე სინიორი... ასეთ ფეხბურთელებს იტალიაში ფანტაზისტას უწოდებენ და სრულიად სამართლიანად, რადგან სწორედ ისინი ქმნიან შოუს, სანახაობას, იმას, რისთვისაც გვიყვარს ფეხბურთი. ამბობენ, რომ ასეთია სებასტიან ჯოვინკოც, 25 წლის ფანტაზისტა, რომელიც დღეს „პარმას" ღირსებას იცავს და როგორც თავად აცხადებს, ემილიაში თავს შესანიშნავად გრძნობს. სებას „რაი სპორტმა" საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის შემოკლებულ ვერსიასაც ქვემოთ გთავაზობთ...

**- ჯანფრანკო ძოლამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალესანდრო დელ პიეროს მემკვიდრე სწორედ თქვენ უნდა გახდეთ, ეთანხმებით მას?**

- ანუ, გამოდის, რომ მომდევნო სეზონიდან „იუვენტუსში" უნდა გადავბარგდე და დელ პიერო შევცვალო... თუმცა, არც მთლად ასეა საქმე, რადგან ეს სიტყვები ძოლამ თქვა და არა ანტონიო კონტემ. სიმართლ;ე გითხრათ, „პარმაში" თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. რაც შეეხება დელ პიეროს, ის უდიდესი ფეხბურთელია და მისი შეცვლა ასე იოლი არ არის.

**- ანუ, „იუვენტუსში" დაბრუნების პერსპექტივა არ გხიბლავთ...**

- „იუვენტუსს" ბავშვობიდან ვქომაგობ და ყოველთვის მინდოდა ამ გუნდის ღირსების დაცვა, მაგრამ თინეიჯერი აღარ ვარ და იქ მირჩევნია ვიყო, სადაც მენდობიან. რამდენჯერაც დავბრუნდი ტურინულ გრანდში, იმდენჯერ იმედები გამიცრუვდა და აღარ მინდა იგივე კიდევ ერთხელ განმეორდეს. არავის ვაკრიტიკებ, „იუვე" ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია და სწორი კურსით მიდის, თუმცა მე ჩემი გზა მაქვს.

**- კი, მაგრამ უკვე 25 წლის ხართ, არ გსურთ ევროპული ფეხბურთის გრანდში ასპარეზობა?**

- ეს არ არის ჩემთვის ყველაზე მთავარი... რობერტო ბაჯო საუკეთესო წლებში „ბოლონიას" ღირსებას იცავდა, ყველაზე დიდხანს კი „ბრეშას" შემადგენლობაში იასპარეზა. მან რამდენჯერმე გააკეთა არჩევანი პატარა გუნდზე და ყოველთვის მოგებული დარჩა, ბაჯო კი ჩემთვის მისაბაძი ფეხბურთელი იყო და მისაბაძი ადამიანია დღემდე. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**- მაშინ, რა არის თქვენი მიზანი, რისკენ ისწრაფვით?**

- ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ და ეს არის ყველაზე მთავარი. თუ ჩემი ყურებით გულშემატკივარიც ნასიამოვნები რჩება, მაშინ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთავარი მიზნისთვის მიმიღწევია. ისე კი, როგორც ყველა სპორტსმენმა, გამარჯვების ფასი მეც ვიცი და ვცდილობ, თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯო. ასევე, დიდი სურვილი მაქვს, რომ ეროვნულ ნაკრებში მოვიკიდო ფეხი და დიდ საფეხბურთო ფორუმებზე ჩემი სიტყვა ვთქვა.

**- ამის ძალიან კარგი შანსი უკრაინა-პოლონეთში მოგეცემათ...**

- ამისთვის კიდევ დიდი შრომაა საჭირო და თუ სეზონის დარჩენილ ნაწილს მაღალ დონეზე არ ჩავატარებ, მაშინ განაცხადს მიღმა დავრჩები. ეს კარგად ვიცი და იმიტომ არის, რომ თითოეულ თამაშზე გაორმაგებული მოტივაციით გავდივარ.

**- ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსები მას შემდეგ გაგეზარდათ, რაც ანტონიო კასანო და ჯუზეპე როსი ხანგრძლივი დროით ჩამოშორდნენ ფეხბურთს...**

- ასე მსჯელობა არასწორია, რადგან თუ საკლუბო დონეზე საუკეთესო შესაძლებლობები ვერ წარმოვაჩინე, ნაკრებში მაინც ვერ მოხვდება და ასეთ შემთხვევაში, ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ჯანმრთელი და ვინ ტრავმირებული. დიდი იმედი მაქვს, რომ კასანო და როსი ევროპის ჩემპიონატამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებენ. მათთან ერთად „სკუადრა აძურა" ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ეს კი უმთავრესია.

**- რომელ ამპლუაში გირჩევნიათ თამაში ეროვნულ ნაკრებში?**

- „აძურაში" ასპარეზობა იმდენად დიდი პატივია, რომ ამპლუას ნამდვილად არ დავეძებ. ისე კი, ყველაზე კომფორტულად თავს ფორვარდების უკან ვგრძნობ და ასეა როგორც კლუბში, ისე ნაკრებში. ასეთ დროს, შეგიძლია საკუთარ თავზეც აიღო თამაში და ფორვარდებიც მოამარაგო პასებით. თუმცა, უმეტესად მაინც შეტევის წინა ხაზზე მიწევს ასპარეზობა და ალბათ მომავალშიც ასე იქნება.

**- დაბოლოს, რას უნდა ველოდოთ მომავალში ჯოვინკოსგან?**

- მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია, ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. თავს არ დავზოგავ, რომ ჩემი თამაშით გულშემატკივრებს სიხარული მივანიჭო და დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**ლაშა წიკლაური**

ტრავმა

# იოვეტიჩი ძველ სტიქიაში

იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფიორენტინას" ერთ-ერთ ვარჯიშზე **სტევან იოვეტიჩმა** ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ლაზარეთს მიუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ჩერნოგორიელ ფორვარდს თავის დროზე ჯვარედინი მყესები გაუწყდა და ამის გამო პრაქტიკულად მთელი სეზონი გამოტოვა. აი, რას ამბობს „ფიორენტინას" მთავარი ექიმი:

*„სტევანმა წვრთნისას ფეხში ტკივილი იგრძნო, მაგრამ სამწუხაროდ არ შეიმჩნია და ჩვეულებრივად განაგრძო ვარჯიში. ასეთ დროს, აუცილებელია, რომ გაჩერდე და ტრავმირებულ ფეხს დასვენების საშუალება მისცე. იოვეტიჩმა სრული დატვირთვით ივარჯიშა და შედეგად, ძველმა ტრავმამ იჩინა თავი. შაბათს მას დეტალურ გამოკვლევას ჩავუტარებთ და გაცხადდება, თუ რამდენ ხანს მოუწევს უქმობა. წესით, სერიოზული ტრავმა არ უნდა იყოს და ჩემი წინასწარი ვარაუდით, მაქსიმუმ 10 დღე უნდა დაისვენოს".*

მოკლედ, იოვეტიჩმა მორიგი ტრავმა მიიღო და უკვე გადაწყვეტილია, რომ მინიმუმ სერია A-ს მომდევნო ტურის შეხვედრას გამოტოვებს. იმედი დავიტოვოთ, რომ ექიმის პროგნოზი გამართლდება.

**ლაშა წიკლაური**



სტევან იოვეტიჩი ისევ დაშავდა

იუვენტუსი

# ბარცალი კონტრაქტს ახანგრძლივებს

„იუვენტუსის" მესვეურებმა **ანდრეა ბარცალი** გერმანული „ვოლფსბურგიდან" მხოლოდ ნახევარ მილიონ ევროდ იყიდეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფერმა 100%-ით გაამართლა. ანდრეამ ტურინულ გრანდში მყარად მოიკიდა ფეხი, ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლავთ. ბუნებრივია, ტურინელები მისით ძალიან კმაყოფილნი არიან და 30 წლის მცველთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას აპირებენ. ამის შესახებ განცხადება კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** გააკეთა:

*„ბარცალის ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის ზაფხულში გადის, თუმცა აქედანვე შევთანხმდით, რომ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება. ანდრეა სტაბილურობით გამოირჩევა, ნამდვილი პროფესიონალია და ძალიან მიხარია, რომ შეთანხმებას ყველანაირი პრობლემების გარეშე მივაღწიეთ. მართალია, ახალი ხელშეკრულებისთვის ჯერ ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ ეს მხოლოდ დროის ამბავია".*

**ლაშა წიკლაური**




ანდრეა ბარცალი

ბორუსია

# კლოპი სამუდამოდ?

## ბოსი ვატცკე: იურგენს არასდროს გავაგდებ!

ბერლინის „ჰერტას" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** დანიშვნიდან ზუსტად 43 დღეში გაუშვეს, დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელები კი გვაჩვენებენ, რომ სხვანაირადაც შეიძლება. გერმანიის ჩემპიონის გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**, რომელმაც ცოტა ხნის წინ ვესტფალიურ კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა, ამბობს, ჩვენს მწვრთნელ **იურგენ კლოპს** არასდროს გავათავისუფლებო.

*„ზოგადად, ცხოვრებაში ძალიან ცოტა რამეს გამოვრიცხავ ხოლმე, მაგრამ იმის თქმა კი ნაღდად შემიძლია, რომ სანამ „დორტმუნდის" მენეჯერი ვარ, კლოპს არ გავათავისუფლებ. რაც არ უნდა მოხდეს, იურგენს ჩემი სურვილით არ გავუშვებ!"* - აცხადებს ვატცკე „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ იურგენ კლოპი BVB-ს 2008 წლიდან წვრთნის და გასულ სეზონში „ბორუსიას" გერმანიის ჩემპიონობა მოაპოვებინა. დღეისათვის დორტმუნდულ კლუბთან კონტრაქტი იურგენსაც 2016 წლამდე აკავშირებს. მაინც, რატომ აძლევს ვატცკე კლოპს ასეთ გარანტიას? დორტმუნდის შეფი: *„ჩვენ, კლუბის ხელმძღვანელები, კლოპის შესაძლებლობებში აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ და დღესვე ვიცით, რომ მისი გაშვება არასდროს მოგვინდება. იურგენს ოთხი წელია ვიცნობ და ვიცი, როგორ მუშაობს. ჩვენ მას იმდენ დროს მივცემთ, რამდენიც უნდა."*

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ კლოპს გერმანიის მიუნხენის „ბაიერნში" ნაკრებში დაპატიჟებენ? ვატცკე: *„2016 წლამდე არაფერი მოხდება, ეს უკვე ვიცი. იურგენს გერმანიის ნაკრებზეც ველაპარაკე და დამპირდა, რომ რაც არ უნდა ბევრი ეხვეწონ, მინიმუმ 2016 წლამდე დორტმუნდიდან არსად წავა. მას უნდა, რომ დორტმუნდში უდიდესი ეპოქა შექმნას."*

**გოტფრიდ ლენცი**



ჰანს-იოახიმ ვატცკე (მარცხნივ) და იურგენ კლოპი

სერია A გადადებული მატჩები

**ატალანტა-ჯენოა 1:0**

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ლუკინი, სტენდარდო, მანფრედინი, პელუზო – კაროცა, ჩიგარინი (82. კაცოლა), სკელოტო (60. ბონავენტურა), ბრივი – გაბიადინი (67. მარილუნგო), დენისი.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – გრანკვისტი, კარვალიო, როსი, კონსტანტი – ბიონდინი (81. ხორკერა), ველოზო (71. ბელუსკი), კუჩკა - სკული, პალასიო, იანკოვიჩი (85. ზე ედუარდო).

**გოლი:** 1:0 მარილუნგო (79).

**გაფრთხილება:** სტენდარდო, მანფრედინი - სკული.

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 22-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9(2)-6(0); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 21 000

**პარმა-იუვენტუსი 0:0**

**პარმა (3-5-2):** პავარინი – ძაკარდო, ფერარიო, ლუკარელი (77. სანტაკროჩე) – მოდესტო, ვალიანი (54. მუსაჩი), მორონე, მარიგა, ბიაბიანი (68. ჯონათანი) - ჯოვინკო, ფლოკარი.

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – ლიხტშტაინერი (87. კასერესი), ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - მარკიზიო, პირლო, ვიდალი – ესტიგარიბია (58. ჯაკერინი), მატრი (68. კვალიარელა), ვუჩინიჩი.

**გაფრთხილება:** ძაკარდო - ვიდალი, ბონუჩი, კვალიარელა .

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 2(1)-12(4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 45-20 | 47 |
| 2. იუვენტუსი | 22 | 12 | 10 | 0 | 33-13 | 46 |
| 3. ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 37-24 | 42 |
| 4. უდინეზე | 23 | 12 | 5 | 6 | 34-22 | 41 |
| 5. ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34-30 | 36 |
| 6. რომა | 23 | 10 | 5 | 8 | 36-27 | 35 |
| 7. ნაპოლი | 23 | 8 | 10 | 5 | 38-24 | 34 |
| 8. პალერმო | 23 | 9 | 4 | 10 | 33-34 | 31 |
| 9. კალიარი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-23 | 30 |
| 10. ჯენოა | 23 | 9 | 3 | 11 | 31-45 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23-19 | 28 |
| 12. პარმა | 22 | 7 | 7 | 8 | 27-34 | 28 |
| 13. კატანია | 21 | 6 | 9 | 6 | 27-29 | 27 |
| 14. ატალანტა | 23 | 8 | 9 | 6 | 26-27 | 27 |
| 15. კიევო | 22 | 6 | 6 | 10 | 17-29 | 27 |
| 16. სიენა | 22 | 5 | 8 | 9 | 22-22 | 23 |
| 17. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| 18. ლეჩე | 23 | 4 | 6 | 13 | 22-38 | 18 |
| 19. ჩეზენა | 22 | 4 | 4 | 14 | 15-34 | 16 |
| 20. ნოვარა | 22 | 3 | 7 | 12 | 19-40 | 16 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 17 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 13 - კავანი (ნაპოლი); 12 - დენისი (ატალანტა), კლოზე (ლაციო), მილიტო (ინტერი), პალასიო (ჯენოა), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# შიში ოხერია, ბარსა ვერაგი



ლევერკუზენელებმა მესი და ბარსა ვერ გააჩერეს

**ლევერკუზენი–ბარსელონა 1:3**

საქმე საქმეზე რომ მიდგება, „ბარსელონასთან" სასწაულის მოხდენა შეუძლებელია. ეს მაშინ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, თორემ ის, რაც გასულ უქმეებზე „ოსასუნამ" გააკეთა, სასწაული არც ყოფილა – იმ შეხვედრაში საქმე საქმეზე არ იყო მიმდგარი...

## ტაქტიკა და სტრატეგია

„ლევერკუზენის" დამრიგებელმა **რობინ დუტმა** მოლოდინისამებრ უფრთხილესი ტაქტიკა (4-1-4-1) აირჩია და იმ ერთადერთ ცენტრფორვარდ **ანდრე შიურლესაც** სულ დაცვის მისახმარებლად არბენინებდა. როცა შიურლე ფორვარდის პოზიციაზე იყო, მისი პასებით მომარაგება ფლანგებზე გამწესებულებს, **რენატოსა** და **კასტროს** ევალებოდათ, ნახევარდაცვის ცენტრში კი, შავი საქმე **როლფესს, ბენდერსა** და **რაინარტცს** უნდა ეკეთებინათ. თეორიულად, დუტმა ყველაფერი სწორად გააკეთა. საქმე ისაა, რომ თეორიის პრაქტიკაში გადატანა გაჭირდა – პირველ რიგში იმიტომ, რომ გერმანელებს თავადაც არ სჯეროდათ, რომ „ბარსელონასთან" მინიმუმ ფრის მიღწევა მაინც შეეძლოთ.

„ბარსას" **ჩავი** და **პიკე** ბოლო მომენტში გამოაკლდნენ. სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგა **ბუსკეტსი**. დაცვის ცენტრი **მასკერანომ** და **პუიოლმა** გაამაგრეს, მარცხენა ფორვარდის პოზიციაზე კი **ადრიანო კორეია** ვიხილეთ.

## რეაქციები

**რობინ დუტი:** *„პირველ ტაიმში დაცვაში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სითამამე გვაკლდა. ბიჭებს ბარსელონასი ეშინოდათ, მაგრამ ამის გამო ვერც ერთს ვერ დავძრახავ. სამაგიეროდ, მეორე ტაიმი ამ მხრივ სხვანაირი, უკეთესი იყო და მეტოქეს მთელ რიგ მომენტებში პრობლემები შევუქმენით."*

**პეპ გვარდიოლა:** *„გერმანულ გუნდებს ყოველთვის შეუძლიათ არაფრისგან მომენტების შექმნა და გოლების გატანაც. დღეს იოლად არ მოგვიგია, განსაკუთრებით მეორე ტაიმის დასაწყისში გაგვიჭირდა. მაგრამ ჩემმა გუნდმა საკადრისი რეაგირება მოახდინა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ."*

**TOP ფეხბურთელი**

**ალექსის სანჩესი (ბარსელონა)**

ჩილელი პირველ გოლამდე ბურთს მხოლოდ რვაჯერ შეეხო, მაგრამ მერე პირველივე მომენტი გამოიყენა. მერე კი, როცა გერმანელები გათამამდნენ და მეტ-ნაკლებად აზრიანად მოქმედება დაიწყეს, **ალექსის სანჩესმა** მეორედ გაარღვია მათი დაცვის ხაზი და „ბარსა" ისევ დაანინაურა. ორი შანსი, ორი გოლი – სამშაბათს ჩილელი ყველაზე ეფექტური ფეხბურთელი იყო.

**FLOP ფეხბურთელი**

**სიმონ როლფესი (ლევერკუზ.)**

მართალია, „ბაიერის" კაპიტანი ნახევარდაცვის ცენტრში **ლარს ბენდერთან** ერთად დიდი მონდომებით იბრძოდა, მაგრამ ეს მაშინ, როცა „ბარსას" შეტევები უნდა ჩაეშალა. აი, შეტევების თუ ამგვარი რალაცების დროს კი, **როლფესს** ძალიან უჭირდა თამაშის დაწყნარება და შესაბამისად თანაგუნდელების დამშვიდებაც. ესეც რომ არ იყოს, სიმონმა ორთაბრძოლების მხოლოდ 30 პროცენტი მოიგო და 18 პასიდან 8 შემთხვევაში ბურთი კატალონიელებს ჩააბარა. დუტმა თავისი კაპიტანი ამიტომაც გაიყვანა მოედნიდან – 76-ე წუთზე.

## ანალიზი

როგორც გამოჩნდა, დუტმა თავის შეგირდებს ზომიერად აგრესიული ფეხბურთისკენ მოუწოდა და მათ „ბარსას" ნახევარმცველებისთვის ხელის შეშლა მოედნის ცენტრში, საუკეთესო შემთხვევაში კი კატალონიელთა ნახევარზევე დაავალა. ამას დაკვირვებული თვალი შეხვედრის პირველივე წუთზე შეამჩნევდა – სტარტიდან 17 წამში „ბარსელონას" ნახევარზე ერთდროულად ოთხმა (!) ლევერკუზენელმა მიმართა პრესინგს. მაგრამ ამან მხოლოდ ერთ წუთს გასტანა. კატალონიელებმა მალევე გააგორეს ბურთი ისე, როგორც უყვართ და გერმანელებმაც უკან დაიხიეს. ასე განსაჯეთ, სადღაც მეორე წუთიდან მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, „ბარსელონას" თავისივე ნახევარზე თუ ვინმე აწუხებდა, მხოლოდ შიურლე.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ უკანდახეული და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან გამაგრებული ლევერკუზენელები ურიგოდ არ იბრძოდნენ. ჰო, ბურთს თითქმის მხოლოდ „ბარსა" ფლობდა, მაგრამ გერმანელებს ორთაბრძოლებში აგრესია და მონდომება არ აკლდათ, რის გამოც კატალონიელებს მომენტების შექმნა დიახაც უჭირდათ. **ლეო მესი** იძულებული ხდებოდა, უკან დაეხია და გამთამაშებლის ფუნქციები ეკისრა. არგენტინელი ხშირად მოედნის ცენტრამდეც ჩადიოდა და იქიდან იწყებდა შეტევებს, მაგრამ ამ საქმიდან უმეტესად არაფერი გამოდიოდა, რადგან „ბარსელონას" თამაში პირველ ტაიმში ზედმეტად ერთფეროვანი და სწორხაზოვანი გახლდათ. **პეპ გვარდიოლას** ბიჭებს პირველ ნახევარში ფლანგები, სადაც ალექსის სანჩესი და ადრიანო მოქმედებდნენ, პრაქტიკულად არ გამოუყენებიათ.

მიუხედავად ამისა, „ბაიერის" დაცვის ერთი შეცდომა, რაც შიშისა და მეტოქისადმი ზედმეტი პატივისცემის ბრალი იყო, საკმარისი გახდა იმისათვის, რომ „ბარსას" ტაიმი მაინც მოეგო.

ვერ ვიტყვით, რომ „ლევერკუზენმა" დაცვაში ცუდად ითამაშა – დუტის ბიჭებს მობილიზება არ აკლდათ. აი, შეტევაში კი, რაც დრო გადიოდა, მათი ცოდვა-ბრალისა და ჭირვეულობის ყურება ნელ-ნელა აუტანელი ხდებოდა. თავად განსაჯეთ: პირველ ნახევარში ლევერკუზენელებმა მხოლოდ 88 პასი გააკეთეს, კატალონიელთა ანგარიშზე კი, პირველ 45 წუთში 480 (!) გადაცემა იყო. ამას რომ თავი დავანებოთ, გერმანელები ბურთს უმეტესად მიღებისთანავე უაზროდ იგერიებდნენ.

დაიწყო მეორე ტაიმი და გამოჩნდა, რომ არც „ბარსელონაა" ისეთი გუნდი, რომელსაც გოლს ვერ გაუტან. როგორც კი გერმანელებმა შეტევაში ცოტა მეტი სითამამე გამოიჩინეს, მყისვე ანგარიში გაათანაბრეს. თანაც, ეს გოლი იმ ფეხბურთელებმა შექმნეს, რომლებიც პირველ ტაიმში ყველაზე მეტს ცდებოდნენ – ასისტენტმა **ჩორლუკამ** და ავტორმა **კადლეცმა**. მაგრამ მეტ სითამამეს, მეტი შეცდომები მოჰყვება ხოლმე და ზუსტად სამ წუთში, „ბაიერის" დაცვა ისევ აიჭრა, ალექსის სანჩესმა კი ამით კვლავ ისარგებლა და „ბარსა" მეორედ დაანინაურა. ლევერკუზენელებს აქტიურობა არ შეუწყვეტიათ და ასე განსაჯეთ, საგოლე მომენტებიც კი შეექმნათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ გააქტიურებამ „ბაიერს" საბოლოო ჯამში უარესი შედეგი მოუტანა. მესის გოლის კომბინაცია და შესრულება კი იდეალური დასკვნაა იმისა, თუ რატომ მოხდა სამშაბათს „ბაი არენაზე" ის, რაც მოხდა. და მაინც:

## დასკვნა

პირველ ტაიმში გერმანელებს ზედმეტად ეშინოდათ, შესვენების შემდეგ კი „ბარსელონას" შეუთამამდნენ და კატალონიური გრანდის დაცვის ხაზის სისუსტეებიც დაგვანახვეს. „ბარსამ" ეს თამაში კლასის ხარჯზე მოიგო. გვარდიოლას გუნდს არ უფრენია, მაგრამ როგორც ითამაშა, „ლევერკუზენის" დასამარცხებლად ესეც საკმარისი გამოდგა. საპასუხო მატჩი, რა თქმა უნდა, ფორმალობაა.

# მხოლოდ ერთი გოლი...

## რემი გარდი: იმედია, ამას საპასუხო მატჩში არ ვინანებთ

**ლიონი–აპოელ 1:0**

ნიქოზიის აპოელ-ი საფეხბურთო ევროპის გაოცებას განაგრძობს. მხოლოდ 0:1 „სტად ჟერლანზე" და მეოთხედფინალში გასვლის მართლა რეალური შანსი – კვიპროსელები აპლოდისმენტებს იმსახურებენ. „ლიონი" მეტოქეს სჯობდა და ცოტა მეტი იღბლიანობა **რემი გარდის** გუნდს მეოთხედფინალის საგზურს პირველივე მატჩის შემდეგ გაუნაღდებდა, მაგრამ საქმე სწორედ ცოტაოდენ უიღბლობაშია. 1:0 კი ის ანგარიშია, რომელიც „ლიონის" ფეხბურთელებს საპასუხო მატჩის წინა ღამეს მშვიდად ვერ დააძინებს.

ერთადერთი გოლის ავტორი **ლაკაზეტია**, რომელმაც **კრისის** პასით 58-ე წუთზე იხეირა და მასვე კიდევ ორჯერ შეეძლო ქიოტისის კარის დალაშქვრა. „ლიონმა" აპოელ-ი პირველ ტაიმშიც საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა და სცენარი არც შეხვედრის მეორე ნახევარში შეცვლილა, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ფრანგები უფრო დიდი ანგარიშით მოგებას ნამდვილად იმსახურებდნენ.

**რემი გარდი** (ლიონის მწვრთნელი): *„სამწუხაროდ, ერთზე მეტი გოლი ვერ გავიტანეთ და იმედია, ამას საპასუხო მატჩში არ ვინანებთ. ნიქოზიაში როლებს გავცვლით: მეტოქე იძულებული იქნება, შემოგვიტიოს, ჩვენ კი კონტრშეტევებზეც შეგვიძლია გოლების გატანა."*

**ივან იოვანოვიჩი** (აპოელ-ის მწვრთნელი): *„ჩემმა ბიჭებმა დღეს მაქსიმუმი გაიღეს და მაგრად იბრძოლეს – მადლობა მათ. წინ საპასუხო შეხვედრაა, რომელშიც კიდევ ერთხელ უნდა მოვიკრიბოთ ძალები და თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ. „ლიონი" ფავორიტია, მაგრამ ჩვენი შანსი იმაშია, რომ დასაკარგი არაფერი გვაქვს."*



ფრანგებს კვიპროსელთა დაცვის გარღვევა ძალიან უჭირდათ: ედერსონი (მარცხნივ) პაულო ჟორჟესა (შუაში) და ნუნუ მორაიშის (მარჯვნივ) გარემოცვაში

ბაიერნი

# რას ამბობ, კალე?

## რუმენიგემ გამოაცხადა: მსაჯები ბაიერნს ჩაგრავენ!

ამ სიტყვებს გერმანიაში დიდი დისკუსია მოჰყვება. მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბუნდესლიგის მსაჯებს შეუტია – 56 წლის კალე მიიჩნევს, რომ დღესდღეობით გერმანელი არბიტრები რეკორდმაისტერის წინააღმდეგ მოქმედებენ.

*„ჩემი აზრით, ბოლო დროს არბიტრები ზედმეტად ხშირად მოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგალითად, ჰამბურგში ჰერ კირხერმა წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაგვითვალა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მსაჯები საქმეს ასეთი დევიზით უდგებიან: საეჭვო შემთხვევებში „ბაიერნის" წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედოთ,"* - ამბობს რუმენიგე.

„ჰამბურგისა" და „ბაიერნის" დაპირისპირებაში, რომელიც 1:1 დასრულდა (მე-20 ტური), მართლაც იყო ძალიან საეჭვო ეპიზოდი, როცა მსაჯმა **კნუტ კირხერმა** რეკორდმაისტერს გოლი არ ჩაუთვალა. ხსენებულ მომენტში ჰამბურგელთა მცველმა **ჰაიკო ვესტერმანმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მსაჯმა კი **მარიო გომესზე** თამაშის წესების დარღვევა დააფიქსირა და გოლი გააუქმა. საბოლოოდ, მიუნხენელებმა ის თამაში ვერ მოიგეს, ახლა კი ცხრილში მეორე ადგილზე არიან.

*„ახლა მოვიყვან მაგალითს, რომელმაც თვალები ამიხილა. მაშინ აბსოლუტურად ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს, რომელიც მიროსლავ კლოზემ გაიტანა. მისი დარტყმის შემდეგ ბურთმა კარის ხაზი ნახევარი მეტრით გადაკვეთა! მსაჯს ვკითხე, ნუთუ ეს ყველაფერი ვერ დაინახე-მეთქი. მან გულახდილად მიპასუხა, რომ მისი აზრითაც გოლი იყო, მაგრამ მაინც თავი დაიზღვია, რადგან წარმოიდგინა, რა ამბავი ატყდებოდა, რომ ჩაეთვალა და მერე გარკვეულიყო, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია. ეს მართლაც იმას ნიშნავს, რომ არბიტრები წნეხის ქვეშ არიან და საეჭვო სიტუაციების დროს გადაწყვეტილებებს ჩვენს წინააღმდეგ იღებენ,"* - აგრძელებს რუმენიგე.



კარლ-ჰაინც რუმენიგე

ისე, ცნობილია, რომ როცა ბავარიელები მსაჯების კრიტიკას იწყებენ, ამით საფეხბურთო საზოგადოების ყურადღების გადატანა უნდათ ხოლმე მაშინ, როცა სპორტული თვალსაზრისით უჭირთ. „ბაიერნს" კი ახლა მართლაც უჭირს – ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე ყოფნას რომ თავი დავანებოთ, **არიენ რობენის** შესახებ მიუნხენელთათვის საკმაოდ არასასურველი დისკუსიაა გაჩაღებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალი. I მატჩები

# ბრწყინვალე მილანი!

## ხუთი გოლი პეტერბურგში, ბენფიკა არ გაიყინა!

**ზენიტი–ბენფიკა 3:2**

**ზენიტი (4-2-3-1):** ჟევნოვი – ანიუკოვი, ბრუნო ალვეში, ლომბერტსი, ჰუბოკანი – დენისოვი, შიროკოვი – ზირიანოვი (46. სემაკი), კანუნიკოვი (66. ბისტროვი), ფაიზულინი (92. როზინა) – კერჟაკოვი.

**ბენფიკა (4-2-3-1):** არტური – მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, ემერსონი – მატიჩი, ვიტსელი – გაიტანი (90. მიგელი), კარდოსო, ბრუნო სესარი (77. ნოლიტო) – როდრიგო (30 აიმარი).

**გოლები:** 0:1 მაქსი პერეირა (20), 1:1 შიროკოვი (27), 2:1 სემაკი (71), 2:2 კარდოსო (87), 3:2 შიროკოვი (88)

**გაფრთხილება:** ბრუნო ალვეში, ანიუკოვი – ლუიზაო, ბრუნო სესარიმ აიმარი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 12(5)-12(7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 21 000

**მილანი–არსენალი 4:0**

**მილანი (4-1-2-1-2):** აბიატი – აბატე, მექსე, ტიაგო სილვა, ანტონინი – ვან ბომელი – ნოჩერინო, ზეედორფი (12. ემანუელსონი) – კ. პ. ბოატენგი (70. ამბროზინი) – იბრაჰიმოვიჩი, რობინიო (84. პატო).

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი – სანია, კოშელნი (44. ჯურუ), ვერმაელენი, გიბსი (66. ჩემბერლეინი) – სონგი, როსიცკი – უოლკოტი (46. ანრი), რემსი, არტეტა – ვან პერსი.

**გოლები:** 1:0 კ. პ. ბოატენგი (15), 2:0 რობინიო (38), 3:0 რობინიო (49), 4:0 იბრაჰიმოვიჩი (79-პენ)

**გაფრთხილება:** ანტონინი, მექსე, ამბროზინი – სონგი, ჯურუ

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 18(5)-8(4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 64 462

ეს იყო ბრწყინვალე, თითქმის იდეალური „მილანი“, რომელმაც „არსენალი“ სასტიკად დაჩაგრა. **მასიმილიანო ალეგრის** ბიჭები პირველიდან ბოლო წუთამდე მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და ლონდონელებს აბსოლუტურად არაფერი გააბედვინეს. შეუდარებელი იყო **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომელმაც მართალია, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ისიც პენალტით, მაგრამ იბრამ ორი საგოლე გადაცემაც გააკეთა (თანაც, რა პასები?!), ხშირად მოედნის სიღრმიდან მოქმედებდა და არაერთხელ მოგვევლინა უზადო პლეიმეიკერის როლში. ყველაფერი კი **კევინ-პრინს ბოატენგის** ზღაპრული გოლით დაიწყო...

არ შეიძლება, არ შევაქოთ „როსონერის“ მეკარე **კრისტიან აბიატიც**. რომ არა ის, „არსენალი“ ორ გოლს გაიტანდა და საპასუხო მატჩსაც აზრი შერჩებოდა, აბიატიმ კი **რობინ ვან პერსის** ორი „მკვდარი ბურთი“ აულო და ეს 4:0 მისი დამსახურებაცაა. ბრავო!

■ ■ ■

მანამდე კი იყო „ზენიტისა“ და „ბენფიკას“ დაპირისპირება. სანკტ პეტერბურგის ყინვამ „ბენფიკას“ ხელი ვერ შეუშალა – მართალია, ლისაბონელები დამარცხდნენ, მაგრამ „ზენიტს“ სტუმრად ორი გოლი გაუტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პორტუგალიური გრანდი საპასუხო მატჩისთვის საკმაოდ კომფორტულ სიტუაციაში იქნება. მიუხედავად ყინვისა და მოედნის საფარის საშინელი მდგომარეობისა, მატჩი საკმაოდ სანახაობრივი და რაც მთავარია, უხვგოლიანი გამოვიდა. შეხვედრის დასაწყისში **მაქსი პერეირამ** პეტერბურგელთა სათადარიგო მეკარის, **ჟევნოვის** შეცდომით ისარგებლა და ლისაბონელები დააწინაურა. თუმცა რუსებმა წონასწორობა ზუსტად 6 წუთში აღადგინეს – ეს **რომან შიროკოვმა** ერთობ ეფექტური გოლით გააკეთა.

ვინც იფიქრა, რომ მეორე ტაიმში გუნდები უფრო ფრთხილად იქნებოდნენ, სასტიკად შეცდა: 71-ე წუთზე **სერგეი სემაკმა** მასპინძლები წინ გაიყვანა და თითქოს „ზენიტს“ ეს ანგარიში უპრობლემოდ უნდა შეენარჩუნებინა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე, **კარდოსომ** „პეტროვსკიზე“ შეკრებილი ქომაგები დაადუმა. თუმცა **ლუჩანო სპალეტის** შეგირდებმა ლისაბონელებს მაინც გაუტანეს – შიროკოვმა 89-ე წუთზე დუბლი გაიფორმა და „ზენიტს“ მოაგებინა, მაგრამ 3:2 არ არის ისეთი გამარჯვება, რომელიც რუსულ კლუბს საპასუხო მატჩისთვის მშვიდად ყოფნის საშუალებას მისცემს.

**გოტფრიდ ლენცი**



ზენიტი-ბენფიკა



არსენალს ორი გოლი რობინიომ გაუტანა

ევროპალიგა. 1/16 ფინალების წინ



ამ ფეხბურთელის ცნობა გაგიჭირდებათ, კლუბის სიმბოლიკით კი მიხვდებით, რომ ის „ბილბაოს“ წევრია - იკერ მუნიაინი, ესპანური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი მოსკოვურ ყინვას ასე ებრძვის

# როცა ცხვირი და ყურები იყინება

## ყურადღების ცენტრში ამსტერდამი და რომია

| დღეს | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ბილბაო | 21:00 |
| აიაქსი-იუნაიტედი | 21:00 |
| ალკმაარი-ანდერლეხტი | 22:00 |
| ლაციო-ატლეტიკო | 22:00 |
| ლეგია-სპორტინგი | 22:00 |
| პლზენი-შალკე | 22:00 |
| ზალცბურგი-მეტალისტი | 22:00 |
| პორტუ-სიტი | 00:05 |
| ჰანოვერი-ბრიუგე | 00:05 |
| სტიაუა-ტვენტე | 00:05 |
| სტოკი-ვალენსია | 00:05 |
| ტრაბზონი-პსვ | 00:05 |
| უდინეზე-პაოკ | 00:05 |
| ვისლა-სტანდარდი | 00:05 |

დღეს ევროპის ქალაქებში ევროპალიგის პლეი ოფის პირველი ეტაპის 14 მატჩი გაიმართება. ორი უკვე შედგა სამშაბათს, თუმცა მთავარი ბატალიები დღესაა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან იმდენი კარგი გუნდი „გადმოსამართდა“ ამ ტურნირზე, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ევროპალიგის პრესტიჟიც გაიზარდა. მოგეხსენებათ, ევროპაში უჩვეულოდ ცივა. წარმოიდგინეთ, რა იქნება მოსკოვში, სადაც ყინვა ჩვეული ამბავია. ამიტომაც, ყველაზე მეტად „ბილბაოს“ ფეხბურთელებს გაუჭირდებათ, რომელთაც მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მოუწევთ დაპირისპირება. რუსეთის დედაქალაქში ისე ცივა, რომ ბასკებმა მხოლოდ დახურულ მანეჟზე გაბედეს ვარჯიში, თუმცა ფოტოს მიხედვით ვერ იტყვით, რომ ეს დიდი შეღავათია.

ყველაზე საინტერესო დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ამსტერდამში შედგება, სადაც „აიაქსი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. მასპინძლების მთავარი პრობლემა ნახევარმცველ **ტეო იანსენის** არყოფნაა. სერ **ალექს ფერგიუსონს** არ ეყოლება ტრიო: **ბერბატოვი, ევრა** და **გიგზი**. დიდი დაპირისპირება იქნება რომშიც, სადაც **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკო“ ჩაჰყავს ყოფილ გუნდ „ლაციოსთან“ სათამაშოდ. არგენტინელმა სწორედ ამ ორ გუნდში გაითქვა სახელი. ახლა კი „როხიბლანკოსის“ მწვრთნელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტოტენჰემი

# ჰადლსტოუნის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტომ ჰადლსტოუნი

"ტოტენჰემის" გულშემატკივრებს სამწუხარო ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ: ლონდონელებს 25 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ტომ ჰადლსტოუნი** ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში დაუშავდათ. ნაიარევ ტერფზე პირველმა ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც მას ხვალ განმეორებითი ქირურგიული ჩარევა ელის. ფეხბურთელს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს. კონკრეტულ თარიღზე, როდის მოახერხებს ჰადლსტოუნი გუნდში დაბრუნებას, არაფერია ცნობილი. ორი წლის წინ, როცა "ტოტენჰემმა" არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზური, საყოველთაო აღიარებით ტომი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

"სან პაულუსა" და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი **ბრუნო უვინი** კარიერას "ტოტენჰემში" განაგრძობს. 20 წლის ცენტრალურ მცველს "უაით ჰართ ლეინზე" თამაში მხოლოდ მომავალი სეზონიდან შეეძლება, რადგან, მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯარა ივნისამდე არ გაიღება. ამ დრომდე ფეხბურთელი "დეზების" რეზერვისტთა შორის იჯარის წესით იასპარეზებს. თუკი ბრუნო მწვრთნელების ნდობას დაიმსახურებს, "სან პაულო" მას 3,7 მილიონ ევროდ დათმობს, - ინფორმაციას ამის შესახებ ბრაზილიური ვებგვერდები ავრცელებენ. "ტრიბალფუტბოლის" ინფორმაციით კი, უვინის სამსახურით დაინტერესებული იყვნენ "ჯენოა" და "არსენალიც", მაგრამ მათ ფეხბურთელის გადაბირება ივნისიდან სურდათ. "დეზებმა" მათ განჭრიახობით აჯობეს. უვინი "სან პაულუში" 2010 წლიდან ირიცხება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. ვფიქრობთ, ამ მიზნის მიღწევა მას ლონდონში უფრო გაუჭირდება, რადგან "ტოტენჰემში" უმაღლესი კლასის ცენტრალური მცველები ირიცხებიან (**ლედლი კინგი, იუნეს კაბული, ვილიამ გალასი, მაიკლ დოუსონი**). უვინიმ ყურადღება 2011 წელს ჩატარებულ სამხრეთ ამერიკისა და მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატებზე მიიქცია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ევერტონი



ლენდონ დონოვანი

# დონოვანის შორეული ოცნება

"ევერტონის" ცენტრალურმა მცველმა **ფილ იაგიელკამ** ფეხის ტრავმა იანვრის პირველ რიცხვებში მიიღო. ფეხბურთელს ტკივილები უკვე დაუამდა და რამდენიმე დღის წინ სრულფასოვან ვარჯიშსაც დაუბრუნდა. **დევიდ მოიესის** განცხადებით, ის არ გამორიცხავს, რომ კვირას, "ბლეკპულთან" ასოციაციის თასის მე-5 ეტაპზე ფეხბურთელი განაცხადში შეიყვანოს. *"იანვარი ჩემთვის მძიმე თვე აღმოჩნდა. ყოველთვის რთულია გარედან პროცესებისთვის თვალის დევნება. ახლა ყველაფერი ნელ-ნელა თავის ადგილზე დგება. იმედია, მოედანზე დაბრუნებას უახლოეს ხანებში შევძლებ. ვფიქრობ, ორი კვირის მერე უკვე ფორმაში ვიქნები. ამის შემდეგ კი აუცილებლად ვიბრძოლებ ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად,"* – აცხადებს 29 წლის მცველი.

მას მერე, რაც **ლენდონ დონოვანს** "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" კონტრაქტი ამოეწურება, "ევერტონს" 29 წლის ნახევარმცველისთვის სრულფასოვანი ხელშეკრულების შეთავაზება აქვს დაგეგმილი. "გუდისონ პარკზე" ამერიკელს იჯარის ვადა გასულ უქმეებზე დაუმთავრდა. დონოვანი უკვე გაემგზავრა "ანგელოზთა ქალაქში". 7 არასრული მატჩის განმავლობაში ამერიკელმა 3 საგოლე გადაცემა მიითვალა, რითაც თავისი მაღალი კლასი დაამტკიცა. "ევერტონთან" ხანგრძლივი თანამშრომლობის იდეა ლენდონსაც საკმაოდ ხიბლავს. *"ამ კლუბში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მიხარია, რომ მეორედ აღვიქვამ თავს აქაურობის სრულფასოვან წევრად (2 თვით ის 2010 წელსაც თამაშობდა "ევერტონში"). "გალაქსის" ხელმძღვანელობამ ნათლად მაგრძნობინა, რომ ძალიანაც რომ მომენდომებინა, "ევერტონში" არ დამტოვებდა, აი, მომავალში რა მოხდება არავინ იცის. ამერიკული კონტრაქტის ამოწურვამდე 2 წელი დამრჩა. იქამდე დიდი დროა, მაგრამ მაინც ვნახოთ რა მოხდება,"* – აცხადებს ფეხბურთელი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## გუშინ სიტიში

გუშინ "მანჩესტერ სიტის" ბაზაზე გულშემატკივართა უჩვეულო სიმრავლე იგრძნობოდა. აშკარა იყო, რომ ისინი **კარლოს ტევესის** სანახავად იყვნენ შეკრებილები. მათ იმედი გაუცრუვდათ. ევროპის ლიგაზე "პორტუს" წინააღმდეგ გუნდის მზადებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. როდის მოახერხებს არგენტინელი გუნდში სრულფასოვნად დაბრუნებას, ჯერ უცნობია.

## კაპიტანი ისევ არ იქნება

კვირას, 18 თებერვალს, ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპის შეხვედრაში "ბირმინგემის" წინააღმდეგ **ჯონ ტერი** მინდორზე არ იქნება, გვამცნობს "ლონდონ ივნინგ სტანდარტი". მიზეზი არა მისი ჯანმრთელობა, არამედ მწვრთნელის გადაწყვეტილებაა. **ანდრე ვილაშ ბოაში** კაპიტნის ჯანმრთელობის გარისკვას არ აპირებს. სამაგიეროდ, ფეხბურთელი 21 თებერვალს ჩემპიონთა ლიგის პირველ 1/8-ფინალურ მატჩში ნეაპოლის "სან პაოლოზე" იქნება სასტარტო შემადგენლობაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

ძიუდო. ოლიმპიური რეიტინგი

# ისევ სრული კომპლექტი

## სალიცენზიო დავა პიკს უახლოვდება, კონკურენცია იზრდება

**გამოქვეყნდა** ძიუდოისტთა ახალი სალიცენზიო რეიტინგი, რომელსაც ჩვენი გუნდის ზოგადი მდგომარეობა არ შეუცვლია - კვლავაც შვიდივე წონაში ვილებთ ოლიმპიადის საგზურს, აქედან ექვსში პირდაპირ შევდივართ 22-კაციან სალიცენზიო ზონაში, 66-ში კი - ევროპული კვოტით. სამაგიეროდ, ზოგიერთ წონაში შიდა კონკურენცია კიდევ უფრო დაიძაბა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### 60 კგ

აქ ისევ ორ საგზურს ვილებთ - 22-კაციან სიაში 810-ქულიანი **ამირან პაპინაშვილი** V, 482-იანი **ბეთქილ შუკვანი** კი XIV ადგილზე არიან. სტაბილურობით პაპინაშვილი ისედაც გამოირჩეოდა, თუმცა ამ მხრივ უკვე შუკვანმაც გამოიჩინა თავი, რომელმაც მოიგო ბოლო ორი ტურნირი - თბილისსა და ავსტრიაში. ეს ქულები ფრიად ნაადგა, თუმცა რამდენიმე დღეში 2010 წელს გერმანიის „დიდ პრიზზე" მოპოვებული ქულები გაუნულდება, რაც სალიცენზიო ჩათვლაში 20 ქულას დააკლებს. ამის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ამ უქმეებზე გერმანიაშივე, დიუსელდორფის „დიდ პრიზზე" წარმატებით ჭიდაობაა - თუნდაც მეხუთეზე გავიდეს ანუ მედლისთვის იჭიდაოს, 40 ქულას მიიღებს ანუ არათუ დააკლდება რამე, პირიქით, ცოტას მოიმატებს კიდეც. პაპინაშვილს განულება არ ემუქრება, მაგრამ შარშან გერმანიაში მოპოვებული 40 ქულა გაუნახევრდება. თუმცა ამით ბევრი არაფერი იცვლება - ეს განახევრებული 20 ქულა ვერც 50%-იან ჩათვლაში შედის, ხოლო 100%-იანი ქულების საუკეთესო ხუთეულში მის ნაცვლად შარშან ევროპაზე მოპოვებული 36 ქულა შევა.

ქულების გარდა, გერმანული ტურნირი ჩვენებისთვის პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანი იქნება. განსაკუთრებით - შუკვანისთვის, რომელიც ასეთ მაღალ დონეზე ჭიდაობის გამოცდილებით პაპინაშვილს ჩამორჩება. შუკვანმა მსოფლიოს მოგებულ თასებზე ძალიან კარგად იასპარეზა, მაგრამ „დიდი პრიზი" ბევრად უფრო ძლიერი შეჯიბრება იქნება. საინტერესოა, როგორ იჭიდავებს შუკვანი უფრო ძლიერ მეტოქეებთან - დიდწილად იქ გაირკვევა, რას უნდა ველოდოთ მისგან პირველხარისხოვან ტურნირებზე და რამდენადაა მზად წონის ლიდერებთან საპაექროდ.

### 66 კგ

ნაგებების მიუხედავად, **შალვა ქარდავა** ჯერჯერობით ისევ ილებს ლიცენზიას ევროპული კვოტით. ოღონდ განულება-განახევრებამ მისი ქულათა მარაგი 200-დან 164-მდე დაიყვანა. დაქვეითდა მსოფლიოს რეიტინგშიც - ამჯერად 48-მდე ჩაინაცვლა, თუმცა სალიცენზიო ჩათვლაში ევროპულ კვოტაში კვლავაც მეორეა. მართალია, აქ ლატვიელ **დენის კოზლოვსის** გარდა ჰოლანდიელი **იესპერ დე იონგიც** უსწრებს, თუმცა ჰოლანდია რეგიონულ კვოტას ქალებში ილებს და დე იონგი 66-ის პრეტენდენტებიდან ავტომატურად ვარდება. შეგახსენებთ, რომ ამ გზით ქვეყანას მხოლოდ ერთი საგზური გადაეცემა განურჩევლად ქალისა და კაცისა, ლიცენზია კი იმას ეძლევა, ვისაც უფრო მეტი ქულა აქვს. ჰოლანდიელთაგან საუკეთესო მაჩვენებელი **ბირგიტ ენტეს** აქვს - 398 ქულა და მნიშვნელოვნად უსწრებს 224-ქულიან დე იონგს.

ამასობაში ქარდავას **ლაშა შავდათუაშვილიც** მიუახლოვდა, რომელსაც 124 ქულა აქვს და საერთაშორისო რეიტინგში 63-ეა. გერმანიაში ისიც მეხუთეზე რომ გავიდეს, 40 ქულას შეიმატებს და კონკურენტის ახლანდელ მონაგარს გაუტოლდება, თუმცა ქარდავას მალე შარშანწინ გერმანიაში მოპოვებული 12 ქულა გაუნულდება, მის ნაცვლად კი ჩათვლაში 4 შევა. ერთი სიტყვით, მას ქულები ისევ დააკლდება, მომავალ შაბათს დიუსელდორფში თუ არ შეივსებს მარაგს.

### 73 კგ

**ნუგზარ ტატალაშვილს** თბილისში გამარჯვებისთვის მოპოვებული 100 ქულა ჯერაც უნარჩუნებს ადგილს სალიცენზიო 22 კაცში - 344-ით 21-ეა. ავსტრიაში მან 16 ქულა კი მიიღო, მაგრამ ეს რიცხვი საუკეთესო ხუთ მაჩვენებელში ვერ ხვდება. ჯერჯერობით ტატალაშვილს არც არაფერი უუქმდება, მხოლოდ შარშან გერმანიაში მოპოვებული 24 ქულა უნახევრდება, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა არ იცვლება - სანაცვლოდ შარშანდელ ხუთ საუკეთესო შედეგში კვლავაც 24 ქულა შედის.

### 81 კგ

**ავთანდილ ჭრიკიშვილი** 416 ქულით მე-17 ადგილზეა. მან ზედიზედ ნაჭიდავებ სამივე ტურნირში მიიღო ქულები - თბილისში გაიმარჯვა და 100 ჩაიწერა, საფრანგეთიდან 36 ქულა წამოიღო, ავსტრიიდან - მხოლოდ 8, რაც ვერც მოხვდა ხუთ საუკეთესოში. მას არც განულება ემუქრება და არც - განახევრება. მისი მონაგარი ძირითადად შარშანდელ სეზონზე მოდის, რადგან მანამდე ახალგაზრდული ასაკის გამო სალიცენზიო შეჯიბრებებში არც უჭიდავია. ძნელი სავარაუდოა მოვლენათა ისეთი განვითარება, ჩვენებურმა ლიცენზია დაკარგოს.

ამ წონაში 22 კაცში ჩვენგან სხვა ვერავინ ხვდება, თუმცა ავსტრიაში გამარჯვებით **ლევან ნიკლაურმა** სერიოზული ნახტომი კი გააკეთა - სალიცენზიო სიაში 24-25-ე ადგილებს იყოფს მასავით 286-ქულიან ჩინელ **სი რიჯიგავასთან.** მისთვის რეიტინგის 22-ე ნომერთან არსებული 20-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და სალიცენზიო ზონაში შესვლა უტოპია ნამდვილად არაა, მაგრამ ჭრიკიშვილის დაწევა კი გაუჭირდება. დიუსელდორფის ტურნირი მისთვისაც კარგი გამოცდა იქნება, რადგან ამ რანგის შეჯიბრებებში ხშირად ვერც ის გამოდიოდა.

### 90 კგ

აქაც ძირითადად ერთი მონაწილის - **ვალერი ლიპარტელიანის** იმედად ვართ, რომლის ანგარიშზეც 746 ქულაა. რეიტინგში ის მერვეა, რაც ოლიმპიადაზე განთესვის საშუალებას მისცემს. მისი ძირითადი ამოცანაც ახლა ამ პოზიციის შენარჩუნებაა, რადგან შვედი ევროპის ჩემპიონი **მარკუს ნიმანი** ფეხდაფეხ მისდევს - მათ შორის სხვაობა მხოლოდ 4 ქულაა. თუმცა უახლოესი ორი ტურნირის - გერმანიისა და ჩეხეთის შემდეგ ქულების განახევრება-განულება შვედს მნიშვნელოვნად დააზარალებს, ჩვენებურზე ბევრად მეტად. კაცმა არ იცის, როგორ იჭიდავებენ ისინი უახლოეს შეჯიბრებებში, მაგრამ სადღეისო რეიტინგით ასეთი მდგომარეობაა: ლიპარტელიანს გაუნულდება ორი წლის წინ გერმანიაში მოპოვებული 12 და ჩეხეთში მოხვეჭილი 50 ქულა, თუმცა ამათგან პირველი ისედაც არ შედიოდა ჩათვლაში, ხოლო მეორის ნაცვლად 40 ქულა შევა ცხრილში. რეალურად, ლიპარტელიანის დანაკარგი 10 ქულა გამოდის. მას არც განახევრება დააკლებს რამეს - 50%-ით შეუმცირდება გერმანიაში შარშან მოპოვებული 40 ქულა, რომელიც ასევე არ შედის ხუთ საუკეთესოში. იმის მიუხედავად, რომ ნიმანი ევროპის ჩემპიონია და 2010-ის ფინალში ლიპარტელიანი დაამარცხა, მას მაინც არ აქვს ჩვენებურის მსგავსი შედეგები - აქა-იქ თუ მოიგებს რომელიმე შეჯიბრებას. ამიტომ არც დიდი ქულები მოეპოვება და ყოველი დანაკლისი მისთვის უფრო საგრძნობია. მას გაუნულდება გერმანიაში ორი წლის წინ მოპოვებული 20 ქულა, ხოლო შარშან მიღებული 200 გაუნახევრდება, რაც მის მარაგს 100 ქულით შეამცირებს ანუ 682-მდე დაიყვანს. კიდევ ვიმეორებთ - არ ვიცით, ის როგორ იჭიდავებს დიუსელდორფში ან ჩეხეთში, მაგრამ სადღეისო ვითარება ასეთია. ამასთან, ბოლო სალიცენზიო შეჯიბრების - ევროპის პირველობის შემდეგ მას გაუნულდება სწორედ 2010-ის კონტინენტის ჩემპიონობისთვის დარიცხული 90 ქულა და იმედია, ამის კომპენსაციას ევროპის წლევანდელ პირველობაზე ვერ გააკეთებს. მართალია, იმავე ტურნირზე მოპოვებული 54 ქულა ჩვენებურსაც გაუუქმდება, მაგრამ სანაცვლოდ 40-ს მიიღებს. თუმცა მთავარი მაინც ისაა, ლიპარტელიანმა იასპარეზოს კარგად და ქულები შეიმატოს.

### 100 კგ

ეს წონა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ქომაგისთვის, რადგან აქ გვყევბათ ოლიმპიური მედლის ყველაზე რეალური კანდიდატი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე**. აქვეა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული კონკურენციაც ცირეკიძესა და **ლომერ ჟორჟოლიანს** შორის, რომელშიც დღეისათვის ევროპის ვიცე-ჩემპიონი ლიდერობს. ჟორჟოლიანის ანგარიშზე 644 ქულაა, რაც რეიტინგში XIII ადგილია, ცირეკიძე კი 538-ით მომდევნო საფეხურზეა. ჟორჟოლიანს ახლა არა და იქით უქმეებზე კი გაუნულდება ჩეხეთის ორი წლის წინანდელი 16 ქულა, თუმცა ეს მაინც არ შედიოდა ჩათვლაში და არც დააზარალებს. მას ჯერჯერობით არც არაფერი უნახევრდება. ცირეკიძეს განულება არ ემუქრება, რადგან იმ პერიოდში, რომელსაც გასაუქმებელი შედეგები ექვემდებარება ანუ 2010 წლის სეზონის დასაწყისში არ ჭიდაობდა. აი, განახევრებით კი შარშან გერმანიაში მოპოვებული 24 ქულა გაუნახევრდება, თუმცა ეს... წაადგება კიდეც და მარაგს გაუზრდის. საქმე ისაა, რომ მას ხუთ საუკეთესო 100%-იან ჩათვლაში კვლავაც 24 ქულა შემოუვა, ის განახევრებული კი 50%-იანებში გადავა 12 ქულად, სადაც ცირეკიძეს მხოლოდ სამი შედეგი აქვს, და იმათ დაემატება. ამდენად, 538 ქულა 550 გაუხდება. ევროპის პირველობის შემდეგ ჟორჟოლიანს ამავე რანგის შეჯიბრებაზე 2010-ში მიღებული 14 ქულაც გაუუქმდება, თუმცა არც ის შედიოდა ჩათვლაში და არც ეს აზარალებს, აი, შარშანდელ ევროპირველობაზე მოპოვებული ქულები კი ორივეს გაუნახევრდება. შარშან ჟორჟოლიანი კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა და 108 ქულა მიიღო, ცირეკიძე კი მესამე იყო და 72 ქულა მიითვალა.

### +100 კგ

კონკურენცია ამ წონაშიც უკიდურესად დაიძაბა - **ზვიად ხანჯალიაშვილსა და ადამ ოქრუაშვილს** შორის სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა. ჯერ წინ ისევ ხანჯალიაშვილია, რომელიც 364 ქულით XVII ადგილზეა, 356-იანი ოქრუაშვილი კი მას ფეხდაფეხ მისდევს. ხანჯალიაშვილის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება ორი უახლოესი შეჯიბრების შემდეგ - გერმანული ბატალიების კვალდაკვალ მას ამავე ტურნირზე ორი წლის წინ მოპოვებული 40 ქულა გაუნულდება, ერთ კვირაში კი პრაღის ასევე ორი წლის წინანდელ 6 ქულასაც დაკარგავს. არადა, მას 50%-იან სიაში ისედაც სულ 4 შედეგი აქვს. მართალია, შარშან გერმანიაში მოპოვებული 24 ქულა განახევრდება და 50-იანებში გადავა 12-ად, მაგრამ დანაკლისი მაინც სოლიდურია. მოკლედ, დიუსელდორფში წარმატებით თუ არ იჭიდავებს, დანაკლისს ვერ ასცდება.

ხანჯალიაშვილისგან განსხვავებით, განულება-განახევრება საერთოდ არ ემუქრება ოქრუაშვილს, რომლის ბოლოდროინდელი პროგრესი ქულებსაც დაეტყო. მან რამდენიმე ტურნირში აჩვენა კონკურენტზე უკეთესი შედეგი - თბილისში ფინალში პირადი შეხვედრა მოუგო, ავსტრიაში ქულებით აჯობა, არასალიცენზიოებიდან კი საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ასევე პირად შეხვედრაში დაამარცხა. ხანჯალიაშვილი მხოლოდ პარიზში გამოვიდა ოქრუაშვილზე უკეთ, როცა მასზე მეტი ქულა დააგროვა.

**ირაკლი თავაძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# მის ვალენტინი გაბი



გაბრიელა ხვედელიძე

ცამეტი წლის მხატვრულ ტანმოვარჯიშე **გაბრიელა ხვედელიძეს** მეგობრები სიყვარულით გაბის ეძახიან. ორიოდე დღის წინათ იგი თანატოლებთან ერთად ტარტუში იმყოფებოდა (დელეგაციის ხელმძღვანელი – ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ფიქრია ფანქველაშვილი**) წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებულ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე. ბალტიისპირეთში 24 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ისინი ცალკეული საგნებითა და ჯგუფურ ვარჯიშში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. გაბრიელა ხვედელიძეს (მწვრთნელი **ბელა კობალაძე**) გურზებით ვარჯიშში მცირედი დააკლდა მედლამდე - მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მაინც ავიდა, როგორც ასპარეზობის "მის ვალენტინი".

პირად პირველობაში **ლიზა ბაქრაძეც** (მწვრთნელი **თინა ნადირაშვილი**) მონაწილეობდა, მაგრამ მედალს ვერც მან გამოჰკრა ხელი, სამაგიეროდ, ჯგუფურ ვარჯიშში **მედეა გათენაძემ, სალომე ბურდილაძემ, ლიანა ცეცაძემ, ქეთი** და **ნაზი ასიტაშვილებმა** (მწვრთნელები - თინა ნადირაშვილი, **თამილა ტლაშაძე**) იყოჩაღეს: ჯერ ხუთი ბურთით, შემდეგ კი ორი რგოლითა და სამი ლენტით პაექრობებში მოიხვეჭეს ვერცხლის მედლები.

ბალტიისპირეთში გამგზავრებამდე ახალგაზრდა ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშეები ბაქოს ღია პირველობაში მონაწილეობდნენ. მრავალჭიდში **სოფიო ფარულავამ** (მწვრთნელი **ლუბა სერგოვანცევა**) მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო რგოლითა და ლენტით, შესაბამისად, ვერცხლი და ბრინჯაო დაისაკუთრა, ლიზა ბაქრაძე კი ბურთითა და გურზებით მესამე ადგილებზე გავიდა.

ქართველი ტანმოვარჯიშეებისთვის ორივე ტურნირში მონაწილეობა ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობისთვის მზადებას ემსახურებოდა. ეს შეჯიბრება კი 1-3 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა



# საჩხერეში ქუთაისელებმა იფალავნეს

ყველაზე უკეთ და შედეგიანად ქუთაისელმა სპორტსმენებმა იასპარეზეს.

ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდული ზონალური პირველობებია გაჩაღებული. რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და იმერეთის ზონალურ ასპარეზობას სანიმუშოდ უმასპინძლა საჩხერემ, რაც ამ რაიონის სპორტსკოლის დირექტორის **ჯონი მიქაძის**, გამგებელის **ზურაბ ცერცვაძის** და ქართული ჭიდაობის ადგილობრივი მწვრთნელის **სოსლან იაკობაშვილის დამსახურებაა.**

ქართული ჭიდაობა ძველ დროშიც არ იყო უცხო ზემო იმერეთის ამ რაიონში. აქაური იყო გამორჩენილი ფალავანი **კოლია არჯევანიძე** (კორბოულელი).

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. ლერი ჭელიძე (ქუთაისი), 2. ივანე გაჩეჩილაძე (ზესტაფონი), 3. ვოლდემირ გაბიანი (ქუთაისი).

**60 კგ.** 1. გელა ლიპარტელიანი, 2. ლაშა კვირიკაშვილი, 3. ბაქარ გულბიანი (სამივე - ქუთაისი).

**65 კგ.** 1. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი), 2. გიორგი ლოსაბერიძე (ზესტაფონი), 3. გიგა ლომთაძე (ქუთაისი).

**70 კგ.** 1. ლაშა ლიპარტელიანი, 2. ლევან გარდაფხაძე, 3. ნიკა ბიწაძე (სამივე - ქუთაისი).

**75 კგ.** 1. ლევან გუგავა, 2. ლევან ლიპარტელიანი, 3. ირაკლი ბალიშვილი (სამივე - ქუთაისი).

**80 კგ.** 1. ოთარ ტყეშელაშვილი (ქუთაისი), 2. გოგა კობახიძე, 3. ფრიდონ შარიქაძე (ორივე - ზესტაფონი).

**90 კგ.** 1. ბექა წაქაძე (ქუთაისი), 2. გაგა წიწილაშვილი (ცაგერი), 3. ნიკა ნიქაბერიძე (ზესტაფონი).

**+90 კგ.** 1. გეგა კიბორძალიძე (ქუთაისი), 2. ბექა ფოფხაძე (ზესტაფონი), 3. კობა ეგუტიძე (ქუთაისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

## ქართული სპორტი




რუბრიკას უძღვება
**ალექსანდრე ჯინორიძე**

### პირველი ჩოგანი

ქართული სპორტული კინოს ერთ-ერთი ვეტერანის **ჯუმბერ ებრალიძის** 1976 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაღებული 3-ნაწილიანი სატელევიზიო დოკუმენტური სურათი „პირველი ჩოგანი", არის ფილმი-პორტრეტი ჩვენი სახელოვანი ჩოგბურთელისა. ეს ჩოგბურთელი **ალექსანდრე მეტრეველი** გახლავთ. მან მაშინ საბჭოთა კავშირში სხვებისთვის მიუწვდომელი სპორტული მწვერვალები დაიპყრო. ეს პირველ რიგში საერთაშორისო სარბიელს ეხება.

ფილმი საკმაოდ ტრადიციული ხერხებითაა შექმნილი: რეპორტაჟები, ფოტოგრაფიები, ინტერვიუები. ყოველივე ეს უფრო ახლოს აცნობდა მაყურებელს იმ ადამიანს, რომელსაც იგი მხოლოდ სპორტულ სარბიელზე ხედავდა. ასეთი ფილმები მრავლადაა ქართულ კინოში და ეს ცუდი არ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ დროთა სვლა მათ უფრო ღირებულს ხდის. იმედია, ქართული სპორტული მატიანე თავის ფუნქციას ყოველთვის განაგრძობს, ისევე როგორც მთლიანად ქართული სპორტი.

სცენარის ავტორები: **ჯუმბერ ებრალიძე, გივი ჭელიძე**
ოპერატორი **რევაზ ოდიშელიძე.**










● ჭადრაკი

## პოლონეთის ჩემპიონმა აეროფლოტი დაიპყრო

### ჯობავა რევანშს ბლიცტურნირში გეგმავს



გუშინ მოსკოვში დამთავრდა „აეროფლოტის" ტრადიციული მე-11 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 3 ქართველიც მონაწილეობდა. A ტურნირში 84 მონაწილეს შორის 78 დიდოსტატი გახლდათ. ბოლო ტურის წინ სამი მათგანი 6-6 ქულით მეწინავეობდა. ოთხ მოასპარეზეს 5,5-5,5 ქულა ჰქონდა, რომლებსაც 5-5 ქულით საკმაოდ დიდი ჯგუფი მიჰყვებოდა კვალდაკვალ. მის რიგებში გახლდათ გაგრელი **ბაადურ ჯობავა**, რომელიც გუშინ იტალიელ ფაბიანო კარუანას დაუზავდა და 5,5 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მე-19 ადგილისთვის (700 ევრო) აღმოჩნდა საკმარისი. ქართველი მოჭადრაკე შედეგით უკმაყოფილოა და დღეს ბლიცტურნირში აპირებს რევანშის აღებას. **ნაზი პაიკიძე** გუშინ პერუელ ხორხე კორის დაუზავდა და 1,5 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.

მეწინავეთა მე-9 ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ: ანტონ კორობოვი (უკრაინა) - მატეუშ ბარტელი (პოლონეთი), დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი) - პაველ ელიანოვი (უკრაინა), ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი) - ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი), ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი) - ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი), ევგენი ალექსეევი (რუსეთი) - ანტონ შომოევი (რუსეთი), ივან პოპოვი (რუსეთი) - ბუ სიანჭი (ჩინეთი), ჟო იანჩაო (ჩინეთი) - მარკუს რაგერი (ავსტრია), ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი) - ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა), ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) - კარენ გრიგორიანი (სომხეთი), ხოლო მაქსიმ როდშტეინმა (ისრაელი) ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი) დაამარცხა. ამრიგად, ცხრა შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულა სამმა მოჭადრაკემ მოაგროვა. დამატებითი მაჩვენებლებით პირველ ადგილზე 25 წლის პოლონელი დიდოსტატი მატეუშ ბარტელი გავიდა, რომელმაც "აეროფლოტის" ფესტივალამდე რამდენიმე დღით ადრე თავისი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები ანტონ კორობოვმა და პაველ ელიანოვმა გაინაწილეს. ხუთმა მოჭადრაკემ (ალექსანდრ ხალიფმანი, მაქსიმ როდშტეინი, ფაბიანო კარუანა, ჰრანტ მელქუმიანი, დმიტრი ანდრეიკინი) 6-6 ქულას მოუყარა თავი.

B ტურნირის ბოლო ტურში თურქი ემრე ჯანი ჩინელ ვენ იანს დაუზავდა და 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ლიდერთა ჯგუფის წევრები: ანდრეი სტუკოპინი-ალექსანდრ შიმანოვი, ალექსეი რეშეტნიკოვი-ვლადიმირ დობროვი, დმიტრი ობოლენსკიხი-გრიგორი ოპარინი, ხოლო სტანისლავ ბოგდანოვიჩმა პაველ პოტაპოვი დაამარცხა. **მერი არაბიძემ** თეთრი ფიგურებით რეიტინგში მასზე დაბლა მდგარ (84 პუნქტით) პეტრა პაპთან (უნგრეთი) წააგო და 3,5 ქულით 105-ე ადგილზე გავიდა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მერვე ადგილები ვენ იანმა, შიმანოვმა, სტუკოპინმა, ოპარინმა, დობროვმა, რეშეტნიკოვმა (ყველა-რუსეთი) და ბოგდანოვიჩმა გაიყვეს.

დღეს "აეროფლოტის" ფესტივალზე ბლიცტურნირი (საპრიზო ფონდი – 25 ათასი ევრო) გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● სამთო თხილამურობა

იტალიურ ბორმიოში ახალგაზრდა მოთხილამურეებმა სუპერ გიგანტში მოსინჯეს ძალები. უძლიერესი იყო შვეიცარიელი რამონ ზუერგერი, რომელმაც დისტანცია 1.11,05-ში დაფარა. გამარჯვებულს 1,66 წამით ჩამორჩა **დიმიტრი გედევანიშვილი,** რომელმაც მე-14 ადგილი დაიკავა. **სოსო ჯაფარიძე** (1.14,96) 43-ე იყო, **ნიკოლოზ კოზანაშვილი** (1.17,38) - 58-ე, ხოლო **შოთა ნათაძე** (1.81,31) 65-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტის ქრონიკები

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## იოსებ ახალზედაშვილი



**დაიბადა 1974 წლის 24 მარტს გორში. მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში 100 კგ (1997 წ. თბილისი ). ევროპის ჩემპიონი (1998 წ. შაულიაი, ლიტვა). მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი 1994, 1998 წწ. ევროპის სამგზის პრიზიორი 1995, 1997, 1999 წწ. მსოფლიო თასის მფლობელი. ღირსების მედლის კავალერი.**

### სათავეები

## ფრენბურთი

გუნდური თამაში ბადით ორ ტოლ ნაწილად გაყოფილ მოედანზე.

**ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1948 წლიდან, ქალთა შორის - 1949-იდან; მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის - 1949-იდან, ქალთა შორის - 1952-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1964-იდან (კაცები, ქალები).**

მკვლევრები ერთსულოვნად ადასტურებენ, რომ: 1. ფრენბურთის დაბადების წელია 1895; 2. დაბადების ადგილი - ქალაქი ჰელიოკი, აშშ; 3. გამომგონებელი - უილიამ მორგანი, ამ ქალაქის კოლეჯის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი. მორგანს ახალი თამაშისთვის „მინტონეტი" დაურქმევია და გამოგონებიდან ერთი წლის თავზე სპრინგფილდში საჩვენებელი შეჯიბრება მოუწყვია. ახალი სახელი (Volleyball) მისთვის სპრინგფილდის კოლეჯის პროფესორს ალფრედ ჰალსტედს უწოდებია.

**ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია** დაარსდა 1947 წელს პარიზში (საფრანგეთი). აერთიანებს 218 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონფედერაციას.

**ფრენბურთის ევროპული კონფედერაცია** დაარსდა 1973 წელს სხევენინგენში (ჰოლანდია). აერთიანებს 54 ქვეყნის ფედერაციას.

**საქართველოში** ფრენბურთი 1926 წელს შემოვიდა. ამ საქმეს მოთავეობდნენ **მიხეილ ცხვედაძე, ლევან ფალავანდიშვილი, გრიგოლ იოსებაშვილი, ივანე ბაქრაძე, მიხეილ პეროვი.** მოგვიანებით ამ ჯგუფს შეუერთდნენ **არჩილ წერეთელი, ალექსანდრე პაცკევიჩი, შალვა დიასამიძე, გიორგი ავალიშვილი, გიორგი საყვარელიძე** და სხვები. პირველ ხანებში ბადის ნაცვლად იყენებდნენ ტანვარჯიშულ კიბეს, რომელსაც ბადის სიმაღლეზე ამაგრებდნენ. 1928 წელს ამიერკავკასიის ვაჟთა გუნდების პირველობა თბილისელებმა მოიგეს. 1930-იან წლებში ფრენბურთს ძირითადად ვერის ბაღისა და სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის" მოედნებზე თამაშობდნენ. იმავე პერიოდში ფრენბურთელთა გუნდები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, გაგრაში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, დიდ ჯიხაიშსა და ახალქალაქში. 1932 წელს მოეწყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი. შემდეგი წლიდან სსრკ პირველობაში ჩაება თბილისის კაცთა ნაკრები, 1935 წელს კი - ქალთა გუნდი. საკავშირო სარბიელზე პირველები გავიდნენ **კონსტანტინე ლომინაძე, ალექსანდრე იაკუშევი, გივი ახვლედიანი, სერგო ტარახჩიანი, არჩილ ჭირაქაძე, ევგენი რომანინი, ლუდვიგ ავალიანი** და სხვები. 1964 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **ვაჟა კაჭარავა.** საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 28 თებერვალს.

იმავე წლის დეკემბრიდან ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის წევრია.



ვალერიან როგავა, ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, ამირან შეროზია, ვახტანგ იაგორაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 1980-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი თანამედროვე ხუთჭიდელი, საბჭოთა კავშრის ჩემპიონი და ევროპის თასის მფლობელი

**იგორ ბრიზგალოვი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ახლობლებს.



---

ქართული ჭიდაობისა და საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციები და ვეტერანი მოჭიდავეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრკ სამგზის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში

**როინ ქაიხოსროშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა: 18 თებერვალს, 14 საათზე, საგარეჯოში.

16. 1981 წ. დაიბადა [illegible] საჯაია - ფეხბურთი.

16. 2008 წ. ძიუდოისტმა **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ) მსოფლიო თასი მოიგო.

**17. 2006 წ.** მოსკოვში აეროფლოტის საჭადრაკო ტურნირის ოთხიდან ორ კატეგორიაში პირველობა თბილისელებმა **ბაადურ ჯობავამ** და **დავით არუთინიანმა** მოიპოვეს.

**18. 1973 წ.** დაიბადა **გიორგი ლუდუშაური** - ფეხბურთი.

**17. 2011 წ.** ევროპის საფეხბურთო ლიგაში დებიუტი **ჯანო ანანიძემ** გოლით აღნიშნა.

**19. 2005 წ.** ძიუდოში მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაში (ჰამბურგი) ვერცხლის მედალი მოიპოვა **დავით სვიმონიშვილმა** (60 კგ).

**20. 1899 წ.** დაიბადა **ალექსანდრე ჯაფარიძე** - ალპინიზმი. ტრაგიკულად დაიღუპა 1945 წელს.

**21. 2010 წ.** ძიუდოში დიუსელდორფის გრან-პრიზე **ზვიად ხანჯალიაშვილი** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

**21. 1978 წ.** დაიბადა **ალექსი მოდებაძე** - თავისუფალი ჭიდაობა.

**22. 1973 წ.** ფეხბურთელების **შოთა** და **არჩილ არველაძეების** დაბადების დღე.

**22. 2008 წ.** სახელმწიფომ რვა ქართულ საფეხბურთო კლუბს ნახევარი მილიონი ლარის ოდენობით სუბსიდია გამოუყო.

### ვიქტორინა

**1. რომელ წელს გახდა მიხეილ მესხი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი?**

ა - 1952 წელს
ბ - 1954 წელს
გ - 1955 წელს

**2. ჩამოთვლილთაგან რომელი მორაგბე არ თამაშობს დავით ზირაქაშვილის „კლერმონში"?**

ა - გიორგი ჯაშიტაშვილი
ბ - დავით კაჭარავა
გ - ვიქტორ კოლელიშვილი

**3. რამდენი წლის იყო ქართველი ფალავანი შალვა ჩიხლაძე, როცა ჰელსინკის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა?**

ა - 31-ის
ბ - 37-ის
გ - 41-ის

**4. რომელ წელს ჩატარდა საქართველოს პირველი სპორტული თამაშები?**

ა - 1988 წელს
ბ - 1991 წელს
გ - არ ჩატარებულა, ტარდებოდა სპარტაკიადები

**5. რომელ წელს აღინიშნა საქართველოში პირველად ოლიმპიური დღე?**

ა - 1990 წელს
ბ - 1992 წელს
გ - 1996 წელს

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ბ, 5 - ა

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სპორტსმენი საქართველოდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, არის ბაკურიანელი **კობა წაქაძე** (1956 წ).

■ ■ ■

**პირველმა** საქართველოს კარატისტებიდან სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა **გიორგი ბაკურაძემ** 1982 წელს, ტალინში. იგი კარატეში სსრ კავშირის პერიოდის ერთადერთ ჩემპიონად და სპორტის ოსტატად დარჩა საქართველოდან.

■ ■ ■

**პირველად** კალათბურთში საქართველოს იუნიორთა ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა 1957 წელს მოიპოვა **მიხეილ კეკელიძის** ხელმძღვანელობით.

# TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი



ავტორის კარიკატურა

გასულ კვირას ინგლისის ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** უარი თქვა წელიწადში 9 მილიონი გირვანქის მიღებაზე. მიზეზს არ იკითხავთ? - პრინციპი!

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ **ჯონ ტერის** კაპიტნობა ჩამოართვა, აქაოდა, **ანტონ ფერდინანდს** რასისტული ფრა-

## თხა და ფარა

ზა მიაძახაო. სასამართლო ივლისისთვის გადაიდო.

*- თითქოს ანგლო-საქსური სამართლიანობა საქვეყნოდაა ცნობილი - ინგლისელები ხომ ყოველთვის ამბობენ: ადამიანი უდანაშაულოა, ვიდრე ბრალეულობა არ დაუმტკიცდება,* - მის საქმეში ჩარევის გამო კაპელომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და წავიდა.

სხვათა შორის, საქართველოში არაერთი მატჩი მინახავს, გუნდის ხელმძღვანელი მწვრთნელს მითითებებს ტრიბუნებიდან აძლევს, მაგრამ ამის გამო მწვრთნელებს თანამდებობა არ დაუტოვებიათ. ესეც პრინციპის ამბავია! არადა, მათი ხელფასი კაპელოს 9 მილიონ გირვანქასთან შედარებით ისევე მიკროსკოპულად ჩანს, როგორც თბილისიდან დანახული კავკასიონის მთაზე შეფენილი ცხვრის ფარა.

80-იან წლებში ჯვრის უღელტეხილზე ხშირად დავდიოდი. უთვალავი ცხვარი შემხვედრია და ვიწრო გზაზე მანქანას ვერ დაძრავდი, ვიდრე ფარა ბოლომდე არ ჩაივლიდა. დავაკვირდი: თუ ცხვარში წვერა თხა ერია, გუნდის კაპიტანივით წინ მიუძღვოდა და მის ფეხზე „ბეკეკოებიც" ოდნავ სწრაფად დადიოდნენ.

შესაძლოა, კაპელოს ნაბადი არ მოუხურავს, მაგრამ არაერთ ფარას გამოვლია, ჩემპიონთა ლიგაც მოუგია, ესპანეთის ჩემპიონატიც, იტალიისაც და კარგად იცის თხის როლი. კაპიტნობა და გუნდისთვის მიმართულების მიცემა ხომ ერთეულებს შეუძლიათ. როგორც ჩანს, ასეთად მას ჯონ ტერი მიაჩნდა.

თუმცა გადადგომის მთავარ მიზეზად მაინც სხვა რამ მიმაჩნია (იქნებ, ვცდები კიდეც): კაპელომ წინასწარ განსაზღვრა, რომ ინგლისის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთსა თუ გერმანიას ვერ აჯობებდა და წასვლის შანსი რომ მიეცა, პოსტი ვაჟკაცურად დატოვა.

მის შემცვლელად **ჰარი რედნაპს** ასახელებენ, რომელსაც „დეილი ტელეგრაფმა" „ფეისბუქის" ცალკე გვერდი გაუხსნა. რედნაპს ვირტუალურად არაერთი მწვრთნელი ესაუბრება. ყველაზე საინტერესო „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერთან** დიალოგი გახლდათ.

- ჰარი, გარეთ ბეილი ასე კარგად მაინცდამაინც შენთან რატომ ირჯება?

- უბრალოდ, ვეუბნები: სადაც გინდა იქ ითამაშე-მეთქი.

- ფაბრეგასსაც სწორედ ეგ ვუთხარი და „ბარსელონაში" გაიქცა...

ლოლომი:

9 თებერვალი ხუთშაბათი



კაპელო ინგლისის ნაკრებს დაემშვიდობა

11 თებერვალი შაბათი



სამსუნის ავტობუსს მატარებელი შეეჯახა. ხუბუტია გადარჩა

14 თებერვალი სამშაბათი



შენგელია ევროპის N 6 ახალგაზრდაა

10 თებერვალი პარასკევი



შერმადინის საუკეთესო მატჩი ევროლიგაზე: 15 ქ. 10 მ.

13 თებერვალი ორშაბათი



ეს რაგბიშია გასაკვირი: ესპანეთი-საქართველო 25:18

15 თებერვალი ოთხშაბათი



რა თქმა უნდა: ბარსამ ლიგის 1/8 ფინალი 3:1-ით გახსნა

## თიხის თუ ელექტრონული ბილიარდი?

შაბათს კალათბურთის სანახავად სპორტის სასახლეში ვიყავი. მაგვიანდებოდა და ამიტომ ყველაზე სწრაფი ტრანსპორტით, მეტროთი ვიმგზავრე. ბოლო ვაგონში შევასწარი. სხვა სარეკლამო აბრებთან ერთად ცოტა მოშორებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა შევნიშნე. დავინტერესდი და მობილურმომარჯვებული ლოგოსთან მივედი. ერთმა ქალბატონმა ისე შემომხედა, თითქოს თმის გადანერგვის რეკლამას ვიწერდი. სურათი გადავუღე:




ლოგოს შუაში თაგვი ეხატა, ოღონდ, ნამდვილი არა, კომპიუტერის ხელთაგვი („მაუსი"). გარშემო ეწერა: „საქართველოს ელექტრონული სპორტის ფედერაცია".

ინტერნეტ-მისამართიც მიუთითებიათ. შინ რომ მივედი, დაუყოვნებლივ კომპიუტერი ჩავრთე, მისამართი ავკრიფე, მაგრამ არაო - Oops, თქვენმა „გუგლ ქრომმა" მითითებული საიტი ვერ იპოვაო.

ინტერნეტში შემოვლითი გზით აღმოვაჩინე, რას ნიშნავს „ელექტრონული სპორტი".

„ტურნირები ყოველწლიურად იმართება. ზოგიერთი შეჯიბრების საპრიზო ფონდი მილიონ დოლარს აღწევს. 100-150 ათასი ხომ უკვე უმნიშვნელო თანხად ითვლება", - ვკითხულობთ ერთ-ერთ ამერიკულ საიტზე. აი, ასეთ სერიოზულ სპორტთან გვაქვს საქმე, რომელშიც „ყველა კუნთი" იტვირთება, მარჯვენა ცერის „ყველა კუნთს" ვგულისხმობ. ხუმრობა როდია კომპიუტერის „მაუსზე" ათასობით დაწკაპუნება...

როგორც მიხვდით, ლაპარაკია კომპიუტერულ თამაშებზე, რომელსაც რატომღაც სპორტის სახეობად განიხილავენ. არადა, „ვიკიპედიაში" სიტყვა სპორტის შესახებ პირველივე აბზაცში წერია: „სპორტი ფიზიკური აქტიურობის ფორმაა, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობას აუმჯობესებს." დასკვნები თქვენთვის მოგვინდია. თუმცა, რამდენიც უნდა დავუშალოთ ბავშვებს კომპიუტერზე თამაში, მათ ვებ-სივრცესთან კონტაქტს მაინც ვერ ავარიდებთ. პატარებს ვინ ჩივის, თვით ყოფილი ვარსკვლავი სკოტი პიპენიც აქტიურად ჩართულა „ელექტრონულ" სპორტში:

*- შესანიშნავია! კომპიუტერში ხომ პიპენი არასოდეს დაბერდება, 60 წლისა რომ გავხდები, ჩემი კომპიუტერული ანალოგი ისევე ითამაშებს, როგორც მე - 90-იან წლებში.*

გამოგიტყდებით, კომპიუტერში ბილიარდი მეც მითამაშია. სნუკერის ქართულ ტურნირში მივიღე მონაწილეობა. მერვედფინალური სერია ოთხამდე იყო. 0:4 წავაგე და მას მერე იქით აღარ გამიხედია. იცით, რატომ დავინტერესდი კომპიუტერული თამაშით? იმიტომ, რომ ნამდვილი ბილიარდის მაგიდა არა მაქვს. აბა, ამ ფოტოს გმირებივით კივებსა და ქოქოსებს ხომ არ ავუყენებ კაკაჟუკს.



საინტერესოა, ამ თამაშში მოგებული ხილს შეჭამს თუ - დამარცხებულს... ეს ხუმრობით, რეალურად კი ასეთი ორიგინალური მოედანი ტანზანიაში გაუმართავთ. ტანზანია სადაა? - ზამბიას ესაზღვრება. ზამბია? - **ჩისამბა ლუნგუს** სამშობლოა, ახლახან აფრიკის ჩემპიონი რომ გახდა. ლუნგუსაც არ იცნობთ? - ზუგდიდის „ბაიაში" რომ თამაშობდა. გუნდი თვალცრემლიანმა დატოვაო, - თქვა „ბაიას" მწვრთნელმა **ელგუჯა ქომერთიანმა.** სატირალი ჩვენ გვქონია, ასეთი ფეხბურთელი სომხეთში რომ გავუშვით.



„სონის" „ჯოისტიკით" ტრიბუნაზე

## პარალელი



რუბრიკა „ტაიმლაინის" დებიუტში, ორი „პარალელური ფოტო" გამოვაქვეყნეთ - ზაზა და დავით ფაჩულიებისა. ამჯერად შენგელიებს გთავაზობთ, კახასა და თორნიკეს.

თოკო ორშაბათს ევროპის 2011 წლის №6 ახალგაზრდა კალათბურთელად დაასახელეს. მამულს რომ ურჩევნია, უკვე მოხდა - შვილმა 20 წლის ასაკში მამას აჯობა.

ახალგაზრდა შენგელიას შესახებ ზაზა ფაჩულიას საკუთარი მოსაზრება გავუზიარე - გულშემატკივრებისგან მიღებული 26 ათასი ქულა სერიოზული ციფრია-მეთქი. ზაზამ მომიგო: თორნიკეც სერიოზული მოთამაშეა და ეკუთვნისო.



## ზაზამ სარეკორდოდ ჩაჭრა

„ატლანტა ჰოქსმა" დასავლური ტურნე „ლეიკერსთან" მატჩით გახსნა და 8 ქულის სხვაობით დამარცხდა. ლოსანჯელესელები უპირატესობის მოპოვებას ფარქვეშიდან შეეცადნენ და თავიდან კარგადაც გამოუვიდათ: **ენდრიუ ბინუმი** თევზივით სხლტოდა და ქულას ქულაზე აგროვებდა. მწვრთნელმა **ლარი დრიუმ ზაზა ფაჩულია ერიკ დემპიეთი** შეცვალა, თუმცა ბინუმის შეჩერება ვერც მან მოახერხა. საპირისპიროდ, პერიმეტრიდან უკეთესად ირჯებოდნენ ატლანტელები და ლოგიკურიც იყო, პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით რომ დასრულდა („ლეიკერსმა" 42:41 მოიგო).

მეორე ნახევრიდან ფაჩულიამ ბინუმთან „მიდგომა" შეცვალა, ცდილობდა წინ გადალობებოდა, რათა ენდრიუმდე ბურთი არ მისულიყო. 28 წლის ქართველის ხერხმა ბინუმის ლონეს აჯობა და მეორე ტაიმში ლეიკერსის ცენტრი თითქმის დაიკარგა. ზაზამ კი ჩაჭრას ჩაჭრა მიაყოლა და კარიერის რეკორდი (4 ჩაჭრა) გაიმეორა. ეს მაჩვენებელი ფაჩულიას ბოლოს 2006 წელს ჰქონდა.

გასოლისა და ბინუმის დარი წინა ხაზის გუნდთან „ატლანტამ" აქცენტი საშუალო და შორი მანძილიდან ტყორცნებზე გააკეთა. ამიტომ, ფაჩულიამ ორქულიანი სულ ორჯერ ისროლა. საუკეთესო ესპანელი **პაუ გასოლი** იყო, რომელიც ძირითადად მძიმე ფორვარდად თამაშობდა - 20 ქულა, 13 მოხსნა.

### ლეიკერსი-ატლანტა 86:78

**ზაზა ფაჩულია:** 27 წუთი, 1 ქულა (2/0 ორქულიანი, 2/1 საჯარიმო), 9 მოხსნა, 1 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 1 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 9:34 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-3 |
| 8:49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 4-5 |
| 8:44 | პასი: 1 | 6-5 |
| 6:54 | ფოლი: 1 | 9-9 |
| 6:54 | შეცდომა: 1 | 9-9 |
| 6:00 | დემპიემ შეცვალა | 9-13 |
| **II პერიოდი** | | |
| 0:40 | სმიტი შეცვალა | 41-38 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:18 | ჩაჭრა: 1 | 41-42 |
| 10:45 | ჩაჭრა: 2 | 41-42 |
| 10:02 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 43-42 |
| 9:53 | ჩაჭრა: 3 | 43-42 |
| 9:49 | ორქულიანი: არაზუსტი | 43-42 |
| 9:11 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 45-44 |
| 6:52 | დაფარება: 1 | 49-48 |
| 6:35 | ფოლი: 2 | 49-48 |
| 5:50 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 | 49-50 |
| 5:16 | ფოლი: 3 | 49-50 |
| 4:03 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 | 49-52 |
| 2:15 | საჯარიმოები: 2/1 | 50-56 |
| 1:15 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 | 50-59 |
| 1:12 | დემპიემ შეცვალა | 51-59 |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:55 | დემპიე შეცვალა | 55-67 |
| 9:52 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 55-67 |
| 9:26 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 | 55-67 |
| 7:54 | ჩაჭრა: 4 | 57-69 |
| 6:24 | ფოლი: 4 | 60-71 |
| 2:08 | მოხსნა: შეტ-4, დაც-5 | 69-83 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

XIV ტური
17 თებერვალი. რუსთავი
რუსთავი-სბუ 15:00
17 თებერვალი. ბათუმი
ბათუმი-თსსუ 17:00
17 თებერვალი. ქუთაისი
ქუთაისი-არმია 18:00
18 თებერვალი. სპორტის სასახლე
ოლიმპი-შსს-აკადემია 14:00
დინამო-სოხუმი 16:00
SEASON 2011/12

ფოტოს ისტორია



თამარ სხირტლაძე და მედეა ჩახავა

# როგორ დაამარცხეს ლომივით ბიჭები ცნობილმა მორაგბეებმა

პალიტრა მედია

ფოტოს, რომელზეც ორი შესანიშნავი ქალბატონია გამოსახული, საინტერესო და მხიარული ისტორია აქვს. ამ საინტერესო კადრს ინტერნეტში, სოციალურ ქსელში წავაწყდი და გადავწყვიტე, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ორი დიდებული ადამიანი - **თამარ სხირტლაძე**, რომელიც დღესაც წარმატებით მოღვაწეობს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და ქალბატონი **მედეა ჩახავა,** რომელიც სამუდამოდ დარჩა ქართული კინოსა და თეატრის ისტორიაში, როგორც განუმეორებელი სახე და სახელი. ფოტოს ავტორი ვერ დავადგინე, მაგრამ როგორც შევიტყვე, ის ერთ-ერთი კლიპის გადაღების დროს აღუბეჭდავთ. მსახიობებს საგანგებოდ შეკერილი „მორაგბეების" ფორმები აცვიათ. თურმე იმ დღეს მათ სიცოცხლეში პირველად ითამაშეს რაგბი და მოიგეს.

**ირაკლი ჩხიკვაძე, რეჟისორი:** - რამდენიმე წლის წინ გადავიღეთ სარეკლამო კლიპი, რომელიც ერთი ცნობილი კომპანიის მიერ მორაგბეების ეროვნული ნაკრების სპონსორობას ეხებოდა. კლიპი საინტერესო, დასამახსოვრებელი და მხიარული რომ ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, მოგვეწყო საჩვენებელი თამაში, სადაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ ეროვნული ნაკრების ბიჭები, პროფესიონალი მორაგბეები და ქართული კინოს, თეატრის, მუსიკისა და ტელევიზიის ვარსკვლავი ქალბატონები. ოღონდ ყველა მათგანი ასაკოვანი უნდა ყოფილიყო. ასე შეიკრიბა შესანიშნავ ადამიანთა გუნდი, რომელთა შორის იყვნენ ქალბატონი თამარ სხირტლაძე და აწ განსვენებული მედეა ჩახავა. ეს იყო ძალიან მხიარული და საინტერესო გადაღების პროცესი. არასოდეს დამავიწყდება ქალბატონი მედეა, რომელიც მონდომებით დაბაჯბაჯებდა მოედანზე, ხუმრობდა და ცდილობდა, კარგი მოთამაშის ილუზია შეექმნა. ყველაზე ხმაურიანი და მოუსვენარი ეთერ კაკულია გახლდათ. თამაშის დროსაც მღეროდა, ან ხმამაღლა და გადამდებად იცინოდა. ქალბატონი თამარ სხირტლაძე განუმეორებელი იყო სპორტული მანერებით, დამახასიათებელი ჟესტიკულაციით. მან დიდი მხიარულება გამოიწვია თამაშის მიწურულს, როდესაც როგორც გამარჯვებული გუნდის წარმომადგენელმა, ხელით, ქალისთვის, თანაც ასაკოვანისთვის უჩვეულო ჟესტი გააკეთა. ეს მსახიობურ ოსტატობად გავუგეთ, არადა, მნიშვნელობაც კი არ სცოდნია.

ქალბატონები რომ არ გადაგველალა, მოედანზე გვყავდა მათსავით გადაცმული პარიკიანი ბიჭები და გოგონები, რომლებსაც დავარბენინებდით და ზურგიდან ვიღებდით, რათა შეგვექმნა იმიტაცია, თითქოს ქალბატონები ისარივით სწრაფად დარბოდნენ. მოკლედ, ეს იყო ძალიან სახალისო გადაღების პროცესი. კლიპი ცოტა ხანს ტრიალებდა ეთერში. მგონი, ხუთ წელზე მეტიც გავიდა და დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ გადასაღებ მოედანს. ისიც მახსოვს, სუსხიანი დღე იყო და ძალიან გვციოდა. გვეშინოდა, ქალბატონები არ გაგვციებოდნენ, თუმცა, ისინი აქეთ გვამხნევებდნენ.

**თამარ სხირტლაძე:** - ნეტავ იმ დროს... მედეა ჩახავა ცოცხალი იყო, სოფიკო ჭიაურელიც, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა. გუნდში ყველაზე უფროსი მედიკო იყო, მერე მე. ჩვენთან ერთად იყვნენ ლია მიქაძე, ეთერ კაკულია, კირა ანდრონიკაშვილი, ლალი ბადურაშვილი და სხვები. სტადიონზე იყო გადაღება. ვეთამაშეთ ლომივით ბიჭებს და მოვუგეთ (ეცინება). მინახავს ტელევიზიით რაგბის თამაშები და მახსოვს ჟესტები, რომელსაც დროდადრო აკეთებდნენ მოთამაშეებიც და გულშემატკივრებიც. მეგონა, რომ მათგან ერთ-ერთი - ხელის მეორე, აწეულ ხელზე ამორტყმა ნიშნის მოგების და გამარჯვების სიხარულის ნიშანი იყო და მეც დიდის ამბით, როგორც გამარჯვებული გუნდის წევრმა, ეს გავაკეთე. ამ დროს ეროვნული ნაკრების ბიჭები ორ მწკრივად იდგნენ, რომ ჩვენ, გამარჯვებულები, პატივით გავეცილებინეთ, ჩემი საქციელი რომ დაინახეს, სიცილით დაიხოცნენ. ეს კადრშიც ჩანს. მსახიობებმა რომ ნახეს, სიცილით მკითხეს, - ეს რა გიქნია, თამარო? განსაკუთრებით გივი ბერიკაშვილი არ მასვენებდა, რამ გადაგრია ამხელა ქალიო. მოკლედ, ძალიან მხიარული გადაღება გამოგვივიდა. ჩვენი ფორმებიც ძალიან სასაცილო იყო, ზოლიანი გამაშები და მომწვანო-მოცისფრო ბაილონის სპორტული კაბები. ასეთივე ეცვათ კასკადიორებსაც და ჩვენი ვარცხნილობის მსგავსი პარიკებიც ეკეთათ. განსაკუთრებულ მხიარულებას ეთერ კაკულიას პარიკით დამშვენებული ბიჭი კასკადიორი იწვევდა. რა თქმა უნდა, ის ეთერს სისწრაფის იმიტაციაში ეხმარებოდა, თორემ სად შეეძლო მასავით ემღერა.

მე ყველაზე მკვირცხლი ვიყავი, ალბათ სხვებიც მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ ამას. ყველაზე მოუქნელი ლალი ბადურაშვილი იყო. გადაგვრია, ცალცალკე კადრებს რომ გვიღებდნენ, უამრავი დუბლი დასჭირდა, ბურთს ფეხს ვერ ურტყამდა, ზედ ფეხისწვერთან დადებულ ბურთს აცილებდა... ჩემი მედეა ხშირად ჩემ გვერდზე იყო და ალბათ ამიტომაც მოვხვდით ერთ ფოტოკადრში. ჩვენ ხომ ამ კლიპის გადაღებამდე ერთად ვითამაშეთ სამეფო უბნის თეატრის სპექტაკლში. მანამდეც ასე იყო და მერე უფრო განსაკუთრებული სიახლოვე გვქონდა ერთმანეთთან.

ჩემი შვილის გარდაცვალებამდე სპორტულ ცხოვრებას მივდევდი. ერთად დავდიოდით აუზზე, მაგრამ სამსახურის გამო ერთსა და იმავე დროს რომ არ გვეცალა, იქ ერთი კარგი კაცი იყო, აბონემენტში ჩამიწერა, - დრო განუსაზღვრელია თქვენთვისო. მეც დავდიოდი, სანამ შვილი მყავდა და სიცოცხლე განსაკუთრებით მიყვარდა...

**ეკა ლომიძე**

გაზეთი „კვირის პალიტრა" №6, 2012

ექვსი ერი

# საფრანგეთი-ირლანდია 4 მარტს გაიმართება

ექვსი ერის გათამაშების მეორე წრის შეხვედრა პარიზში, „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის, გასულ უქმეებზე უამინდობის გამო გადაიდო. ფრანგები ამ მატჩის სეზონის ბოლოს გამართვას ითხოვდნენ, თუმცა ტურნირის ორგანიზატორებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. „ლე ბლო" მეტოქეს ისევ პარიზში 4 მარტს დაუპირისპირდება.

შედეგად კი ისე გამოდის, რომ ეს ორი გუნდი ოთხ შეხვედრას გადაბმულად ითამაშებს და მორაგბეებს თითქმის ერთი თვე ეროვნულ გუნდში საწვრთნელ შეკრებაზე მოუწევთ ყოფნა.

„ძალიან განვიცდით, რომ გასულ შაბათს ექვსი ერის ეს შეხვედრა გადაიდო. ცხადია, შემაძრწუნებელი ფაქტია, ძალიან ცუდია, რადგან უწინარესად ორივე გუნდის ქომაგები დაზარალდნენ. ამიერიდან ვეცდებით მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს და მატჩის არგამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მარტო მსაჯის პრეროგატივა აღარ იქნება. საამისოდ დებულებაში შესაბამის ცვლილებებს შევიტანთ" - თქვა ექვსი ერის გათამაშების აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯონ ფენანმა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ამბები

# ინგლისის ნაკრების კარზე ისევ რიგია

ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **უეინ სმიტმა** ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცობის სურვილი გამოთქვა. სმიტი „ოლ ბლექსის" ყოფილი თავკაცის **გრემ ჰენრის** სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო, როცა ამ გუნდმა ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშება მოიგო.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე მსჯელობა ერთი კვირის თავზე დასრულდება. ინგლისის რაგბის კავშირი შეეცდება საბოლოო სიიდან ოპტიმალური არჩევანი გააკეთოს.

ყველაზე რეალურ კანდიდატად ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი დროებითი მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერი** მიიჩნევა, რომელმაც განაცხადი თვის დასაწყისში შეიტანა. მისი ხელმძღვანელობით „ვოებმა" უკვე შეძლეს ორი გამარჯვების მოპოვება შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან ექვსი ერის გათამაშების მატჩებში. ლანკასტერის უმთავრეს კონკურენტად იტალიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ნიკ მალეტი** მიიჩნევა.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა სურთ იაპონიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ახალზელანდიელ **ჯონ ქირვანს,** ირლანდიის ეროვნული გუნდის ყოფილ თავკაცს, **ედი ოსალივანს** და „ნორსჰემპთონის" დამრიგებელს, **ნიკ მალინდერს.**

თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს „კლერმონის" თავკაცმა, ახალზელანდიელმა **ვერნ კოტერმა, სერ კლაივ ვუდვორდმა, დენ რაიანმა** და **გრემ ჰენრიმ.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ბარბაროსები

# ქირვანი ბარბაროსებს უთავკაცებს

იაპონიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ახალზელანდიური რაგბის ლეგენდა **ჯონ ქირვანი** უთავკაცებს „ბარბაროსებს", რომელიც 2012 წლის ზაფხულის ტურნეში სამ შეხვედრას გამართავს ინგლისის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებებთან.

„ოლ ბლექსის" ერთ-ერთი გამორჩეული გარემარბი ირლანდიურ „ალსტერში" აპირებდა სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას, თუმცა „ბარბაროსების" შეთავაზება უფრო მაცდური გამოდგა.

„ბავშვობაში ღამის პირველ საათზე სპეციალურად გავიღვიძე, რათა „ოლ ბლექსისა" და „ბარბაროსების" დაპირისპირება მენახა. არასდროს დამავიწყდება, მაშინ, 1973 წელს ამ გუნდების მატჩში გარეთ ედვარდსის გატანილი ულამაზესი ლელო. ამ მატჩმა სული შთაბერა ჩემს ოცნებას, საუკეთესო მორაგბე გავმხდარიყავი და „ბარბაროსების" კვართის მორგება დამემსახურებინა.

როგორც მოთამაშემ ეს ოცნება ავისრულე. ახლა ამ ლეგენდარულ კლუბში მწვრთნელად მიმიწვიეს. ამას არასდროს დავივიწყებ." - თქვა ჯონ ქირვანმა.

აღსანიშნავია, რომ თავის ბოლო სარაგბო მატჩს უელსელი **შეინ ვილიამსი** სწორედ „ბარბაროსების" შემადგენლობაში გამართავს, 2 ივნისს უელსის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში. ამავე თამაშში იასპარეზებს კიდევ ერთი უელსელი **სტივენ ჯოუნზი.** „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებს კი **ლუის მუდი** და **იან ბოლშო** დაუპირისპირდებიან. ახალი ზელანდიიდან **ჯო როკოთოკო** და **სედრიკ ჰეიმანსი** არიან მიწვეულნი.

„ბარბაროსებმა" შარშან ინგლისის, ირლანდიისა და უელსის ნაკრებების დამარცხება შეძლო. კარგად გვესმის, რომ თითოეული ეს გუნდი რევანშის აღებას ეცდება. ამის გათვალისწინებით, უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები საკმაოდ ძლიერ მორაგბეებთან, რათა მეტოქეებს ღირსეული გუნდით დავუპირისპირდეთ" - თქვა „ბარბაროსების" გენერალურმა მდივანმა **ალან ევანსმა.**

**27 მაისი**

ინგლისი-ბარბაროსები

**29 მაისი**

ირლანდია-ბარბაროსები

**2 ივნისი**

უელსი-ბარბაროსები

**ბესიკ ჯანგავაძე**



ჯონ ქირვანი

# უცხოური სპორტი

ფორმულა 1

## საბოლოო კალენდარი

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გუშინ 2012 წლის ჩემპიონატის ოფიციალური კალენდარი გამოაქვეყნა.

ბოლო დღეებში აქტიურად განიხილებოდა ბაჰრეინის გრანპრის ბედი. ამ ქვეყანაში საპატრულო მანქანებს თვითნაკეთ ბომბებს ესვრიან, პოლიცია საპასუხოდ ცრემლსადენ გაზსა და რეზინის ტყვიებს იყენებს, მაგრამ **ბერნი ექლსტოუნი** ვერ ხედავს ეტაპის გაუქმების მიზეზებს.

*„გავიგე, რომ ვიღაც მოზარდებს კონფლიქტი ჰქონიათ პოლიციასთან, მაგრამ ეს არ არის რბოლის გაუქმების მიზეზი. გადაწყვეტილება უცვლელი რჩება - ჩვენ ჩავატარებთ გრანპრის.*

*ბაჰრეინის გრანპრიმდე ორი თვე რჩება და ყველანი დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სიტუაცია ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. გუნდები სულაც არ არიან შეშფოთებული და სიამოვნებით ჩავლენ ბაჰრეინში, თუ იქ პრობლემა არ იარსებებს. შარშან იძულებული ვიყავით რბოლა გაგვეუქმებინა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ პოლიტიკის მიღმა ვართ და მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებიდან გამოვდივართ“*, - ამბობს ექლსტოუნი.

წინასწარ ვერსიასთან შედარებით, კალენდარში ცვლილება არ მომხდარა. სეზონის განრიგში პირობითად არის შეტანილი აშშ-ის გრანპრი, რადგან ოსტინში ტრასა ჯერ არ აშენებულა.

**2012 წლის კალენდარი**

| | ტ.ს. | წრე | ს.დ. |
|---|---|---|---|
| 18/03 ავსტრალია | 5303 | 58 | 307.574 |
| 25/03 მალაიზია | 5543 | 56 | 310.408 |
| 15/04 ჩინეთი | 5451 | 56 | 305.066 |
| 22/04 ბაჰრეინი | 5412 | 57 | 308.238 |
| 13/05 ესპანეთი | 4655 | 66 | 307.104 |
| 27/05 მონაკო | 3340 | 78 | 260.520 |
| 10/06 კანადა | 4361 | 70 | 305.270 |
| 24/06 ვალენსია | 5419 | 57 | 308.883 |
| 08/07 ბრიტანეთი | 5891 | 52 | 306.198 |
| 22/07 გერმანია | 4574 | 67 | 306.458 |
| 29/07 უნგრეთი | 4381 | 70 | 306.630 |
| 02/09 ბელგია | 7004 | 44 | 308.052 |
| 09/09 იტალია | 5793 | 53 | 306.720 |
| 23/09 სინგაპური | 5073 | 61 | 309.316 |
| 07/10 იაპონია | 5807 | 53 | 307.471 |
| 14/10 კორეა | 5615 | 55 | 308.630 |
| 28/10 ინდოეთი | 5125 | 60 | 307.249 |
| 04/11 აბუ-დაბი | 5554 | 55 | 305.355 |
| 18/11 აშშ | 5516 | 56 | 308.896 |
| 25/11 ბრაზილია | 4309 | 71 | 305.909 |

**შენიშვნა:** ტ.ს. - ტრასის სიგრძე, წრე - წრეების რაოდენობა, ს.დ. - საერთო დისტანცია.

## 46 მილიონი მალდონადოსთვის

ინტერნეტში გაჩნდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ **პასტორ მალდონადოს** სპონსორმა - ვენესუელურმა სახელმწიფო კომპანია PDVSA-მ 46.2 მილიონი დოლარი გადაუხადა „უილიამსს“ იმისთვის, რომ მალდონადოს 2012 წლის ჩემპიონატში მიელო მონაწილეობა. დოკუმენტში, რომელიც ბრიტანული გუნდის ოფიციალურ ბლანკზეა დაბეჭდილი, მითითებულია, რომ გადარიცხვა 2011 წლის 31 ოქტომბრამდე უნდა მოხდეს.

ამ დოკუმენტის ინტერნეტში გამოჩენას უკავშირებენ ვენესუელელი კონგრესმენის **კარლოს რამოსის** შარშანდელ პროტესტს. ის ადანაშაულებდა PDVSA-ს სახელმწიფო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო კომპანიამ ნებისმიერი ხარჯი ქვეყნის მთავრობასთან უნდა შეათანხმოს. „უილიამსთან“ სპონსორული კონტრაქტის გაფორმების დროს ეს წესი დაცული არ იქნა.

გარდა ამისა, ინტერნეტში გამოქვეყნდა „უილიამსთან“ მალდონადოს კონტრაქტის რამდენიმე გვერდი. ირკვევა, რომ ვენესუელელი პილოტი 2015 წლის ბოლომდე დარჩება ბრიტანულ საჯინიბოში, თანაც გუნდში მისი ყოფნის საფასური ყოველ წელს გაიზრდება და ხელშეკრულების ბოლო წელს PDVSA-ს მოუწევს „უილიამსისთვის“ 63 მილიონი დოლარის გადახდა.



პასტორ მალდონადო

ოლიმპიზმი

## რომი გამოეთიშა

იტალიის პრემიერმინისტრმა **მარიო მონტიმ** გამოაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობა უარს ამბობს დედაქალაქ რომის ოლიმპიური განაცხადის მხარდაჭერაზე. რომი 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

ეს გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წარუდგინოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შესაბამისი ფინანსური გარანტიები მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო.

ასე რომ, 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობისთვის ხუთი ქალაქი იბრძოლებს: მადრიდი, სტამბოლი, ბაქო, დოჰა და ტოკიო.

32-ე ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2013 წლის სექტემბერში აირჩევს.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

## ლინისა და რეკორდების დღე

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რეკორდების დღე იყო. მაგალითად, „დეტროიტის“ 37 წლის ცენტრმა **ბენ უოლასმა** ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ახალი რეკორდი დაამყარა იმ კალათბურთელებისთვის, რომლებიც NBA-ის დრაფტზე არ აურჩევიათ - „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ მატჩი „დიდი ბენისთვის“ რიგით 1055-ე იყო. წინა რეკორდი „ნიუ ჯერსის“ ამჟამინდელ მწვრთნელს **ეივერი ჯონსონს** ეკუთვნოდა.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ უოლასმა გამოაცხადა, რომ ეს სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში.

რაც შეეხება „სან ანტონიოსთან“ მატჩს, მეორე ვეტერანმა **ტიმ დანკანმა** ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა სწრაფად პროგრესირებად „მეორეწლიანს“ **გრეგ მონროს** და ამით 15-ქულიანი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს.

სიტუაცია მოედანზე მაშინ შეიცვალა, როცა მონრო უოლასმა შეცვალა. სწორედ ამ დროს მოხდა მასპინძლების 14:0 გაქცევა, რომელიც უოლასის სამქულიანით დასრულდა. სხვათა შორის ეს იყო „დიდი ბენის“ მეშვიდე ზუსტი შორეული ტყორცნა კარიერაში. საფინალო სირენამდე ხუთნახევარი წუთით ადრე „დეტროიტი“ წინ გავიდა - 84:83.

ტეხასელები სირცხვილს **ტონი პარკერმა** გადაარჩინა. თავიდან ფრანგმა პლეიმეიკერმა თანაბარი ანგარიშის დროს 73 წამით ადრე ჩააგდო, შემდეგ კი გაზარდა უპირატესობა - 95:92. საპასუხოდ **ბენ გორდონმა** სამქულიანი ააცილა, შემდეგ მსაჯს ეჩხუბა და ტექნიკური ჯარიმაც მიიღო, რამაც შეუძლებელი გახადა თამაშის გადარჩენა.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტმა“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორია გადაწერა – ბოლო 33 წლის განმავლობაში ის გახდა პირველი გუნდი, რომელმაც სამი დღის განმავლობაში სამი გასვლითი მატჩი მოიგო. ფლორიდელებმა ეს სერია სტუმრად „ინდიანასთან“ მოგებით დაასრულეს.

ამ მატჩში ბრძოლა თითქოს არ ყოფილა. თამაშის ბედი პრაქტიკულად პირველივე მეოთხედში გადაწყდა, როცა „მაიამიმ“ 17 ქულით მოიგო საწყისი 10 წუთი. სტუმრების დომინირება მეორე მეოთხედშიც გაგრძელდა და დიდი შესვენებისთვის „ჰიტის“ 25-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა. სტუმრების საწყისი გაქცევა მთლიანად **ლებრონ ჯეიმსის** დამსახურებაა, რომელმაც პირველ 14 წუთში 9 ქულა და 6 შედეგიანი პასი მიითვალა.

„მაიამის“ მთავარმა ვარსკვლავებმა მესამე მეოთხედშიც გაიბრწყინეს და შემდეგ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდნენ თვალს თამაშს. სტუმართა რეზერვისტებიდან შესანიშნავად გამოიყურებოდა დებიუტანტი **ნორის კოული**, რომელმაც 20 ქულით დაასრულა შეხვედრა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ისევ ლებრონ ჯეიმსი გახდა, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე – „მეფეს“ ანგარიშზე 23 ქულა, 9 მოხსნა და 7 პასი იყო. 16 და 13 ქულა დააგროვეს **დუეინ უეიდმა** და **კრის ბოშმა**.

მაიამი თითქმის დაეწია აღმოსავლეთის ლიდერ ჩიკაგოს და მას მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩება.

■ ■ ■

*„მადლობელი ვარ ამ ნდობის გამო. ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის ის, რომ ბოლო შეტევაში ბურთი მომცეს და თამაშის ბედის გადაწყვეტამ მომიწია“*, - მშვიდი სახით თქვა „ტორონტოსთან“ მატჩის შემდეგ **ჯერემი ლინმა**. საფინალო სირენამდე 0.5 წამით ადრე სწორედ მისმა სამქულიანმა მოუტანა ზედიზედ მეექვსე გამარჯვება „ნიუ იორკს“.

როგორც ჩანს, ლინის ზღაპარი გრძელდება და ძალას იკრებს. ამჯერად 23 წლის პლეიმეიკერმა 27 ქულა და 11 შედეგიანი პასი (კარიერის რეკორდი) დააგროვა, თუმცა რვა შეცდომაც დაუშვა, რის გამოც თავიდან „ნიუ იორკი“ 17 ქულას აგებდა.

ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა 9-ჯერ ააცილეს ბურთი, 9 შეცდომა დაუშვეს და ორი დაფარება მიიღეს **ჩენდლერისგან**, ამას დაემატა ლინის 12 ქულა და „ნიქსის“ მოგებაც ამან განაპირობა.

■ ■ ■

კვლავ **დერიკ როუზის** გარეშე თამაშობს „ჩიკაგო“, თუმცა ამ გუნდს გასული სეზონის MVP-ის გარეშეც არ უნდა გაჭირვებოდა „საკრამენტოს“ სტუმრად დამარცხება. საქმე სწორედ აქეთკენ მიდიოდა - საფინალო სირენამდე 53 წამით ადრე ჩიკაგოელები 8 ქულას იგებდნენ. მაგრამ „მეფეებმა“ ბოლოს გასაოცარი გაქცევა მოაწყვეს და კინაღამ გადაარჩინეს მატჩი. ყველაფერი კი **კაზინსის** სამქულიანით დაიწყო, რომლისთვისაც ეს კარიერაში მხოლოდ მესამე ზუსტი შორეული ტყორცნა გახლდათ. ხოლო **ტორნტონის** სამქულიანის შემდეგ სხვაობა მინიმუმამდე დავიდა. მაგრამ იმ დღეს ჩიკაგოელები დამაჯერებლად ისროდნენ საჯარიმოებს (26-დან 24), მით უმეტეს, რომ ბოლო წამებზე „საკრამენტო“ „ბულზის“ საიმედო სნაიპერებზე - **დენგსა** და **კორვერზე** ჯარიმდებოდა, რომლებსაც შეცდომა არ დაუშვიათ.

**ინდიანა-მაიამი 90:105**

16:33, 23:35, 19:22, 32:15

ი: უესტი (14), ჯორჯი (12), პრაისი (12), ჰენსბრო (11), ჰიბერტი (10+5 მოხსნა), ჯონსი (10).

მ: ჯეიმსი (23+9 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), კოული (20), უეიდი (16+6 მოხსნა), ბოში (13+7 მოხსნა).

**დეტროიტი-სან ანტონიო 95:99**

22:32, 24:23, 16:19, 33:25

დ: სტაკი (23+8 პასი), პრინსი (18+5 მოხსნა), ნაითი (16), გორდონი (10).

ს-ა: დანკანი (18+13 მოხსნა+3 დაფარება), პარკერი (14+7 პასი), ჯეფერსონი (13), სპლიტერი (13+7 მოხსნა), ლეონარდი (11), ბონერი (11), ბლეირი (10+5 მოხსნა).

**ოკლაჰომა-იუტა 111:85**

25:19, 28:20, 26:24, 32:22

ო: ჰარდენი (22+5 პასი), დურანტი (21+6 მოხსნა), იბაკა (16+10 მოხსნა+6 დაფარება), უესტბრუკი (16+5 მოხსნა).

ი: ჯეფერსონი (15+5 მოხსნა), ფეივორსი (13), მილსეპი (10+8 მოხსნა), ბელი (10), ბერქსი (10).

**დენვერი-ფინიქსი 109:92**

33:21, 25:30, 28:19, 23:22

დ: აფლალო (20), ლოუსონი (17+5 პასი), ანდერსენი (16+7 მოხსნა+6 დაფარება), ფარიდი (13+9 მოხსნა), ჰარინგტონი (12+6 მოხსნა), ფერნანდესი (11), კუფოსი (9+9 მოხსნა+5 ჩაჭრა).

ფ: მორისი (21+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), რედი (20+6 მოხსნა), გორტატი (10+14 მოხსნა), პრაისი (10+6 პასი).

**ლეიკერსი-ატლანტა 86:78**

27:24, 15:17, 17:10, 27:27

ლ: პ. გასოლი (20+13 მოხსნა+4 დაფარება), ბინუმი (15+15 მოხსნა), ბრაიანტი (10), უორლდ პისი (10), გუდლოკი (10).

ა: ტიგი (18+3 ჩაჭრა), სმიტი (15+9 მოხსნა+3 დაფარება), ჯონსონი (15+5 პასი).

**ტორონტო-ნიუ იორკი 87:90**

28:21, 19:15, 28:30, 12:24

ტ: კალდერონი (25+9 პასი+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კლეიზა (15+11 მოხსნა), დეროზანი (14+6 არიეპტ), ბარბოზა (13+5 მოხსნა), ა. ჯონსონი (10+5 დაფარება).

ნ-ი: ლინი (27+11 პასი), სტაუდმაიერი (21+9 მოხსნა), ჩენდლერი (13+9 მოხსნა), ფილდზი (8+7 მოხსნა+7 პასი).

**ჩიკაგო-საკრამენტო 121:115**

27:24, 29:28, 32:25, 33:38

ჩ: დენგი (23+11 პასი+7 მოხსნა), ნოა (22+11 მოხსნა+4 დაფარება), კორვერი (18), ბუზერი (16+5 მოხსნა), გიბსონი (15), უოტსონი (10), ლუკასი (9+9 პასი).

ს: კაზინსი (28+17 მოხსნა+3 ჩაჭრა), ევანსი (27+8 მოხსნა+8 პასი), ტორნტონი (23), გრინი (10), ტომპსონი (8+11 მოხსნა).

**მემფისი-ჰიუსტონი 93:83**

21:17, 31:26, 20:21, 21:19

მ: კონლი (21), გეი (20+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (18+7 მოხსნა), ალენი (10+4 ჩაჭრა), მაიო (10).

ჰ: ლოური (24+6 პასი+3 ჩაჭრა), ლი (13), დრაგიჩი (11), დალემბერი (9+10 მოხსნა).

**პორტლენდი-ვაშინგტონი 109:124**

26:28, 20:30, 36:33, 27:33

პ: ბატუმი (33), უოლასი (25+8 პასი), მეტიუზი (15+5 მოხსნა), კემბი (13+12 მოხსნა).

ვ: იანგი (35), უოლი (29+9 პასი), კროუფორდი (21+3 ჩაჭრა), მაკგი (18+11 მოხსნა).



ლინი გადამწყვეტი ტყორცნის შემდეგ

### დალასიც ევროპაში მიდის

როგორც უკვე ვწერდით, ამ წლის შემოდგომაზე ევროპაში მატჩების გამართვას გეგმავს „ბოსტონ სელტიქსი“. გუშინ კი გაირკვა, რომ 2012-13 წლების სეზონის წინ „ბებერ კონტინენტზე“ საჩვენებელ შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას NBA-ის ჩემპიონი „დალას მავერიქსი“.

ტეხასელები 6 ოქტომბერს ბერლინს ეწვევიან და იქაურ „ალბას“ დაუპირისპირდებიან, 8 ოქტომბერს კი ბარსელონაში ადგილობრივ გუნდს შეხვდებიან.

შეგახსენებთ „ბოსტონის“ განრიგს: 5 ოქტომბერი - „ფენერბაჰჩე“, 7 ან 9 ოქტომბერი - „მილანი“.

### აშშ-ესპანეთი ოლიმპიადის წინ

რამდენიმე ამერიკული წყაროს ცნობით, აშშ-ის ნაკრები ლონდონის ოლიმპიადის წინ, 24 ივლისს ბარსელონაში საგამოფენო შეხვედრას გამართავს ევროპის ჩემპიონის - ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ. ამ შეხვედრას საპატიო სტუმრების რანგში დაესწრებიან პირველი „დრიმ თიმის“ წევრები, რომლებიც 1992 წელს სწორედ ბარსელონაში გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

ამ მატჩის შემდეგ ორივე ნაკრები ლონდონში გაემგზავრება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. შეგახსენებთ, 2008 წელს პეკინში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ფინალში და ამერიკამ 118:107 მოიგო.

ასევე ცნობილია, რომ ამერიკა 22 ივლისს არგენტინასთან გამართავს სპარინგს.

### აღმოსავლეთს ტიბოდო გაუძღვება

გაირკვა, რომ „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდს „ჩიკაგოს“ მთავარი მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** უხელმძღვანელებს. მატჩი 26 თებერვალს ორლანდოში გაიმართება.

ამ მომენტისთვის „ჩიკაგო“ 24 მოგებით ლიდერობს აღმოსავლეთის ცხრილს. კონფერენციის ნაკრების სასტარტო ხუთეულში იქნებიან: **კარმელო ენტონი, დერიკ როუზი, დუეინ უეიდი, ლებრონ ჯეიმსი** და **დუაიტ ჰოვარდი**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე დასავლეთის მწვრთნელად „ოკლაჰომას“ დამრიგებელი **სკოტ ბრუქსი** გამოცხადდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდსმენი დეტროიტი

გასული სათამაშო დღის მთავარი მატჩი ბოსტონში გაიმართა, სადაც სათამაშოდ „რეინჯერსი“ ჩავიდა. ორივენი აღმოსავლეთის ლიდერები არიან, მაგრამ ამ შეხვედრას სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ. ნიუიორკელებს ყველაფერი წესრიგში აქვთ, იმ დროს, როცა „დათვები“ ბოლო დროს სტაბილურობით ვერ დაიკვეხნიან.

„ბოსტონს“ სრულიად შეეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ბრწყინვალე თამაში აჩვენა სტუმრების მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტმა**. მან 42 დარტყმა მოიგერია და მორიგი „შათაუტი“ შეასრულა, მისმა პარტნიორებმა კი სამჯერ აილეს **ტიმ ტომასის** კარი. ამისთვის „რეინჯერსს“ სულ რალაც 20 დარტყმის შესრულება დასჭირდა.

„რეინჯერები“ კომფორტულად გრძნობენ თავს აღმოსავლეთის ცხრილის უმაღლეს საფეხურზე და უკვე ცხრა ქულით უსწრებენ „ბოსტონს“. ნიუიორკელები მთლიანად ლიგის ლიდერობასაც უმიზნებენ. მართალია, ჯერ ჩამორჩებიან „დეტროიტს“, მაგრამ სამი თამაში თადარიგში აქვთ.

მნიშვნელოვანი მატჩები ჩაატარეს იმ გუნდებმა, რომლებიც პლეი ოფის ზონაში დამკვიდრებისთვის იბრძვიან. „ნიუ ჯერსი“ სტუმრად გაუსწორდა „ბაფალოს“ - 4:1. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **ილია კოვალჩუკმა**, რომელმაც თავის ნიუჯერსულ კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. „ეშმაკები“ აღმოსავლეთში მეექვსე პოზიციაზე რჩებიან და „ფილადელფიასა“ და „პიტსბურგს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

„დევილზის“ უკან კი „ოტავა“ იმყოფება, რომელმაც ასევე სტუმრად მოიგო „ტამპა ბეისთან“ - 4:0. აქაც ჰეთ-თრიკი ვიხილეთ! მისი ავტორი გახდა **ჯეისონ სპეცა** და მანაც კოვალჩუკის მსგავსად, თავის მონაგარს ერთი საგოლე პასი დაუმატა. კიდევ ერთი დამთხვევა ის არის, რომ კოვალჩუკსა და სპეცას 25-25 გოლი აქვთ გატანილი.

„ტამპასა“ და „ბაფალოს“ დამარცხებები ყველაზე მეტად „აილენდერსს“ გაუხარდა, რომელმაც მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია „ვინიპეგთან“ მატჩში. „კუნძულელებმა“ 3:1 მოიგეს და მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს, თანაც ორი ქულით ჩამორჩებიან „ვინიპეგს“. „აილენდერსსა“ და პლეი ოფის ზონას შორის სხვაობა ექვს ქულას შეადგენს.

■ ■ ■

დასავლეთში კი მოხდა ის, რასაც ბევრი ელოდა - „დეტროიტმა“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა „დალასი“ 3:1 და პირველი გუნდი გახდა ლიგის ისტორიაში, რომელმაც შინ ზედიზედ 21 მატჩი მოიგო. წინა რეკორდი „ბოსტონს“ ეკუთვნოდა და ის 1929-30 წლების სეზონში იყო დამყარებული. „რედ უინგზის“ გულშემატკივრებს ისიც გაახარებდა, რომ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა **ჰენრიკ ზეტერბერგმა**.

„დალასს“ კი გაუმართლა, რომ მას ვერ გაუსწრო „მინესოტამ“. ამ უკანასკნელმა გუშინ სახლში წააგო „ანაჰაიმთან“ - 1:2. არადა, „ველურები“ მესამე პერიოდის შუამდე იგებდნენ 1:0-ს, მაგრამ **მიკო კოივუს** უხეშმა შეცდომამ **ჰაგმანს** ანგარიში გაათანაბრებინა, საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე კი **პერიმ** გამარჯვების შაიბა გაიტანა. „იხვები“ სწრაფად მიიწევენ წინ და პლეი ოფის ზონამდე რვა ქულა აკლიათ.

გუშინ, ყველაზე მეტად გაგვაკვირვა „კოლამბუსმა“. ამ გუნდმა საკუთარ მოედანზე მოუგო თავისი ყოფილი მწვრთნელის **კენ ჰიჩკოკის** „სენტ ლუისს“. „კოლამბუსმა“ 2:1 მოიგო **ვიშნევსკისა** და **დორსეტის** გოლების წყალობით. ამ უკანასკნელმა სეზონში 40-ქულიან ზღვარს მიაღწია.

„სენტ ლუისის“ მარცხი „ნეშვილს“ აწყობდა, რომელმაც დღეს „ჩიკაგო“ გაანბილა - 3:2. ჩიკაგოელებმა ზედიზედ მეცხრე მატჩი წააგეს და ზედიზედ მეთერთმეტედ დამარცხდნენ სტუმრად. „ბლეკჰოქსს“ კიდევ ორი გასვლა დარჩა „რეინჯერსთან“ და „კოლამბუსთან“ და შემდეგ შინ დაბრუნდება.

პლეი ოფის ზონაში მოხვედრის პერსპექტივის მხრივ მნიშვნელოვანი მატჩი გამართეს „კალგარიმ“ და „ტორონტომ“. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით ინარჩუნებს სასურველ მერვე პოზიციას, „კალგარი“ კი „ფინიქსს“ უდგას კვალში და საუკეთესო რვა გუნდს შორის შეღწევას ლამობს. „ფლეიმზმა“ ზედიზედ მეოთხედ მოუგო „ტორონტოს“. მატჩის გმირი **ალექს ტანგეი** გახდა, რომელმაც სამი ქულა დააგროვა. ორ-ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში **იგინლამ** და **იოკინენმა**.

**კოლამბუსი-სტ ლუისი 2:1**

1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ბეკსი-17 (პეროni-15), 1:1 ვიშნევსკი-4 (ლეტესტუ-7, ჯ. კარტერი-9), 2:1 დორსეტი-10 (პალსონი-9, ვერმეტი-17).

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 1:4**

0:1, 1:0, 0:3

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-23 (ელიაში-35, კლარკსონი-10), 1:1 პომინვილი-21, 1:2 სიკორა-13 (ენრიკე-22, კოვალჩუკი-31), 1:3 კოვალჩუკი-24 (ენრიკე-23, ფეინი-8), 1:4 კოვალჩუკი-25 (პარიზე-28).

**ბოსტონი-რეინჯერსი 0:3**

0:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კელეჰანი-23 (დელ ზოტო-23, გაბარიკი-22), 0:2 მაკდონაჰი-6, 0:3 ანისიმოვი-10 (დუბინსკი-19, სტრალმანი-9).

**ტამპა ბეი-ოტავა 0:4**

0:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ე. კარლსონი-10 (სპეცა-35, ბ. ბატლერი-8), 0:2 სპეცა-23 (კუბა-16, ე. კარლსონი-42), 0:3 სპეცა-24 (ბ. ბატლერი-9, მ. მიხალეკი-13), 0:4 სპეცა-25 (გონჩარი-27).

**დეტროიტი-დალასი 3:1**

2:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-12 (დაციუკი-42, ლიდსტრიომი-20), 0:2 ბ. სტიუარტი-5 (ჰელმი-13), 0:3 ჰუდლერი-18 (ფილპულა-28, ი. უაიტი-22), 1:3 ბარიში-5 (რაიდერი-18, ლ. ერიქსონი-30).

**ნეშვილი-ჩიკაგო 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 რ. სატერი-7 (ს. კოსტიცინი-18, ფიშერი-17), 1:1 ბიკელი-6 (მეიერსი-7, შოუ-4), 2:1 სპალინგი-8 (ელისი-6, ტუტუ-17), 2:2 მარიან ჰოსა-21 (კეიტი-27), 3:2 ელისი-3 (ლეგუანდი-21).

**მინესოტა-ანაჰაიმი 1:2**

1:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-19 (ჟიდლიცკი-13, მ. კოივუ-26), 1:1 ჰაგმანი-8, 1:2 პერი-27 (სბისა-16).

**ვინიპეგი-აილენდერსი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ტორნბურნი-3 (სლეიტერი-5, გლასი-9), 1:1 მოულსონი-25 (ტავარესი-33), 1:2 პარენტო-12 (იურჩინა-5, როსლტონი-5), 1:3 მ. მარტინი-7 (პარენტო-39, პანდოლფო-1).

**კალგარი-ტორონტო 5:1**

2:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ტანგეი-7 (ო. იოკინენი-30, ბროდი-10), 2:0 ო. იოკინენი-18 (ტანგეი-23, იგინლა-24), 2:1 ბოჟაკი-13 (ლუპული-37, კესელი-31), 3:1 ბირონი-3 (ბულიტი), 4:1 კომო-4 (კამალერი-15, ჯორდანო-9), 5:1 იგინლა-22 (ტანგეი-24).



ჯეისონ სპეცა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/8 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ზენიტი-ბენფიკა | 3:2 |
| მილანი-არსენალი | 4:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლიტექსი-სონდერიისკი | 1:0 |
| დაჩა-ბრონდბიუ | 3:3 |
| ოდენსე-ვეილე | 1:1 |
| მიოლნერი-ტრომსიო | 0:6 |
| სიონი-ვოლგა | 1:2 |
| მიდტიულანდი-ჰიორინგი | 3:1 |
| კოლამბუსი-სიეტლი | 0:1 დ.დ. 0:2 |
| ვასლუი-ყუბანი | 0:1 |
| ალანია-ტიმიშოარა | 1:0 |
| ატვიდაბერგი-მოტალა | 2:0 |
| მალაგა-სპარტაკი | 2:2 |
| ვიკინგი-ეკრანასი | 2:1 |
| ბეტისი-დინამო (მ) | 2:0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ატალანტა-ჯენოა | 1:0 |
| პარმა-იუვენტუსი | 0:0 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| მარსელი-ბურჟი | 3:1 |
| დიჟონი-პსჟ | 0:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ეირი-ფალკირკი | 2:1 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| იარო-იუვიასკიულა | 3:2 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| დოქსა-კერკირა | 0:1 |
| ლევადია-პანაიტოლიკოსი | 2:0 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| ომონია-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| აეკ-პარეკლისიასი | 4:0 |
| აეპ-ალკი | 0:6 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ბაქუ-ყარაბახი | 0:3 |
| სუმგაიტი-ნეფთჩი | 0:3 |
| ხაზარი-აზალ | 1:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-ოლიმპიაკოსი | 64:78 |
| დარამასი-იკაროსი | 84:80 |
| რეტიმნო-პაოკ | 81:71 |
| პანათინაიკოსი-კავალა | 93:71 |
| პანიონიოსი-მარუსი | 97:57 |
| პერისტერი-ილისიაკოსი | 60:65 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ალიაგა | 87:82 |
| გალათასარაი-ანტალია | 94:57 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ულმი | 87:83 |
| ბაიროიტი-ვიურცბურგი | 55:64 |
| ბრემერჰავენი-სკაილაინერსი | 76:70 |
| არტლანდი-გისენი | 72:70 |
| ლუდვიგსბურგი-გიოტინგენი | 92:64 |
| ოლდენბურგი-ბონი | 75:99 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ტერამო-ბიელა | 82:77 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-იუგრა | 4:1 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 3:4 |
| ბარისი-ავანგარდი | 2:5 |
| აკ ბარსი-დინამო (მ) | 2:3 |
| ვიტიაზი-სპარტაკი | 2:4 |
| ნეფტეხიმიკი-ტორპედო | 3:1 |
| სკა-დინამო (რ) | 2:1 |
| ატლანტი-სევერსტალი | 1:0 (ბ) |
| ცსკა-ტრაქტორი | 3:5 |
| ლევ პოპრადი-ავტომობილ. | 1:2 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ბრნო | 5:4 (ო) |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 4:2 |
| სპარტა-ზლინი | 1:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| ბალდატისი-ბაზინგერი | 7:6, 6:2 |
| ნიემინენი-კუბოტი | 6:3, 5:7, 7:6 |
| ბერდიხი-როსოლი | 6:4, 6:2 |
| ბოგომოლოვი-სტახოვსკი | 6:3, 0:1 უარი |
| პეტცშნერი-კ. ბეკი | 6:7, 3:6 |
| დელ პოტრო-ლოდრა | 6:4, 6:7, 6:4 |
| ფედერერი-მაუ | 6:4, 6:4 |

**ATP. სან პაულუ**

| | |
|---|---|
| შარდი-კავჩიჩი | 6:4, 6:4 |
| სტარაჩე-კაპდევილე | 5:7, 7:6, 6:2 |
| ხირალდო-რამოსი | 3:6, 4:6 |
| ფერერო-ლ. მაიერი | 6:7, 2:6 |

**ATP. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| სელა-ებდენი | 7:6, 2:6, 6:7 |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| ერაკოვიჩი-ფოგელი | 6:3, 6:4 |
| ბირნეროვა-არუაბარენა | 4:6, 0:6 |
| ოპრანდი-ბაბოში | 6:7, 4:6 |
| შვედოვა-სავინიხი | 6:2, 6:2 |
| დომ. ლინო-დუკე მარინო | 6:4, 2:6, 5:7 |

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-მედინა გარიგესი | 6:2, 6:0 |
| ბენეშოვა-ჰალეპი | 4:6, 4:6 |
| ნიკულესკუ-ზვონარევა | 7:5, 3:2 უარი |
| ა. რადვანსკა-კეოტავონგი | 6:1, 6:2 |
| იანკოვიჩი-პეერი | 6:7, 2:6 |
| კუზნეცოვა-კირილენკო | 6:4, 6:4 |
| საფაროვა-ვოზნიაცკი | 4:6, 6:4, 7:6 |
| პენეტა-კ. ბონდარენკო | 4:6, 2:6 |
| პენგი-მაკჰეილი | 7:5, 3:6, 2:6 |
| გორჯესი-ლეპჩენკო | 6:7, 6:7 |
| ვიკმაიერი-სკიავონე | 7:6, 6:4 |
| აზარენკა-ბარტელი | 6:1, 6:0 |
| კერბერი-პირონკოვა | 4:6, 1:6 |
| პერვაკი-რაზანო | 6:4, 6:0 |
| ივანოვიჩი-ჩეტკოვსკა | 4:6, 4:6 |
| კირსტეა-სტოსური | 4:6, 6:7 |

## TV პროგრამა

**16 თებერვალი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. XXIII ტური. პარმა-იუვენტუსი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ატალანტა-ჯენოა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIII ტური. ნიცა-პსჟ.
**18:00** არგენტინა. I ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ტოტენჰემი-ნიუკასლი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:00** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. აიაქსი-მანჩესტერ იუნ. პირველი მატჩი (LIVE).
**00:05** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. პორტუ-მანჩესტერ სიტი. პირველი მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ტიგრე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი.
**14:30** სპორტ-NEWS.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. II ტური. იტალია-ინგლისი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. ლაციო-ატლეტიკო (LIVE).
**00:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. სტოკი-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-არსენალი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-პორტლენდი.
**13:45** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**20:00** სპორტ-NEWS.
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

## ამბები

**დოპინგი**

### ესპანეთი დოპინგს აღიარებს

ესპანეთის კულტურის, განათლებისა და სპორტის მინისტრმა **ხოსე იგნასიო ვერტმა** აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებობს სპორტში დოპინგის პრობლემა. მისი სიტყვებით, ესპანეთის მთავრობა სპეციალურ პროგრამას ამზადებს ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

*„თავი არ უნდა მოვიტყუოთ: ესპანეთში მართლაც არსებობს დოპინგის პრობლემა, - ამბობს მინისტრი. - უახლოეს პერიოდში გავერკვევით, რამდენად შეესაბამება ესპანეთის ანტისადოპინგო კოდექსი მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მოთხოვნებს. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების ნდობა“.*

**ჰოკეი**

### რეინჯერსს ნეში სჭირდება

ამერიკული პრესა წერს, რომ „ნიუ იორკ რეინჯერსი“ დაინტერესებულია „კოლამბუსის“ კაპიტნის **რიკ ნეშის** შეძენით, მით უმეტეს, რომ „ბლუ ჯეკეტსი“ მზად არის გამოეთხოვოს თავის ერთ-ერთ ლიდერს.

ნეშის სანაცვლოდ „კოლამბუსს“ სურს მიიღოს 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება, აგრეთვე ფორვარდი **ბრენდონ დუბინსკი** და ახალგაზრდა **კრის კრაიდერი**.

ერთი მხრივ, ისედაც ძლიერ „რეინჯერსს“ არ უღირს დრაფტისა და ორი თავდამსხმელის დაკარგვა, მაგრამ ნეშის ტრანსფერით გაიზრდება წელს სტენლის თასის მოგების შანსი.

ამ გარიგების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ „რეინჯერსს“, შესაძლოა, არ ეყოს ფული სახელფასო ბიუჯეტიდან, რადგან ნეში წელიწადში 7.8 მილიონ დოლარს იღებს.

ასევე ფორვარდის ხელში ჩაგდების ფავორიტია „ლოს ანჯელესი“.

**ფრენბურთი**

### ჩამორჩენილი ფრენბურთი

როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, ლონდონის ოლიმპიადის დროს ფრენბურთის ტურნირზე არ გამოიყენებენ Hawkeye-ის სისტემას, რომელიც წარმატებით არის დანერგილი საჩოგბურთო ტურნირებზე.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ამ ტექნიკურ სიახლეს პოლონეთში საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოცდიდნენ და შემდეგ მას ოლიმპიურ თამაშებზეც გამოიყენებდნენ. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი თქვა ამ იდეაზე.

სხვათა შორის, Hawkeye-ის სისტემას ჩოგბურთის გარდა ამერიკულ ფეხბურთსა და რაგბიში იყენებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა


საშა და მაშა

# მაშამ ქორწილი დაგეგმა

ჩოგბურთელ **მარია შარაპოვასა** და კალათბურთელ **საშა ვუიაჩიჩის** აგენტებმა სტამბოლში სპორტსმენების ქორწინების თარილი შეათანხმეს.

საიდუმლო შეხვედრა იმ ვილაზე გაიმართა, რომელიც ვუიაჩიჩმა თურქეთში იქირავა. სწორედ იქ ჩაფრინდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ კომპანია IMG-ის პრეზიდენტის კუთვნილი თვითმფრინავით შარაპოვა (ამბობენ, რომ სლოვენიელმა კალათბურთელმა შეყვარებულის სტუმრობასთან დაკავშირებით 4X4 მეტრზე საწოლი შეუკვეთა).

მარიასა და საშას ქორწილის თარილს კი მათი ახლობელი ადამიანები წყვეტდნენ. საინტერესოა, რომ „სხდომას" ათი ადამიანი ესწრებოდა და მათგან საქმროს ინტერესებს მხოლოდ მისი აგენტი წარმოადგენდა. მან მარიას მხარეს ქორწილის მაისში ჩატარება შესთავაზა, მაგრამ ყველა წინააღმდეგი წავიდა: ამ შემთხვევაში მაშას როლან გაროსის გამოტოვება მოუწევდა. აგვისტოში ოლიმპიადის შემდეგ ორკვირიანი თაფლობის თვეც არ აღმოჩნდა მისაღები ვარიანტი, რადგან ამ შემთხვევაში შარაპოვა ვერ მოასწრებდა აშშ-ის ღია პირველობისთვის მომზადებას.

სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შემდეგ მარიას კლანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საუკეთესო დრო ნოემბრის დასაწყისია (საჩოგბურთო სეზონის დასასრული). არჩევანი შეაჩერეს ლამაზ თარილზე - 10.11.12. იმ პერიოდში თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატი დაწყებული იქნება და საქმროს მოუწევს ორი კვირით კლუბის დატოვება. სავარაუდოდ, „ეფესი" ვუიაჩიჩს ხელს არ შეუშლის.

თუმცა არ არის გამორიცხული, რომ საშა ახალ სეზონში NBA-ში, კერძოდ კი „ნიუ ჯერსი ნეტსში" დაბრუნდეს.

# მშობლებისგან გაძარცვული


არანჩა პრესკონფერენციაზე

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა **არანჩა სანჩეს-ვიკარიომ**, რომელიც ამჟამად ესპანეთის ქალთა ნაკრების დამრიგებელი გახლავთ, ავტობიოგრაფიული წიგნი წარადგინა. მისი სახელწოდებაა – „წინ, არანჩა". ცერემონია ბარსელონაში გაიმართა.

სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე სანჩეს-ვიკარიომ აღნიშნული წიგნის რამდენიმე დეტალი გაამხილა. კერძოდ, მან მოყვა თავის მშობლებთან და ნათესავებთან ურთიერთობის შესახებ. არანჩა დედ-მამას ადანაშაულებს იმაში, რომ მათ კარიერის განმავლობაში ჩოგბურთელის მიერ მოპოვებული საერთო ჰონორარი თითქმის მთლიანად მიითვისეს. ლაპარაკია 60 მილიონ დოლარზე.

*„თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად რთული იყო ჩემთვის ამ თემაზე წერა,* - ამბობს არანჩა სანჩეს-ვიკარიო. *– მაგრამ ასეთია ცხოვრება და თქვენ უნდა იცოდეთ, სინამდვილეში რა ხდებოდა ჩემსა და ოჯახს შორის. დამიჯერეთ, ძალიან მინდოდა ეს ისტორია ოჯახს არ გასცდენოდა. ჯერჯერობით სასამართლო სარჩელების შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან ამ მომენტში საქმე ადვოკატების ხელშია. ამასთან, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მშობლებს იმისთვის, რომ კარიერის ბევრი მძიმე მომენტი გადამატანინეს".*

# ნილისყრა ფედერაციის თასზე

გაიმართა ქალთა არაოფიციალური გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის - ფედერაციის თასის პლეი ოფის წილისყრა. მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელად რვა გუნდი იბრძოლებს და წილისყრის თანახმად, ისინი ასე დაწყვილდნენ:

| |
|---|
| უკრაინა-აშშ |
| იაპონია-ბელგია |
| ესპანეთი-სლოვაკეთი |
| გერმანია-ავსტრალია |

მატჩები 21-22 აპრილს პირველად დასახელებული ნაკრებების მოედნებზე გაიმართება. ამავე პერიოდში შედგება ნახევარფინალები მსოფლიოს ჯგუფში. შეგახსენებთ, რომ ამ სტადიაზე რუსეთი სერბეთის ნაკრებს უმასპინძლებს, ჩეხეთი - იტალიას.

# ვოზნიაცკის ღრმა კრიზისი

თუ წამყვანი მამაკაცი ჩოგბურთელებისთვის თებერვალი თითქმის მთლიანად დასვენების თვეა, ქალებს ამის საშუალება ნაკლებად აქვთ, რადგან თებერვლის შუაში, დოჰაში Premier 5-ის კატეგორიის ტურნირი იმართება.

შეჯიბრების მაღალი რანგის მიუხედავად, პროფესიული ტურის ბევრმა ვარსკვლავმა არ მოისურვა კატარის დედაქალაქში ჩასვლა. **მარია შარაპოვა, პეტრა კვიტოვა, ნა ლი, ანდრეა პეტკოვიჩი, სერენა უილიამსი, კიმ კლაისტერსი** - ამ და სხვა ჩოგბურთელებს სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ვხედავთ ბრძოლაში.

შარშან აქ ფინალში დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** და რუსი **ვერა ზვონარევა** შეხვდნენ და გამარჯვება სკანდინაველს ერგო. გუშინ კი ისე მოხდა, რომ ორივე მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.


ვიქტორია აზარენკა

ავსტრალიის ლიაზე განცდილი კრახის შემდეგ, ვოზნიაცკიმ დოჰაშიც შეირცხვინა თავი, რაც მის აშკარა კრიზისზე მიუთითებს. ჩეხ **ლუსი საფაროვასთან** მატჩში ვოზნიაცკიმ მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მეტოქემ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ტაი-ბრეიკზე გამოსტაცა კაროლინს მესამე წრის საგზური - 4:6, 6:4, 7:6(3). თამაში 2 საათსა და 28 წუთს გაგრძელდა და საფაროვამ 2:1 გახადა ვოზნიცკისთან ურთიერთშეხვედრათა ანგარიში.

ასე რომ, ამ წაგებით დანიელი მომავალ ორშაბათს 900 ქულას დაკარგავს კლასიფიკაციაში. მართალია, ის შეინარჩუნებს რეიტინგში მეოთხე ადგილს, მაგრამ ძალიან ჩამორჩება პირველ სამეულს და თან ქვემოდან კონკურენტებიც წამოეწევიან.

რაც შეეხება მეორე შარშანდელ ფინალისტს ვერა ზვონარევას, მან ტრავმის გამო ვერ დაამთავრა მატჩი რუმინელ **მონიკა ნიკულესკუსთან**, თუმცა ისედაც აგებდა შეხვედრას - 5:7, 2:3. ნიკულესკუ დოჰაში რუსების ნამდვილ რისხვად იქცა - პირველ წრეში მან 6:0, 6:1 გაანადგურა **ელენა ვესნინა**.

საერთოდ, წლევანდელი ტურნირი დიდად არ სწყალობს განთესილ ჩოგბურთელებს. მაგალითად, გუშინ ცუდი დღე ჰქონდათ სერბული ჩოგბურთის ლიდერებს - **ანა ივანოვიჩსა** და **ელენა იანკოვიჩს**. მათ ორ სეტში წააგეს თავიანთი მატჩები.

ივანოვიჩმა ორი პარტია ერთნაირი ანგარიშით დაუთმო მსოფლიოს 30-ე ჩოგანს **პეტრა ჩეტკოვსკას** - 4:6, 4:6. ჩეხს სულ რალაც საათი და 16 წუთი დასჭირდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის დასამარცხებლად.

იანკოვიჩმა ისრაელის წარმომადგენელ **შაარ პეერთან** რვა ორმაგი შეცდომა დაუშვა. პირველი სეტი მან ტაი-ბრეიკზე წააგო, მეორეში კი პრაქტიკულად შეწყვიტა წინააღმდეგობა - 6:7, 2:6. სხვათა შორის, პეერმა კარიერაში პირველად დაამარცხა იანკოვიჩი.

ფავორიტთაგან ყველაზე დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა მსოფლიოს ახალმა პირველმა ჩოგანმა და ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა **ვიქტორია აზარენკამ**, რომელმაც ზუსტად ერთ საათში 6:1, 6:0 გაანადგურა გერმანელი **მონა ბარტელი**.

■ ■ ■

სანამ მეორე წრე დაიწყებოდა, პირველ რაუნდში რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა. ინტერესს იწვევდა გასული კვირის ლაურეატების – **ანჟელიკ კერბერისა** და **დანიელა ჰანტუხოვას** შეხვედრები.

კერბერმა წინა კვირას პარიზის ტურნირი მოიგო, თან გზად მარია შარაპოვა და **მარიონ ბარტოლი** დაამარცხა. გერმანელს კარგი ფორმა დოჰაშიც გადაჰყვა და გერმანულ დერბიში მსოფლიოს მე-14 ჩოგანი, **საბინ ლისიცკი** დაამარცხა.

კერბერს თავდაპირველად გაუჭირდა და პირველი სეტი 4:6 წააგო. მეორე სეტშიც თავიდან დაძაბული ბრძოლა მიდიოდა და ყველაფერი მეცხრე გეიმში გადაწყდა, როცა კერბერმა ბრეიკი გააკეთა და შემდეგ იმავე ანგარიშით – 6:4 მოიგო პარტია. მესამე სეტში ლისიცკიმ ველარ შეძლო თამაშში დაბრუნება და მხოლოდ ერთი გეიმი აიღო.

კერბერისგან განსხვავებით, მეორე წრეში გასვლა ვერ შეძლო გასულ კვირას ტაილანდის ტურნირის გამარჯვებულმა **დანიელა ჰანტუხოვამ**. სლოვაკმა ორსაათნახევრიან ბრძოლაში წააგო რუმინელ **სიმონა ჰალეპთან**, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 63-ე ადგილს იკავებს.

პირველი სეტი ჰანტუხოვამ 6:3 მოიგო, მაგრამ მეორე პარტია ჩააგდო და 2:6 დამარცხდა. დაძაბული ბრძოლა იყო მესამე სეტში. ჰანტუხოვამ მოგების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – 6:5-ზე მატჩზე ვერ ჩააწოდა. საბოლოოდ, დაინიშნა ტაი-ბრეიკი, რომელიც ჰალეპმა უკეთ ჩაატარა და 7:4 მოიგო.

რუმინელი ამით არ დაკმაყოფილდა და გუშინ ჩეხი **ივეტ ბენეშოვა** დაამარცხა, რამაც მას მესამე წრის საგზური მოუტანა.

# კიმი ინდიან უელსს გამოტოვებს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **კიმ კლაისტერსმა** განაცხადი გამოიტანა სუპერტურნირიდან, რომელიც ამერიკის ქალაქ ინდიან უელსში 7-18 მარტს გაიმართება. როგორც სააგენტო AP იტყობინება, ბელგიელს მარცხენა ფეხის ტრავმა აწუხებს.

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ინდიან უელსი ჩემთვის განსაკუთრებული ტურნირია, რადგან აქ 2003 და 2005 წლებში გამიმარჯვია. შესაბამისად, ამ შეჯიბრებასთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს",* - განაცხადა კიმ კლაისტერსმა. მანვე ისიც დაამატა, რომ ეცდება სათანადოდ მოემზადოს მაიამის ტურნირისთვის, რომელიც ინდიან უელსის შემდეგ იმართება.

შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის ჩემპიონმა ადრე განაცხადა - 2012 წლის სეზონი ბოლო იქნება ჩემს კარიერაშიო. კიმი წელს მთავარ მიზნად ლონდონის ოლიმპიადის ოქროს მედლის მოგებას ისახავს.



კიმ კლაისტერსი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა